პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—30 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხაედება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- სპარსელი ვაჭრები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას.
- დემონსტრაციები ომის წინააღმდეგ ბერლინში.
- პოლონეთის სეიმის ფრაქციები მოითხოვენ სეიმის სასწრაფო სესიის მოწვევას.
- გადაწყდა საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯა.
- ლატვიის მთავრობამ ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება სეიმს გადასცა დასამტკიცებლად.

პარასკევი, 5 აგვისტო 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 176 (1921)

ამსტერდამის გაერთიანება და მთლიანობის საკითხი

არასოდეს არ ყოფილა ისე აუცილებელი საერთაშორისო პროლეტარიატის მთლიანობის განხორციელება, როგორც დღეს. მსოფლიო ომის საფრთხე კვლავ სერიოზულად ემუქრება კაცობრიობას. ინგლისის იმპერიალიზმი ყოველ ღონეს ხმარობს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისაგან ეკონომიურ და სამხედრო ბლოკის შესაქმნელად საბჭოთა კავშირზე გამოლაშქრებისათვის. ჩინეთის ხალხის განმანთავისუფლებელი ბრძოლა უკიდურეს კრიზისს განიცდის, და ამაში იმპერიალისტების ინტერვენცია უდიდეს როლს თამაშობს. მწვავდება ინტერესთა წინააღმდეგობა ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის, რამაც არ შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტი არ გამოიწვიოს. ამავე დროს კაპიტალი უმკაცრეს შეტევას აწარმოებს მუშათა კლასის ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებებზე. პროლეტარიატის უსაზღვრო ექსპლოატაციით და მისი ნებისყოფის გატეხით ცდილობენ კაპიტალისტები ბურჟუაზიულ მეურნეობის სტაბილიზაციის მიღწევას, თავის შერყეულ ბატონობის განმტკიცებას და ზურგის უშიშროების უზრუნველყოფას საგარეო ავანტიურების შემთხვევისათვის.

ასეთ პირობებში, ახალი ხოცვა-ჟლეტის აცილების და კაპიტალის იერიშებისაგან თავის დაცვას მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ შესძლებს, თუ ის თავის რიგებს მჭიდროთ გააერთიანებს როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური მასშტაბით, — გააერთიანებს კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე. მაგრამ პროლეტარული მთლიანი ფრონტის აღდგენას სისტემატიურ საბოტაჟს უწევენ ამსტერდამის გაერთიანების მესვეურები, ისინი ყოველი ზომით ლამობენ მის ჩაფუშვას.

რა თქმა უნდა, მათ არაფერი ექნებოდათ საწინააღმდეგო, თუ ამსტერდამის გარშემო თავს მოიყრიდენ სხვადასხვა ქვეყნების ისეთი პროფკავშირები, რომელნიც ბურჟუაზიასთან „თანამშრომლობის“ თვალსაზრისზე იდგომებიან და რომლებიც უარს იტყვიან რაიმე რევოლიუციონურ ბრძოლაზე. ჩვენ ვიცით, მაგ.; რომ ამსტერდამი თავის „ოჯახში“ ეპატიჟება მისთვის ისეთ სასიამოვნო ორგანიზაციას, როგორიცაა ამერიკის შრომის ფედერაცია, რომელიც არ თანხმდება მასში შესვლაზე და ეს, წარმოიდგინეთ, იმიტომ, რომ ამსტერდამი მეტად რევოლიუციონურ ორგანიზაციად მიაჩნია! საერთოდ ამსტერდამის მეთაურები ლამობენ ყველა ისეთ ელემენტების მიზიდვას, რომელიც ნამდვილ კლასობრივ ბრძოლას უარჰყოფენ, რათა ამ გზით გააფართოვონ თავისი რეფორმისტული გავლენა და დაასუსტონ პროლეტარიატის რევოლიუციონური ფრონტი. ისინი ცდილობენ თავის მხარეზე გადაიბირონ ისეთი ორგანიზაციებიც, რომელნიც მერყეობენ და თითქო მარცხნივ იხრებიან, რომ შემდეგ ასეთები თავისებურათ „გადაამუშავონ“. საგულისხმოა, რომ ამსტერდამის ეხლანდელ კონგრესზე მოწვეული არიან მის გარეშე მყოფი ნორვეგიის, ფინეთის, ავსტრალიის, მექსიკის და სხვა ორგანიზაციები, ამავე დროს მათ „დაავიწყდათ“ საბჭოთა და ჩინეთის პროფკავშირების მოწვევა. ესაა მანევრი, რომელიც აშკარავებს უდეგესტების გამთიშველ პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის მუშებისაგან დანარჩენ ქვეყნების პროლეტარების დაშორების ბოროტ ზრახვას.

მიუხედავათ ჩვენი მიუწვევლობისა, პარიზის კონგრესი გვერდს ვერ აუვლიდა საბჭოთა პროფკავშირებთან დამოკიდებულების საკითხს. როგორც მოსალოდნელი იყო, ამსტერდამის ბიუროკრატებმა ახალი იერიში მიიტანეს ჩვენს პროფკავშირებზე. კონგრესისათვის ამსტერდამის გაერთიანების ბიუროს მიერ დამზადებულ ანგარიშში ჩვენ ვხედავთ ცალკე მუხლს: „მოსკოვი და ამსტერდამი“. ანგარიში უციფროდ ამტკიცებს, თითქო ამსტერდამელები ყოველნაირად ცდილობდენ მთლიანობის მიღწევას, მაგრამ „მოსკოვი“ ამაში ხელს გვიშლისო; საბჭოთა პროფკავშირებს არა მთლიანობა აინტერესებთ, არამედ დასავლეთის პროფმოძრაობის დამორჩილება და მისთვის დამოუკიდებლობის წართმევაო. საბუთი? მოისმინეთ,—აი რას ვკითხულობთ ხსენებულ ანგარიშში: „პოზიცია, რომელიც საბჭოთა კავშირების პროფსაბჭომ დაიკავა ბრიტანეთის პროფმოძრაობის მიმართ მემაღაროეთა გაფიცვის დროს და მის შემდეგ, უთუოდ ამტკიცებს, რომ საბჭოთა პროფკავშირების საბჭო უარჰყოფს ცალკე ქვეყნების პროფმოძრაობის თვითგამორკვევის უფლებას. არასოდეს არ ყოფილა ხაზგასმული ისეთი სიძლიერით, როგორც სანახშირო კონფლიქტის დროს, ის ფაქტი, რომ რუსეთის პროფკავშირულ ცენტრს „მთლიანობა“ ესმის მხოლოდ, როგორც მოსკოვისათვის დაქვემდებარება“. აბა საიდან სჩანს ეს? ნუ თუ იქიდან, რომ საბჭოთა პროლეტარებმა ინგლისის გაფიცულ მემაღაროებს უდიდესი დახმარება აღმოუჩინა? ამსტერდამელებს მთლიანობის ნიმუშად ალბად მიაჩნიათ მათი როლი ამ გაფიცვის დროს: ყოველნაირად ხელის შეწყობა გაფიცვის ჩაშლისათვის და ინგლისის მებრძოლ მუშებისათვის მატერიალურ და პოლიტიკურ დახმარებაზე უარის თქმა. ცხადია, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ასეთი „მთლიანობის“, თუ გინდ ამისათვის ამსტერდამელ მოღალატეთა „რისხვა“ დავიმსახუროთ.

ასეთივე მტრული განცხადებებით გამოდიან ყრილობაზეც ამსტერდამის მეთაურები. აი, მაგ.; რა სთქვა ჰოლანდიელ სტენგეისმა: „ამსტერდამი თავის წარმოშობის მომენტიდან ძმურად უწვდიდა რუსებს ხელს, პასუხად კი რუსები პირში გვაფურთხებდენ“-ო. თუ როგორ „ძმურად გვიწვდიდენ ხელს“, ეს ყველამ კარგად იცის. მთლიანობის განხორციელებისაკენ გადადგმულ ჩვენს ყოველ ნაბიჯს ისინი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ. კონგრესზე ინგლისელმა დელეგატმა ბროუნმა ამ მხრივ ამხილა უდეგესტის ბნელი მუშაობა. მან სთქვა, რომ ის იცნობს უდეგესტის მიერ ჟუოსა და მერტენსისადმი გაგზავნილ წერილს, რომლის შინაარსი ასეთია: ვინაიდან ტომსკის უკანასკნელი წერილი, როგორც სჩანს, გამოსთქვამს შეთანხმების გულწრფელ სურვილს, ამიტომ მას, უდეგესტს, აუცილებლად მიაჩნია დაიწყოს შეტევა. უდეგესტი დაჭერილი იქნა, მან თავის დაძვრენა ვერ მოახერხა ამ ბრალდებიდან.

აღსანიშნავია, რომ ინგლისის დელეგაცია კონგრესზე გამოდის საბჭოთა პროფკავშირებთან დაახლოვების მომხრედ და საერთოდ რადიკალურ პოზიციაზე დგას მუშათა მოძრაობის ძირითად საკითხებში. ამ მხრივ კერძოთ გაირჩევა პერსელი. მაგრამ ამ გარემოებამ შეცდომაში არავინ არ უნდა შეიყვანოს. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ გენერალური საბჭო ეწევა ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის საბოტაჟს და ცდილობს მის ჩაშლას. ცნობილია აგრეთვე პერსელის გამცემლური როლიც გაფიცვის დროს. დღეს ის ლამობს თავისი დაცემული სახელი აღადგინოს. ამასთან, პერსელის მიერ საბჭ. პროფკავშირების დაცვა მისთვის საშუალებაა თავის მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასასწორებლად, მოწინააღმდეგეებთან, რომელნიც იბრძვიან ჰეგემონიისათვის ამსტერდამის ინტერნაციონალში.

თავის თავად ცხადია, რომ პერსელის „მემარცხენეობა“ უბრალო ფრაზეოლოგიას არ გასცილდება და ის არსებითად წამოიჩოქებს მემარჯვენეთა წინაშე.

მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, ის ბრძოლა „მემარცხენეებსა“ და „მემარჯვენეებ“ შორის, რომელსაც ადგილი აქვს პარიზის ყრილობაზე, მაჩვენებელია ამსტერდამის კრიზისის, მაჩვენებელია მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდისა, რაც გამოხმაურებას ჰპოულობს პერსელის რადიკალურ სიტყვიერებაში. ჩვენ ეს კრიზისი უნდა გამოვიყენოთ, უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ამსტერდამის მასების ორგანიზაციისათვის და მათი გამცემელ ზედა ფენების გასარიყავად. „ბელადებს“ არ სურთ მთლიანობა, მაგრამ მასები ილტვიან მის განხორციელებისაკენ. კაპიტალის შემოტევით შექმნილი მდგომარეობა და კომპარტიების მუშაობა პროლეტარიატის ერთიანი რევოლიუციონური ფრონტის შექმნას უზრუნველყოფენ.

გახსოვდეთ 4 აგვისტო

„პრავდა“ მოწინავე წერილში: „გახსოვდეს 4 აგვისტო“ (1914 წელს 4 აგვისტოს რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს), სხვათა შორის, სწერს:

„საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ამზადებს ახალ „4 აგვისტოს“ და ახალ გამცემლობას. უკვე წინასწარ და „იდეურად“ ამზადებენ მომავალ შავბნელ ღალატს. იმ დროს, როცა სოციალ-დემოკრატების ზოგიერთი ბელადებ ლაყბობენ საყოველთაო გაფიცვის შესახებ ომის წინააღმდეგ. დანარჩენები (ვანდერველდე და პოლ ბონკური) აშკარად აცხადებენ, რომ ისინი ომის შემთხვევაში კვლავ დადგებიან „სამშობლოს“ მხარეზე, „თავისი“ ბურჟუაზიის მხარეზე, პროლეტარიატის წინააღმდეგ.

1914 წლის 4 აგვისტოს წლის თავმა კომინტერნის ყველა სექციებს დასავლეთში უნდა მოაგონოს, რომ აუცილებელია სისტემატიური ანტიმილიტარისტული მუშაობა, იმპერიალისტების გეგმების და სოციალ-დემოკრატების სისტემატიური გამცემლური საქმიანობის გამომჟღავნება კონკრეტულ მაგალითებზე. 4 აგვისტოს წლის თავმა ყველა ჩვენ ძმურ კომპარტიებს უნდა მოაგონოს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს ბრძოლა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის მზადების წინააღმდეგ—ბურჟუაზიული დიპლომატიის ინტერესების და სოციალ-დემოკრატებისა და ულტრა-მემარცხენე რენეგატების ორჭოფობის გამომჟღავნების გზით. ულტრა-მემარცხენენი ხშირად უწოდებენ თავს „ორტოდოქსალურ ლენინელებს“ (ურბანსის ბინძური ფურცელი). ომი და ომის მზადება ნათლად დაუმტკიცებს ურბანსის მომხრე ყველა ცოტაოდნად სინდისიერ ელემენტებს, თუ ვინ არის პროლეტარული რევოლიუციონერი და ვინ არ არის. ვინაიდან გადაგვარებაზე, „ტერმიდორზე“ და სხვა ასეთ რამეზე გრძელ, აბნეულ და ხმამაღალი ლაყბობის ნაცვლად, ისტორია სვამს და დასვამს საკითხებს, რომელნიც მოითხოვენ მოკლე, ნათელ და გარკვეულ პასუხს.

იცავთ თუ არ იცავთ საბჭოთა კავშირს?

„პორაჟენცები“ თუ „ობორონცები“ ხართ საბჭოთა კავშირის მიმართ, საბჭოთა კავშირის, როგორც იგი არის, ეხლანდელი ცეკას და ეხლანდელი კომინტერნის აღმასკომის ხელმძღვანელობით?

აი, ეს საკითხი უნდა დაუსვან მუშებმა ყველა იმათ, რომელნიც მემარცხენე ფრაზების საფარით გაჰკივიან „გადაგვარებაზე“ ამ საკითხების დასმით უნდა გავრიყოთ გაკოტრებული უბადრუკი ბელადები იმ პატიოსან პროლეტარულ ელემენტებისაგან, რომლებმაც მათ დაუჯერეს.

რაც შეგვეხება ჩვენ, 4 აგვისტოს წლის თავი კვლავ მოგვაგონებს, რომ აუცილებელია გავაათკეცოთ ჩვენი ძალღონე ჩვენი სოციალისტური სამშობლოს და მსოფლიო რევოლიუციის კერის დასაცავად.

უხანის მთავრობა ხვრეტს გაფიცულ მუშებს

ხანკოუში შეტაკება მოხდა გაფიცულებსა და ჯარებს შორის—გამოცხადებულია სამხედრო წესები

აჯანყებები ჩან-კაი-შის ჯარებში.—ბრძოლები ნანკინისა და პეკინის ჯარებს შორის

სპარსეთ-საბჭოთა მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ წარმატებით მიმდინარეობს

უხანი—კონტრ-რევოლიუციის გზით

მუშების შეტაკება პოლიციასთან ხანკოუში

ხანკოუ, 3 აგვისტო. 2 აგვისტოს საღამოს მოხდა გაფიცულ რიქშების შეტაკება პოლიციასთან. პოლიციის დასახმარებლად გამოწვეული იქნენ სამხედრო ნაწილები.

შეტაკება გამოიწვია გაფიცულთა მოთხოვნილებამ დაპატიმრებული რიქშის განთავისუფლების შესახებ. პოლიციის სადგომის წინ, სადაც იყო მოთავსებული დაპატიმრებული, თავი მოიყარა 2.000-მა გაფიცულმა რიქშამ. პოლიციამ გამოიწვია ჯარი, რომელმაც სროლა აუტეხა გაფიცულებს. სროლის დროს დაიჭრა 6 კაცი. ამათთაგან გარდაიცვალა ორი.

გაფიცვა განხორციელებულია მთლიანად. მაგრამ განზრახული დემონსტრაციის მოწყობა ვერ მოხერხდა, ვინაიდან პოლიციამ და ჯარმა თავიდანვე მიიღეს საწინააღმდეგო ზომები. გამოცხადებულია სამხედრო წესები და ქალაქის ჩინურ ნაწილში აკრძალულია ქუჩებში გამოსვლა საღამოს 11 საათის შემდეგ. აკრძალულია აგრეთვე ყოველგვარი დემონსტრაციები და კრებები.

როგორც სჩანს, ამ შეტაკებასთან დაკავშირებით მე-8-ე არმიის ჯარებმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ხო-ჩიენი, დაიკავეს სრულიად ჩინეთის შრომის ფედერაციის და პროფკავშირთა ხუბეის საბჭოს სადგომები. ორივე შენობაში მოახდინეს ჩხრეკა და გაიტანეს იქიდან ყველა საბუთები.

ოფიცრებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდენ რაზმებს აღნიშნულ სადგომების დაჭერის დროს, განაცხადეს, რომ სათანადო ნებართვა მათ მიიღეს უხანის მთავრობისაგან. ოფიცრების განცხადების შემოწმება ვერ მოხერხდა.

გომინდანის ცეკას საპროპაგანდო განყოფილების განკარგულებით დაიხურა პროფკავშირთა ხუბეის საბჭოს ორგანო „უორკერს დეილი“. (ადს).

რევოლიუციონური პროკლამაციები უხანში

ხანკოუ, 3 აგვისტო. უხანში, იმ სახლების კედლებზე, სადაც მოთავსებულია გომინდანის ცეკა და სტუდენტთა კავშირის გამგეობა, გაკრულია პროკლამაციები, რომლებშიაც ნათქვამია:

„გომინდანმა უნდა ითანამშრომლოს კომპარტიასთან და განახორციელოს სამი დიადი პოლიტიკური ხაზი, რომლებიც გვიანდერძა სუნ-იატ-სენმა და აგრეთვე მხარი დაუჭიროს სუნ-იატ-სენის ქვრივის დეკლარაციას.

უნდა განხორციელდეს ის დადგენილებები, რომლებიც აუთქვამდენ მფარველობას მუშათა და გლეხთა კავშირებს. ვინც უყურადღებოდ ეპყრობა გლეხებს და მუშებს, ის კონტრ-რევოლიუციონერია. კომპარტია არის გომინდანისადმი მეგობრულად განწყობილი პარტია“.

სამხედრო ხელისუფლების განკარგულებით ამ პროკლამაციებს ხევდენ და სპობდენ. (ადს)

„წითლების“ წინააღმდეგ

პეკინი, 3 აგვისტო. ჰოვენის სააგენტო იუწყება, რომ ანგოცზიუნის მიერ მოლაპარაკების განახლება ნანკინის ჯგუფთან აიხსნება ჩან-ძო-ლინის სურვილით, რათა ჩან-კაი-ში არ დაამარცხონ უხანის ჯარებმა.

ჩინური გაზეთები იუწყებიან, რომ ნანკინსა და მუკდენის შეთანხმების ერთერთ პირობას წარმოადგენს სამხედრო ძალების შეთანხმებულად გამოყენება „წითლების“ წინააღმდეგ. (ადს)

მუკდენს განზრახული აქვს დაიკავოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზა

პეკინი, 3 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში იაპონიის პრესა ავრცელებს ხმებს, რომ მუკდენს განზრახული აქვს დაიკავოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზა.

დაირენის გაზეთი „მანსიუ ნიციჩიცი“ სწერს, რომ მუკდენის ხელისუფლებამ უკვე რამოდენიმეჯერ შეადგინა გეგმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის ჩამორთმევის შესახებ, თუმცა ჯერ ეს გეგმა რეალურად არ განხორციელებულა.

მთავარმართებელი ჩჟან ხუან-სიანი—სწერს გაზეთი—პეკინში უკანასკნელ მგზავრობის დროს ეთათბირა ჩჟან-ძოლინს ამ საკითხის შესახებ, თათბირის შედეგი არის ის, რომ გამოქვეყნებულ დებულებას მთავარმართებლის სამმართველოს შესახებ დაემატა შემდეგი მუხლი:

„იმ შემთხვევაში, თუ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის ხაზზე წარმოიშვა განსაკუთრებული გარემოებები, რომლების დროსაც საჭირო იქნება სამხედრო ძალების გამოყენება, უნდა მიღებულ იქნას სათანადო ზომები უახლოეს სამხედრო სარდლობასთან ერთად“.

გაზეთის ამ გზას სთვლის მზადებად აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის დასაკავებლად. (ადს)

ნანკინელებმა დაიბრუნეს სიუჩოუ

შანხაი, 3 აგვისტო. საღამოს გაზეთების ცნობებით, ნანკინის ჯარებმა, ჩან-კაი-შის უშუალო ხელმძღვანელობით, მკაცრი ბრძოლის შემდეგ, დაიბრუნეს სიუჩოუ, რომელიც წარმოადგენს თვალსაჩინო სტრატეგიულ პუნქტ ციანსუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. ჩრდილოელებმა ჩან-კაი-შის გაუწიეს სასტიკი წინააღმდეგობა.

მაგრამ ეს ცნობები გამომდინარეობს ნანკინის წყაროებიდან და მას სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ. (ადს).

ნანკინის ჯარების დამარცხება

პეკინი, 3 აგვისტო. ტოხოს სააგენტოს ცნობით, შანდუნის ჯარებმა 28 ივლისს აიღეს ქალაქი ცზინ-კოუ, ხოლო 29 ივლისს—პან-ფუ, რომელიც მდებარეობს ცზიან-სუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. ნანკინის მთავრობის ჯარები უწესრიგოთ იხევენ უკან.

ნანკინის ჯარების ახალ დამარცხებას კორესპონდენტი ხსნის ნანკინის ჯარების ზოგიერთ ნაწილების აჯანყებით ზურგში.

30 ივლისს შანდუნის მთავარმა ძალებმა უკან დაიბრუნეს ქალაქი ლინჩენი, შანდუნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში. (ადს

შანდუნის ფრონტზე

პეკინი, 3 აგვისტო. სამხედრო წრეებში ფიქრობენ, რომ სუნ-ჩუან-ფანის და ჩან-ცზუნ-ჩანის ჯარების რიცხვი შანდუნის ფრონტზე უდრის 100.000 კაცს.

„დროებითი შეცდომა“

შანხაი, 3 აგვისტო. ნანკინის მთავრობის ჯარების გენერლების ჯგუფმა მიმართა უხანის მთავრობის მეოთხე „რკინის“ არმიის სარდალს ჩან ფა-გუის წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

„გამოვთქვამთ რა იმედს, რომ თქვენი გადასვლა უხანის მთავრობის მხარეზე წარმოადგენს დროებით შეცდომას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენ მალე დაბრუნდებით ჩვენთან“.

წერილი თავდება რჩევით, რათა მან არ დაიწყოს სამხედრო მოქმედება ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ. (ადს)

უარჰყოფენ ხმებს ნანკინ-პეკინის შეთანხმების შესახებ

შანხაი, 4 აგვისტო. ცზიანსუს პროვინციის მთავრობის სხდომაზე, მთავრობის თავმჯდომარემ კატეგორიულად უარჰყო ხმები პეკინის და ნანკინის მთავრობების შეთანხმების შესახებ. მთავრობის თავმჯდომარემ ეს ხმები მიაწერა იაპონიის მილიტარისტების პროპაგანდას, რომლებიც დაინტერესებული არიან აღმოსავლეთის სამი პროვინციის დახმარებაში. (ადს).

შორეულ აღმოსავლეთის ბანკის მუშაობის გამოკვლევა

შანხაი, 3 აგვისტო. ნანკინის მთავრობამ შეადგინა სპეციალური კომისია, რომელიც გაეცნობა შორეულ აღმოსავლეთის ბანკის მუშაობას. კომისიამ დაადგინა შეუდგეს ბანკის საქმის წარმოების დაწვრილებით გამოკვლევას „წინასწარი გამოძიების სახით“. ამ გამოკვლევას ის აწარმოებს შანხაის ჩინურ დროებით სასამართლოს წარმომადგენლებთან ერთად.

კომისია უკვე შეუდგა საბანკო წიგნებისა და კორესპონდენციების გამოკვლევას ბანკის წარმომადგენლების თანადასწრებით. გამოკვლევის დასრულებამდე, ბანკი დახურული იქნება. (ადს)

მუკდენ-ნანკინის შერიგების წინ

პეკინი, 3 აგვისტო. ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ, როგორც პეკინის მთავრობის პრემიერმა პან-ფუმ აცნობა სააგენტოს პეკინელ კორესპონდენტს, შეთანხმების ხელმოწერა დროებითი ზავის შესახებ ნანკინსა და მუკდენს შორის მოსალოდნელია უახლოეს დღეებში. (ადს)

მაკ-მურეი გაწვეულია ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 3 აგვისტო. ჩ. ა. შ. შ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ სათათბიროდ გაიწვია ვაშინგტონში თავისი ელჩი მაკ-მურეი. (ადს).

განკარგულება გაზეთ „ნორტ ჩაინა დეილი ნიუსის“ შესახებ

შანხაი, 3 აგვისტო. შანხაის ფოსტის განყოფილებამ მიიღო განკარგულება, რომელიც უკრძალავს მას ინგლისის გაზეთ „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“-ის მიღებას და გადაგზავნას. ზოგიერთ ცნობებით ეს განკარგულება ეკუთვნის ნანკინის მთავრობას, სხვა ცნობები კი იუწყებიან რომ განკარგულება გასცა ადგილობრივმა

იაპონიის ელჩი

შანხაი, 3 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს ცნობით, იაპონიის ელჩი ჩინეთში იოშიზავა, შანხაიდან პეკინში გამგზავრების წინ, ემზადება ნანკინსა და ხანკოუში წასასვლელად. ნანკინში გამგზავრების მიზანია ჩან-კაი-შისთან შეხვედრას. (ადს).

არ ემორჩილებიან ნანკინის დეკრეტებს

შანხაი, 3 აგვისტო. მიუხედავად ნანკინის მთავრობის დეკრეტისა იმპორტზე ახალ გადასახადების დაწესების შესახებ, საფრანგეთის სანაოსნო კომპანიის გემი ჩინეთის ხელისუფლების უნებართვოდ და გადასახადის გაუსტუმრებლად გავიდა ნავთსადგურიდან.

საფრანგეთის სანაოსნო კომპანიამ განაცხადა, რომ ის ასევე მოიქცევა შემდეგშიც; რადგან ასეთი გადასახადის დაწესება მიაჩნია არსებული ხელშეკრულების დარღვევად.

გამოურკვეველია თუ რა პოზიციას დაიჭერს ამ შემთხვევაში ნანკინის მთავრობა. (ადს).

ნანკინი და პეკინი

შანხაი, 3 აგვისტო. „ჩაინა კურიერი“ უარყოფს უცხოეთის გაზეთებში მოთავსებულ ცნობებს პენვუს არჩევის შესახებ ჩრდილოელების მიერ. გაზეთი ადასტურებს, რომ ნანკინის ჯარებსა და სუნ-ჩუან-ფანის არმიებს შორის სწარმოებს გაფთრებული ბრძოლა ხაიჯოუს რაიონსა, ცზიანსუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილზე და მთელ საზღვაო ნაპირზე. გაზეთის სიტყვით; ნანკინის ჯარებმა მოახერხეს სუნ-ჩუან-ფანის ჯარების წინსვლის შეჩერება.

შემდეგ გაზეთი კომენტარიებს უკეთებს ნანკინის მთავრობის სამხედრო კამპანიას უხანის წინააღმდეგ და სწერს: „მართალია უკანასკნელ ხანებში ნანკინის ჯარები ამაგრებდენ თავის პოზიციებს ცზიანსისა და ჩეცზიანის პროვინციებში, მაგრამ მაინც ახლო ხანში საეჭვოა ბრძოლის შესაძლებლობა უხანსა და ნანკინს შორის“.

არ არის სარწმუნო ცნობები საზავო მოლაპარაკების შესახებ ჩრდილოელებთან.

გაზეთები იუწყებიან, რომ თითქოს ჩან-კაი-შის წარმომადგენელი ხო-ჩენ-ჩუნი გაემგზავრა პეკინიდან ტაიფანფუში (შანსის პროვინციის მთავარი ქალაქი) ენ-სი-შანთან შესახვედრად.

გაზეთების ცნობით, პეკინის მთავრობის პრემიერი პან-ფუ გაემგზავრა შანდუნში, რათა ჩან-ძუნ-ფანსა და სუნ ჩუან ფანს შეუთანხმოს ზავის პირობები, რომლებიც მიღწეულია მოლაპარაკების დროს ნანკინის დელეგატებთან. (ადს).

„ფორვერტსი“ ამსტერდამის ინტერნაციონალის შესახებ

ბერლინი, 3 აგვის. „ფორვერტსი“ ეხება ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე გამართულ კამათს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კონგრესი ჰქმნის საერთოდ ძლიერ მძიმე შთაბეჭდილებას. გაზეთი სწერს, რომ საჭიროა „ფრიად მომქმედი წამალი“. „ფორვერტსის“ სიტყვით, ამსტერდამის ინტერნაციონალის ხელმძღვანელები იხილავენ საკითხს ინტერნაციონალის აღმასკომის ამსტერდამიდან სხვა ქალაქში გადატანის შესახებ და ასეთ ქალაქად, სადაც უნდა იქნეს ის გადატანილი, დასახელებულია ბერლინი.

როგორც სჩანს, იმ შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც მოჰყვება უდეგესტის წერილების გამოძიებას, მოსალოდნელია ამსტერდამის ინტერნაციონალის ცენტრალური ორგანოების სერიოზული რეორგანიზაცია და ან უდეგესტი, ან ბროუნი იძულებული გახდება გავიდეს სეკრეტარიატიდან. (ადს).

კულიჯის განცხადება

ვაშინგტონი, 3 აგვისტო. პრესის წარმომადგენლებს გადაეცა კულიჯის შემდეგი განცხადება:

„მე არ ვცდილობ დასახელებულ ვიქნა პრეზიდენტის კანდიდატად 1928 წლის არჩევნებში“.

ეს განცხადება, რომელსაც არავითარი დამატებითი ახსნა-განმარტება არა აქვს წამძღვარებული, კულიჯმა გააკეთა 4 წლისთავის შესრულების გამო დღიდან მისი პრეზიდენტად არჩევისა გარდინგის სიკვდილის შემდეგ.

კულიჯის განცხადება მოულოდნელია ყველა იმათთვის, მით უმეტეს, რომ კულიჯის უკანასკნელი დროის მოღვაწეობა მოწმობდა, რომ მას აქვს პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევის სურვილი.

შესაძლებელია, რომ კულიჯის განცხადება გამოწვეულია ორი გარემოებით: პირველი იმით, რომ მან ვერ მოახერხა ფერმერების უკმაყოფილების შენელება და მეორე დემოკრატების; ეგრედწოდებულ „რესპუბლიკანურ ინსურგენტების“ მუქარით; რომ ისინი წამოაყენებენ ტრადიციულ ლოზუნგებს პრეზიდენტად ერთი და იგივე პირის სამჯერ ზედიზედ არჩევის შეუძლებლობის შესახებ. (ადს).

საბჭოთა პრესა

ბრძოლა ამსტერდამის წინააღმდეგ

ამჟამად პარიზში მიმდინარეობს ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი. ამსტერდამის გაერთიანება მეორე ინტერნაციონალთან ერთად არის მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობის ერთი მთავარი შემაფერხებელთაგანი, ბურჟუაზიასთან „თანამშრომლობის“ პოლიტიკის გატარება და ხელის შეწყობა მუშების დამონებისათვის კაპიტალისტების მიერ, პაციფისტურ ილიუზიების გავრცელება და მასების სიფხიზლის მიძინება ომის საფრთხის წინაშე, პროფმოძრაობის მთლიანობის საბოტაჟი და კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ — აი, ეთია ჟუოსა და ამსტერდამის სხვა ბიუროკრატების „მოღვაწეობის“ შინაარსი. როგორი ამოცანები დგანან კომპარტიების წინაშე ბურჟუაზიის ამ აგენტებთან ბრძოლის სფეროში? ჟურნალი „კომუნისტური ინტერნაციონალი“ პარიზის კონგრესისადმი მიძღვნილ წერილში ჩამოსთვლის ამ ამოცანებს:

„1. განსაკუთრებული ყურადღება პარიზის კონგრესის მუშაობას, მის მიერ გამოტანილ რეზოლიუციების ანალიზის გზით ამსტერდამის ინტერნაციონალის ნამდვილი ბუნების მხილება ყველა ქვეყნის მუშათა მასების წინაშე. 2. კომინტერნის მიერ წამოყენებულ ლოზუნგის პრაქტიკულად განხორციელება: მუშაობაში ძალების 75-ის დათმობა პროფმოძრაობისათვის და ჩვენი ფრაქციული მუშაობის გაძლიერება ყველა რეფორმისტულ ორგანიზაციაში. 3. საგანგებო ყურადღების მიქცევა პროფკავშირულ კადრების შექმნის ამოცანებისათვის, კადრების, რომელნიც შესძლებენ მუშათა მასების წინაშე არა მარტო დიდ პოლიტიკურ და ტაქტიკურ პრობლემების გაშუქებას, არამედ წვრილ პროფკავშირულ მუშაობის წარმოებასაც. 4. ჩვენი მუშაობის გაძლიერება პროფმოძრაობის ხელმძღვანელობის დასაპყრობად ევროპის უფრო მსხვილ სამრეწველო ქვეყნებში, ენერგიული მუშაობა პროფკავშირების ორგანიზაციისათვის შორეულ და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რეფორმისტულ გავლენის დამკვიდრებისათვის ხელის შეშლა და გადაჭრით მხარის დაჭერა სამდივნოსათვის, რომელიც შექმნა ხანკოუში შემდგარ წყნარ ოკეანეს კონფერენციაზე. 6. საგანგებო ყურადღების მიქცევა ლათინურ ამერიკის პროფმოძრაობისათვის, რომელიც მოწოდებულია დიდი როლი ითამაშოს ამერიკის იმპერიალიზმთან ბრძოლაში და რომელიც ეს ერთი ხანია მეტად საეჭვო ყურადღებით სარგებლობს ამსტერდამის ინტერნაციონალის მხრით. 7. გადაჭრილი მხარის დაჭერა ყოველგვარ ოპოზიციონურ მოძრაობისათვის რეფორმისტულ პროფკავშირების შიგნით. შეთანხმებათა დადება ამ ოპოზიციონურ მოძრაობასთან, რა თქმა უნდა, კრიტიკის უფლების შენარჩუნებით. 8. ყველა ქვეყნის კომპარტიების აქტიური მონაწილეობა წითელ პროფინტერნის მუშაობაში და მისი გავლენის გაძლიერება კომინტერნის მე-7 გაფართოებულ პლენუმის რეზოლიუციების მიხედვით. 9. უაღრესად ენერგიულ კამპანიის გაშლა ამსტერდამის წინააღმდეგ მისი პოლიტიკასთან დაკავშირებით ჩინეთის რევოლიუციის, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საფრთხის, რვა საათის სამუშაო დღეზე შეტევის, ხელფასის და სხვა დარგებში. 10. ჩვენი კამპანიის გაძლიერება პროფკავშირულ მთლიანობის სასარგებლოდ და ამ კამპანიის დაკავშირება ბრძოლასთან უახლოეს მოთხოვნებისათვის, ბრძოლასთან კაპიტალისტურ რეაქციის და ომის საშიშროების წინააღმდეგ“.

ასეთია ის ამოცანები, რომელნიც წამოჭრილი არიან კომპარტიების წინაშე პროფმოძრაობის დარგში. ენერგიული და მოხერხებული ბრძოლა მათი განხორციელებისათვის პროლეტარიატის მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის აღდგენის და რეფორმისტ ბელადების გარიყვის საწინდარი იქნება.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ავსტრო-მარქსისტების ორგანო ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულების შესახებ

ვენა, 3 აგვისტო. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო „არბეიტერ ცეიტუნგი“ აქვეყნებს ლონდონიდან მიღებულ ცნობას ჩემბერლენის განცხადების გამო ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულების აღდგენის შესახებ.

„ახლა,—სწერს გაზეთი,—ჯერი საბჭოთა კავშირზეა. მოსკოვს ეხლა საშუალება აქვს დამშვიდებით განიხილოს ინგლისის წინადადება“. (ადს)

საბჭოთა „კოზირი“

ბერლინი, 3 აგვისტო. გუგენბერგის საგაზეთო ტრესტის ორგანო „ბერლინერ ნახტაუსგაბე“ აქვეყნებს საუბარს დე-მონზისთან. დე-მონზი, გაზეთის სიტყვით, აცხადებს, რომ ის, როგორც საფრანგეთ-საბჭ. ვალების მომწესრიგებელ კონფერენციის თავმჯდომარე, დღითი-დღე რწმუნდება, რომ კონფერენცია ვერავითარ პრაქტიკულ შედეგებს ვერ მიაღწევს მანამდე, სანამ საბჭოთა მთავრობა „კოზირად“ იყენებს გერმანიას საფრანგეთის წინააღმდეგ. დე-მონზის სიტყვით, „გერმანია იმოსება არაგულწრფელ მეგობრობის სამოსელში რუსეთის მიმართ“, იმ მიზნით, რომ არსებითად გაურთულოს დე-მონზის მისი მიზნების განხორციელება.

„ბერლინერ ნახტაუსგაბე“ უკეთებს კომენტარიებს საუბარს და აცხადებს:

„თუ საფრანგეთი მაინც დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან შეთანხმებით ვალების საკითხში და თუ გერმანია ამაში უშლის ხელს, მაშინ გერმანიას აქვს განსაზღვრული პლიუსი საფრანგეთის მიმართ, რასაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მოლაპარაკებაში რეინის ოლქის ვადამდე ადრე ევაკუაციის შესახებ“. (ადს)

საბჭოთა კავშირის და სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულების გარშემო

თეირანი, 3 აგვისტო. გაზეთი „ირანი“ აქვეყნებს შემდეგი შინაარსის შენიშვნას:

„მოსკოვიდან ანსარისგან მიღებულია დაწვრილებითი დეპეშა იმის შესახებ, რომ მასსა და საბჭოთა კავშირის მთავრობას შორის მიღწეულია სრული შეთანხმება სათევზაო ადგილების, სავაჭრო და საბაჟო საზღვრების გამიჯვნის და სხვ. საკითხებში. მომზადებულია ნიადაგი ხელშეკრულების სათანადო მუხლების სარედაქციოდ. მათი პროექტები გადმოეგზავნება სპარსეთის მთავრობას უახლოეს დროში საჰაერო ფოსტით“.

გაზეთ „ტუფანს“-ს მოჰყავს ეს ცნობა და სწერს:

„ხელშეკრულებები უკვე შედგენილია და უახლოეს მომავალში იქნებიან ხელმოწერილი“. (ადს)

სპარსელი ვაჭრები საბჭ. კავშ. შეთანხმებას მოითხოვენ

თეირანი, 3 აგვისტო. „ტუფან“-ი იუწყება, რომ ჩრდილოეთ სპარსეთის დეპუტატებმა მოაწყვეს კრება ჩრდილოეთ სპარსეთის კრიტიკულ ეკონომიურ მდგომარეობის განსახილველად და მიმართეს სპარსეთის მთავრობას მოთხოვნილებით, რათა მან მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება კრიზისის დასაძლევად.

სპარსეთის მთავრობამ დაარწმუნა დეპუტატები, რომ მოსკოვიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის უკვე დადებულია და უახლოეს დროში მოხდება რატიფიციაქმნილ ხელშეკრულებათა გაცვლა, რის გამოც აღარ არის საფუძველი შიშისათვის. (ადს).

ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გარშემო

კამპანია ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების წინააღმდეგ

რეველი, 3 აგვისტო. ესტონეთის მმართველ წრეებთან ახლო მდგომი გაზეთი „კაია“ ათავსებს წერილს, რომელიც სასტიკად ილაშქრებს ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრის ცელენსის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, წერილის მიზანია ზეგავლენის მოხდენა ლატვიის მთავრობაზე ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების ჩაშლის მიზნით. გაზეთი გამოსთქვამს იმედს, რომ საკითხი ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ გამოიწვევს ლატვიის დღევანდელი მთავრობის გადადგომას. (ადს)

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ვარშავა, 3 აგვისტო. ვარშავაში პატეკის ჩამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურ წრეებზე. „გლოს პრავდი“ და „ეპოქა“ აცხადებენ, რომ ვოიკოვის მკვლელობით გამოწვეული კონფლიქტი საბოლოოდ დასრულდა. „კურიერ პორანი“ სწერს: „ვოიკოვის მკვლელობით გამოწვეული კონფლიქტი უახლოვდება თავის საბოლოო დასასრულს. როგორც პატეკი, ისე ჩიჩერინი ერთნაირად ანგარიშს უწევენ იმ გარემოებას, რომ ურთიერთობის მოწესრიგება პოლონეთს და საბჭოთა კავშირს შორის წარმოადგენს სასიცოცხლო ინტერესს ორივე ქვეყნისათვის“. პატეკმა ინახულა ამხ. ულიანოვი და საბჭოთა საელჩოს იურის-კონსულტი სოკოლოვი, რომლებიც იმყოფებიან [illegible] უმში. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და უყაირათობასთან

ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ყველა საკონტროლო კომისიებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციებს

მოსკოვი, 4 აგვისტო. მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატი თავის ბრძოლაში ბიუროკრატიზმთან და უყაირათობასთან, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის უნდა დაემყაროს მუშურ-გლეხურ ფართო მასებს. ამ ბრძოლის წარმატებით ჩატარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პრესა, რომლის ხმასაც განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაუწიონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა. ამ ბეჭდვითი ორგანოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საწარმოო ჟურნალებს, რამდენადაც ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა აპარატის ყველა ნაკლულოვანებათა გამომჟღავნებას და იმ ამოცანების პროპაგანდას, რომლებსაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია ისახავს თავის მუშაობაში. ამიტომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჟურნალში გაშუქებული უყაირათობისა და ბიუროკრატიზმის ყველა ფაქტების გამოკვლევას. ვინაიდან საწარმოო ჟურნალები უმთავრესად აშუქებენ საქმის მდგომარეობას ფაბრიკებში, ქარხნებში, რკინის გზებზე და სხვა წარმოებებში, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების გამოკვლევის დროს მუშაობაში უნდა ჩააბას საწარმოო თათბირები, საწარმოო კომისიები და სხ. მუშაობაში იმ ფაქტების გამოკვლევისათვის, რომელნიც შეეხება დაწესებულებებს, უნდა ჩაბმულ იქნას ეკონომ-კომისიები.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი—

ორჯონიკიძე.

უკანასკნელი ცნობები

ლოკაუტი

პარიზი, 4 აგვისტო. ფრანგ მეღითონეთა უნიტარული პროფკავშირი აწყობს პროტესტის კამპანიას სიტროენის საავტომობილო კამპანიის მიერ 1.000 მუშის დათხოვნის წინააღმდეგ. სიტროენის ქარხანა, სადაც 30.000 მუშაა დაბანდებული, დაიხურება ზეგ და კვლავ გაიხსნება მხოლოდ 17 აგვისტოს. მუშების უკან მიღება იწარმოებს შემცირებული რაოდენობით —ადმინისტრაციის შერჩევით.

ხარტლების ჭორების გამო

ვენა, 4 აგვისტო. ავსტრიის პრესა აქვეყნებს „იზვესტია“-ში (31 ივლისს) დაბეჭდილ წერილს ვიცე-კანცლერ ხარტლების გამოსვლის შესახებ ავსტრიის პარლამენტში. ხარტლები ეხებოდა ბერლინის საბჭოთა წარმომადგენლობის წევრებს. ბინგეელს და ბიაპორცოს ყოფნას ვენაში მუშების აჯანყების დროს, როგორც ვიცით, ისინი ჩავიდენ ვენაში საბჭოთა შეკვეთების შესახებ ვენის მუნიციპალიტეტთან მოლაპარაკების საწარმოებლად. სოციალ-დემოკრატიული „არბეიტუნგ ცეიტუნგ“ აქვეყნებს წერილს სათაურით „ხარტლების ჭორები მუშებს ათასობით ხდიან უმუშევრებად“. წერილი გადმოგვცემს ხანგრძლივ მოლაპარაკებას, რომელსაც ვენის მუნიციპალიტეტი აწარმოებდა, რომ გაედიდებია ვენის მრეწველობის დატვირთვა საბჭოთა შეკვეთების მიღებით. ეს შეკვეთები უზრუნველყოფდენ მუშაობას არა ნაკლებ 10.000 უმუშევრისათვის ერთი წლის განმავლობაში. გაზეთი მკაცრად ილაშქრებს მუშების წინააღმდეგ (ადს).

ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება

რიგა, 4 აგვისტო. მთავრობამ დაადგინა ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება გადასცეს სეიმს დასამტკიცებლად. (ადს).

საკოსა და ვანცეტს დასჯიან

ნიუ-იორკი, 4 აგვისტო. მასაჩუსეტის შტატის გუბერნატორმა ფულერმა უარი სთქვა საკოსა და ვანცეტის შეწყნარებაზე. საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯა ელექტრონის სკამზე უნდა მოხდეს ერთი კვირის განმავლობაში, ე. ი. 10 აგვისტომდე. გუშინ საკო და ვანცეტი გადაიყვანეს „სასიკვდილოთა კამერაში“, რომელიც იმყოფება ელექტრონის სკამთან ახლოს. საკო უკვე 19 დღეა შიმშილობს და უაღრესად დასუსტებულია. ციხეს, სადაც საკო და ვანცეტი არიან მოთავსებულნი, იცავენ პოლიციელები. გუბერნატორი ფულერი, მოსამართლე ცეიერი და მეორე მოსამართლე, რომელთაც საკოსა და ვანცეტის საქმეზე განაჩენი გამოიტანეს, აგრეთვე იმყოფებიან პოლიციის აგენტების გაძლიერებული დაცვის ქვეშ.

„ემზადეთ მუშების დასაცავად“

ლონდონი, 4 აგვისტო. იმპერიალისტურ ომის 13 წლის თავზე ინგლისის კომპარტიის გაზეთი „უორკერ უიკლი“ გამოვიდა გაფართოებული. გაზეთი შემდეგ ლოზუნგებს აყენებს: „იმპერიალისტურ ომის წლის თავზე აშკარაა, რომ მთავრობა ახალ ომს ამზადებს; ემზადეთ მუშების დასაცავად, ომი გამოუცხადეთ ომის გამომწვევთ“. გაზეთი მოითხოვს ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაუყოვნებლივ მოწვევას ომის საშიშროებასთან ბრძოლის გეგმის გამოსამუშავებლად (ადს).

პროფ. კალიტინის ჩამოსვლა

4 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის წევრი, უფროსი ფიზიკოსი, პროფესორი ი. პ. კალიტინი.

პროფ. კალიტინი გამოგზავნილია მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის მიერ ალბუზის რაიონში და საქართველოს კურორტებზე ფიზიკური მთავრობის წინააღმდეგ (ადს).

ამხ. ჩიჩერინი ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

მოსკოვი, 4 აგვისტო. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ჩიჩერინმა განაცხადა:

„თქვენ ალბათ გაინტერესებთ, თუ რას ნიშნავს ის ხმაური, რომელიც ასტეხა უცხოეთის პრესამ იმის შესახებ, თითქოს ინგლისმა წინადადება მისცა საბჭოთა მთავრობას საბჭოთა კავშირის და დიდი ბრიტანეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. სინამდვილეში საბჭოთა მთავრობას არავითარი წინადადება არ მიუღია. რაც შეეხება სერ ოსტინ ჩემბერლენის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა თემთა პალატაში 28 ივლისს, ეს სიტყვა პირველ ყოვლისა შეიცავს ჩვეულებრივ ცილისწამებას საბჭოთა კავშირის შესახებ და მიზნად ისახავს დაფაროს დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრის წინაშე ის დაუშვებელი ნაბიჯები, რომელიც გადადგმული ქონდა და რომელსაც დღეს ხდგამს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა. (თავდასხმა პეკინში, თავდასხმა არკოსზე, „დოკუმენტის“ ისტორია, ურთიერთობის გაწყვეტა და სხვა).

გარდა ამისა სერ ოსტინ ჩემბერლენის სიტყვაში არის ერთი ადგილი, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს ინგლისის ფართე მასები და მისი ეგ რედწოდებული „საქმიანი წრეები“. ეს ადგილი ეხება სავაჭრო ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან. სერ ოსტინ ჩემბერლენი ფიქრობს, რომ დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის პირობებში, როდესაც არ არსებობს იმის გარანტია, რომ დაცული იქნეს ინგლისში საბჭოთა კავშირის ქონება, შეიძლება კვლავინდებურად ვაჭრობის წარმოება. ეს, რა თქმა უნდა, სხვა რომ არაფერი იყოს, შეცდომაა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმება და დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა მოხდა ინგლისის მთავრობის ინიციატივით.

მე უნდა განვაცხადო, რომ დღემდე ჩვენ არავისგან არ მიგვიღია არც ოფიციალური და არც ოფიციოზური წინადადება ინგლისის მთავრობასთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ. თავის თავად იგულისხმება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის მთავრობა გულწრფელად წამოაყენებს წინადადებას დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ, საბჭოთა მთავრობა მზად არის ყოველ წუთს დაიწყოს სათანადო მოლაპარაკება და მოითხოვს იმის გარანტიას, რომ არ განმეორდეს ისეთი დაუშვებელი მაგალითები, როგორიცაა თავდასხმა არკოსზე და სხვა. საბჭოთა მთავრობა მზად არის გადასდგას ყოველგვარი ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობიანობის დამყარებას, ვინაიდან მშვიდობიანობის განმტკიცებაში ერთნაირად არიან დაინტერესებული როგორც საბჭოთა კავშირის, ისე დიდი ბრიტანეთის მშრომელთა ფართე მასები“ (ადს).

რით აიხსნება ჩემბერლენის „მშვიდობიანობა“

კოვნო, 3 აგვისტო. ნაროდნიკების ორგანო „ლეტუვოს ჟინიოს“-ი აქვეყნებს წერილს ამ სათაურით: „ინგლისი, ამერიკა და საბჭოთა კავშირი“. გაზეთი სწერს:

„ჩემბერლენი მოულოდნელად ალაპარაკდა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ. ლონდონმა ვერ მოახერხა ანტი-საბჭოთა ბლოკის შექმნა. გერმანია პოლიტიკურად და იურიდიულად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან და ინგლის-საბჭოთა კონფლიქტში იცავს სრულ ნეიტრალიტეტს. ამასთან ერთად უმჯობესდება ეკონომიური ურთიერთობა ამერიკასა და საბჭ. კავშირს შორის. სწორედ ამით აიხსნება ჩემბერლენის მოულოდნელი მშვიდობიანი განწყობილება“. (ადს).

ჟენევის კონფერენციაზე

თუნდაც მოჩვენებითი კომპრომისი

ბერლინი, 3 აგვისტო. იაპონიის დელეგაცია ჟენევაში განაგრძობს შუამავლობის ცდას იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას თუნდაც მოჩვენებითი კომპრომისი. დელეგაციამ გამოიმუშავა წინასწარი შეთანხმების პროექტი და აწარმოებდა მოლაპარაკებას ამერიკის და ინგლისის დელეგატებთან. მოლაპარაკების შედეგები საიდუმლოდ ინახება. (ადს)

თეთრი ტერორი

სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 3 აგვის. ზაგრების გაზეთები იუწყებიან, რომ სამხრეთ-სლავიის პოლიცია მალავს ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწვია სამხრეთ-სლავიაში ამას წინად დაბრუნებულ და „კომუნისტური პროპაგანდისათვის“ ქალ. ზაგრებში დაპატიმრებულ ჩერნოგორიელ კუსოვაცს. ამის გამო ზაგრებელი მუშები ძალიან აღშფოთებული არიან, რადგან ფიქრობენ, რომ კუსოვაცი მოკლულია. (ადს).

სეიმი პილსუდსკის წინააღმდეგ

ვარშავა, 3 აგვისტო. ფრაქციების უმრავლესობამ ხელი მოაწერეს პეტიციას, რომელიც წარედგინება პრეზიდენტს და რომელიც მოითხოვს სეიმის სასწრაფო სესიის მოწვევას. პეტიციის წარდგენა პრეზიდენტისათვის დაავალეს სეიმის თავმჯდომარეს რატაის.

შობერის წინააღმდეგ

ვენა, 3 აგვის. ვენის პოლიციელთა პროფკავშირმა ადმინისტრატიულ სასამართლოში შეიტანა საჩივარი პოლიცი-პრეზიდენტის შობერის წინააღმდეგ. საჩივარის აღძვრის მიზეზია პოლიციელთა სადელეგატო კრების დაშლა შობერის მიერ. (ადს).

ომის საფრთხის წინააღმდეგ

დემონსტრაციები ბერლინში

ბერლინი, 3 აგვისტო. ბერლინში გაიმართა 11 მრავალრიცხოვანი მიტინგი და დემონსტრაცია, რომლების ლოზუნგიც იყო: „ბრძოლა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დაცვა“. (ადს).

ამსტერდამის საიდუმლოებანი

უდეგესტის და მისი დამქაშების ყოველგვარი ცდა, რომ ბრწყინვალე დემონსტრაციებით დაეფარათ და დაემალათ ამსტერდამის სამზარეულოში გამეფებული შმორი, ამაო აღმოჩნდა. უდეგესტი ვერ იხსნა სამხრეთ-აფრიკელმა ქადალმა, რომელიც სპეციალურად იყო გამოწვეული იმისათვის, რომ მისი საშუალებით დაემტკიცებიათ უშუალო კავშირის არსებობა ამსტერდამის ინტერნაციონალსა და აღმოსავლეთს შორის. შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამსტერდამელები იძულებული გახდენ თვითონ ელაპარაკათ მთელი სიმართლე ამსტერდამის პროფკავშირთა გაერთიანების, მოქმედების, ანუ უკეთ, რომ ვსთქვათ, ბოროტმოქმედების შესახებ.

ამსტერდამის ინტრიგების გამოაშკარავებას ძალიან შეუწყო ხელი ფინანსიურმა კრიზისმა. კაპიტალიზმის მხნელებმა გაითვალისწინეს ცარიელი სალაროს მნიშვნელობა და დაფიქრდენ თავისი აპარატის რეორგანიზაციაზე. ამსტერდამის ზედაფენების გადაწყვეტილებამ, რომ სამდივნო შეცვლილიყო ერთი მდივანით, აალაპარაკა ყველა მდივნები, რომელნიც აშკარა ბრძოლით გამოვიდენ; ამასთან ერთად ფართო პროლეტარულ მასებს მიეცათ საშუალება გაეგოთ მთელი სიმართლე ამსტერდამის მთავარი გმირის—ბატონ უდეგესტის მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, რომ ამსტერდამი გააფრთებით იბრძოდა პროფკავშირთა მთლიანობის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და აგრეთვე მუშათა კლასის ნამდვილი კლასობრივი გამოსვლების წინააღმდეგ მსოფლიოს ყოველ კუთხეში. მაგრამ ამსტერდამელები თავიანთ კონტ-რევოლიუციონურ მოქმედებას ხელოვნურად ფარავდენ მყვირალა ფრაზებით. ჯერ კიდევ გუშინ, ბატონ სტენგიიმ იმდენი თავხედობა გამოიჩინა, რომ განაცხადა: „ამსტერდამი თავის წარმოშობიდანვე ყოველთვის უწვდიდა რუსებს ძმურ ხელს“. ბატონმა სტენგეისმა, რასაკვირველია, არ დასძინა, რომ ამ „ძმურ ხელში“ ამსტერდამელებს ეჭირათ მოწამლული მახვილი. მაგრამ ბატონ სტენგეისის მეტად ყალბი სიტყვების საპასუხოდ გამოვიდა ბროუნი, რომელმაც ცარიელ ფრაზებს დაუპირდაპირა ურყევი დოკუმენტები. ბროუნმა მოიყვანა ციტატები უდეგესტის, ჟუოს და მერტენსის წერილებიდან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ამსტერდამის მამა ინტრიგებს ეწეოდა არა მარტო საკავშირო ცენტრ. საბჭოს წინააღმდეგ, არამედ გენერალურ საბჭოს წინააღმდეგ, როცა უკანასკნელი ინგლისის მუშათა მასების უშუალო ზეგავლენით სცდილობდა პრაქტიკულად დაესვა საკითხი პროფკავშირთა მთლიანობის განხორციელების შესახებ. ბროუნის მიერ მოყვანილი ციტატები ამტკიცებენ აგრეთვე, რომ ბატონმა უდეგესტმა, რომელიც იბრძვის „დემოკრატიისათვის“ და ამხედრებული იყო პროფინტერნის წინააღმდეგ ფრაქციული პოლიტიკის გამო, ფრაქციული კრება მოაწყო თავის თანამოაზრეებთან ერთად.

ბროუნის ბრალდებანი უპასუხოდ დარჩა. უდეგესტ-მარტენს-ჟუოს კოალიციას შეეშინდათ იმისიც კი, რომ შექმნილიყო კომისია ბროუნის მხილებათა გამოსარკვევად. ასეთი კომისიის შექმნაზე უარის გაცხადებით კოალიციამ დაადასტურა ის ბრალდებანი, რომელნიც წამოყენებული იყო მის წინააღმდეგ.

ამსტერდამის კონგრესი ჯერ არ დამთავრებულა. სჩანს, რომ მდივნებს შორის გაჩაღებული ბრძოლა მეტად საინტერესო იქნება: იგი დაეხმარება მუშათა კლასს დაინახოს ამ სოციალ-გამცემლების ნამდვილი სახე, რომელნიც პროლეტარული მასების დამცველთა და [illegible] სამოსში არიან გახვეულნი.

„პრავდა“.
მოსკოვი, 4. აგვისტო.

აღმოსავლეთში

„დამოუკიდებელი“ ეგვიპტე ინგლისის „მფარველობაში“

კრიზისი ეგვიპტეში „მოგვარებულია“. ინგლისის პრესას ცამდი აჰყავს ინგლისის ეგვიპტელ უმაღლეს კომისარის ლლოიდის და ეგვიპტის პრემიერის სარვატ-ფაშას სახელმწიფოებრივი „სიბრძნე“.

ფორმალურად კრიზისი მოაგვარეს. ეგვიპტის მთავრობას ძვირად დაუჯდა თავისი „კადნიერება“—ინგლისის იმპერიალიზმის წმინდათაწმინდის— ეგვიპტის არმიის საკითხის მოგვარების ცდა. ეგვიპტის ხალხი ყოველ წლიურად მილიონ მანეთებს ხარჯავს არმიის შესანახად, ფაქტიურად კი ეს არმია არავითარ სამხედრო ძალას არ წარმოადგენს და რაც მის განკარგულებაშია.

იმისათვის, რომ ეგვიპტის არმია, რომელიც დაახლოვებით 30.000 ჯარისკაცისაგან შესდგება, არ გადაიქცეს ნამდვილ სამხედრო ძალად, არსებობს ინგლისელი მთავარ-სარდალი და ინგლისელი ინსტრუქტორები, რომლებიც ფხიზლად ადევნებს თვალს იმას, რომ ეგვიპტის არმია წარმოადგენდეს მხოლოდ პაროდიას არმიისას.

ინგლისის განკარგულებაში მყოფ ეგვიპტის არმიის გადაქცევა სამხედრო, ნაციონალურ გვარდიათ, რომ გაჭირვების მომენტში შეიძლებოდეს მასზე დაყრდნობა,—დიდი ხანია შეადგენს ეგვიპტელ ნაციონალისტების სანუკვარ ოცნებას.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევენ ნაციონალისტები არმიის რეორგანიზაციის შემდეგ სამ მუხლს:

1) ინგლისის კონტროლის გაუქმება ეგვიპტის არმიაზე და უკანასკნელის სრული დამოუკიდებლობა;

2) არმიის ბრძოლის უნარიანობის გაძლიერება;

3) არმიის სანაპირო ნაწილების დაკავშირება ბედუინთა ტომებთან არმიაში ბედუინთა სამხედრო ნაწილების შექმნით.

თავის მიზნების მისაღწევად, ნაციონალისტებმა დაიწყეს არმიიდან ინგლისელ ოფიცრების თანდათანობით დათხოვნის პოლიტიკის გატარება (ეგვიპტის არმიაში ყველა უმაღლესი თანამდებობანი ინგლისელებს უჭირავთ), რასაც ინგლისელი მთავარ-სარდალი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. ამ წინააღმდეგობამ საშინელი აღშფოთება გამოიწვია მთელ სახელმწიფოში და, დაბოლოს, ეგვიპტის პარლამენტის კომისიამ შეიტანა წინადადება მთავარ-სარდლის თანამდებობის გაუქმებისა და სამხედრო ხარჯების გადიდების შესახებ არმიის ბრძოლის უნარიანობის გადიდების მიზნით.

ამ წინადადების საპასუხოთ, ინგლისის უზენაესმა კომისარმა სამხედრო ფლოტი გაიწვია მალტიდან და დაიმუქრა ეგვიპტის პარლამენტის გარეკვით.

ეგვიპტის მთავრობა დათმობაზე წავიდა ინგლისის უზენაეს კომისარის მრისხანე ულტიმატუმისა და კიდევ უფრო მრისხანე ინგლისის ფლოტის ზარბაზნების წინაშე. ამავე დროს, ინგლისის მიერ ეგვიპტის ტახტზე წამოსკუპებული მეფე ფუადი გაემგზავრა ლონდონში, სადაც მას შეხვდენ პატივით, როგორიც შეეფერება „მეგობრულად“ განწყობილ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოს მეთაურს. ჩემბერლენის კაბინეტში კი უკვე მზადდება ახალი სამარცხვინო ხელშეკრულება, რომელსაც, ნიშნად მადლობისა ინგლისის „მფარველობისათვის“ ალბათ, ხელს მოაწერს მეფე ფუადი, რომელიც ამისთვის შესაფერ ფულად ჯილდოს მიიღებს. პირველი შემთხვევა როდია, როცა ეგვიპტის მმართველები ქრთამს იღებენ ინგლისისგან.

რ. მ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 4 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გადასდოს საკ. პროფსაბჭოს პლენუმის მოწვევა მიმდინარე წლის შემოდგომისათვის (ადს).

ა. კ. ფედ.

დაწუნებულ პროდუქციის მუზეუმი

ზაპოროჟიე, 4 აგვისტო. მუშკორების ინიციატივით ქარხანასთან მოეწყო დაწუნებულ პროდუქციის მუზეუმი. გამოფენილია დაწუნებულ საქონლის სხვადასხვა ექსპონატები ახსნა განმარტებით. მუზეუმს ბევრი მუშები ათვალიერებენ. მუზეუმისადმი დიდ ინტერესს იჩენს ტექნიკური პერსონალი და ხელოსნები. (ადს).

გემ „სირენას“ დაღუპვა

არხანგელსკი, 4 აგვისტო. ერთი კვირის წინად დაიკარგა „სევეროლესის“ გემი „სირენა“. იგი ჩაძირული ნახეს თეთრ ზღვაში, ჩრდილოეთ დვინის შესართავის ახლოს. რაზმის 11 კაციდან, ტალღებმა 8 კაცი გამოაგდო ნაპირზე (ადს).

პედაგოგიური უნივერსიტეტი

მოსკოვი, 4 აგვისტო. განათლების სახალხო კომისარიატმა ნება დართო პოლიტგანათლების მთავარ მართველობას მიმდინარე სასწავლო წლიდან კომუნისტურ აღზრდის აკადემიასთან გახსნას პედაგოგიური უნივერსიტეტი. პირველ კურსზე მიღებულ იქნება 250 კაცი. მიღება დაიწყება აგვისტოს შუა რიცხვებში (ადს).

ანენკოვის ავადმყოფობა

სემიპალატინსკი, 4 აგვისტო. ანენკოვის ავადმყოფობის გამო, სასამართლომ რამდენიმე დღით შესწყვიტა მუშაობა. ანენკოვის ავადმყოფობა ექიმებმა გამწვავებულ დეზინტერიად სცნეს (ადს).

პროფ. ივანოვის ექსპედიცია

ლენინგრადი, 4 აგვისტო. მიღებულია ცნობები პროფესორ ივანოვის მარსელში ჩასვლის შესახებ. მაიმუნისა და ადამიანის სქესობრივად დაკავშირების ცდების საწარმოებლად პროფ. ივანოვი სამეცნიერო აკადემიის მიერ გაგზავნილი იყო საფრანგეთის გვინეიაში. პროფესორი ივანოვი საბჭოთა კავშირში დაბრუნებისას 12 შიმპანზეს ჩამოიყვანს სოხუმში (ადს).

კალიების საწინააღმდეგო კამპანია

მოსკოვი, 4 აგვისტო. ვოლგის სანაპიროებზე კალიების საწინააღმდეგო კამპანიის დროს კალიებისაგან გაწმენდილია 38.000 ჰექტარამდე ნათესები. ნათესები ყველგან დაცულია. კალიების გამანადგურებელმა გუნდმა დაასრულა თავისი მუშაობა (ადს).

„ტაიმირის“ ექსპედიცია

ლენინგრადი, 4 აგვისტო. თეთრ ზღვაში ერთი თვის ნაოსნობის შემდეგ დაბრუნდა გემი „ტაიმირი“, რომელმაც შემოიარა 35 პოლიარული რადიო სადგური. ექსპედიციის მონაწილეებს კუნძულ იოკანგზე უნახავთ ინგლისელებისაგან და თეთრგვარდიელებისგან დახვრეტილ წითელ არმიელების სასაფლაო, ერთ სასაფლაოში აღმოუჩენიათ 300-მდე დახვრეტილი. (ადს).

ნიჟეგოროდის ბაზრობაზე

ნიჟნი-ნოვგოროდი, 4 აგვისტო. ბაზრობის გახსნის დღიდან, „გოსტორგის“ პავილიონი და აღმოსავლური გამოფენა დაათვალიერა 10.000 კაცმა. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ბაზრობაზე მრავალი ვაჭარი ჩამოვიდა. ერთ დღეში საიჯაროდ გაიცა 200-მდე სავაჭრო შენობა. ახლო ხანში მუშაობას დაიწყებს საბაზრო თეატრი (ადს).

თურქესტანი

ბურცევის და კისელიოვის საქმე

ტაშკენტი. 4 აგვისტო. ამ დღეებში ტაშკენტში გაირჩევა ორ ყოფილ კომუნისტ პასუხისმგებელ მუშაკის საქმე.

აღმასკომის მდივანი ბურცევი და საქმეთა მმართველი კისელიოვი დასვენების დღეს აღმასკომის ორ თანამშრომელ ქალთან ერთად აღმასკომის ავტომობილით გაემგზავრენ ქალაქ გარეთ. ქეიფის შემდეგ ბურცევმა განიზრახა ერთ-ერთი თანამშრომელ ქალის—იდესისის გაუპატიურება. მაგრამ რადგან მან წინააღმდეგობა გაუწია, ბურცევმა მოკლა ის. მკვლელი და მისი ამხანაგი ერთხანს ირწმუნებოდენ, რომ იდესისმა თითონ მოიკლა თავი, მაგრამ შემდეგ ყველაფერში გამოტყდენ.

საკონტროლო კომისიამ ბურცევი და კისელიოვი გამორიცხა პარტიიდან (ადს).

საუბარი ამერიკელ კოოპერატორებთან

ბერლინი, 4 აგვისტო. ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობიდან მოსკოვში დაბრუნდენ ამერიკელი კოოპერატორები **ტენგუნენი და რონი**.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ტენგუნენმა და რონმა განაცხადეს:

„ჩვენს, ამერიკელ კომუნისტებსაც კი არ აქვთ იმის სწორი წარმოდგენა, რაც საბჭოთა კავშირში კეთდება. ჩვენ დავათვალიერეთ მრავალი კოოპერატიული მაღაზიები; შევადარეთ ისინი უცხოეთის და იმ დასკვნამდი მივედით, რომ საბჭოთა კოოპერატივებს თავისუფლად შეუძლიათ უცხოეთის კოოპერატივებთან შეჯიბრება; ზოგიერთი მათგანი კი უფრო მაღლა სდგას. აღსანიშნავია რომ ამერიკის კოოპერატივების საშუალო ზედნადები ფასი 19 პროც. უდრის; თქვენი კი—12 პროც. ზედნადები ხარჯები უცხოეთში აღწევს 15 პროც.; თქვენში კი 8.9 პროც.; ისიც ნაკლები სამუშაო დღით“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მძარცველ რეციდივისტს მიესაჯა დახვრეტა

განჯა, 3 აგვისტო. განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა სასამართლომ მძარცველ-რეციდივისტს რიბკინს მიუსაჯა უმაღლესი სოციალური სასჯელი—დახვრეტა.

რიბკინს წინად მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, მაგრამ 1926 წელს ის გაიქცა გამასწორებელი სახლიდან. ამის შემდეგ მან გაძარცვა კოოპერატივი სოფელ ბორისოვკაში, რამდენჯერმე თავს დაესხა გლეხებს და გაიტაცა საქონელი.

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო, რომ 1920 წლიდან მოყოლებული 1925 წლამდე რიბკინმა ჩაიდინა შემდეგი ბოროტმოქმედებანი: მოჰკლა კასიმ - ისმაილოვის დაირას ორი გლეხი, სოფელ ბორისოვკაში დასჭრა 10 წლის გოგო, დასჭრა იმავე სოფლის გლეხი გუსევი და სხვ.

სოფელ ბორისოვკას საზოგადოებამ, სადაც რიბკინი სცხოვრობდა, თხოვნით მიმართა სასამართლოს რიბკინის, როგორც გაუსწორებელ და სოციალურად საშიშ პიროვნების, თავიდან მოშორების შესახებ (ადს).

ახალი საბურღავი ჩარხები

ბაქო, 3 აგვისტო. „აზნავთმა“ მიიღო ახალი კონსტრუქციის ორი საბურღავი ჩარხი: მსუბუქი და მძიმე. მომავალ წლისათვის ჩარხებს გამოიყენებენ გეოლოგიური გამოკვლევითი სამუშაოებზე. (ადს).

სამხედრო მფრინავის სკალკინის დაკრძალვა

ბაქო, 4 აგვისტო. მუშათა მრავალი დელეგატების თანდასწრებით მოხდა ტრაგიკულად დაღუპულ სამხედრო მფრინავის სკალკინის დაკრძალვა. სხვადასხვა ორგანიზაციებმა გვირგვინებით მორთეს განსვენებულის კუბო. ზოგიერთი ორგანიზაციები გვირგვინის მაგიერ აწარმოებდენ შემოწირულებათა შეკრებას ესკადრილიისათვის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“. ერთი დღის განმავლობაში შეკრებილ იქნა 1000 მანეთზე მეტი (ადს).

სომხეთი

გერმანელი მოგზაურები

ერევანი, 4 აგვისტო. გუშინ ერევანში ჩამოვიდენ გერმანელი მოგზაურები **ელეონორა სტინესის** მეთაურობით, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სრულიად საკავშირო გადარბენაში—მოსკოვი-თბილისი.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში სტინესმა განაცხადა:

„ჩვენი მოგზაურობის მიზანს შეადგენს არა მარტო ცალკე ქვეყნების გეოგრაფიასთან გაცნობა, არამედ ამ ქვეყნებში მოსახლე ხალხების ყოფა-ცხოვრებასთან გაცნობაც.

ამ მიზნით ჩვენ დავიწყეთ მოგზაურობა დედამიწის გარშემო. ბერლინიდან გამოვედით 2 თვის წინად. შემოვიარეთ უნგრეთი და ბალკანეთი; ვინახულეთ ანგორა, დამასკი; ბეირუთი; კონია; თეირანი და ჯულფა. ჩვენი შემდგომი მარშრუტია ერევანი—თბილისი — მოსკოვი—ჩინეთი—იაპონია და შემდეგ კი ამერიკა. მთელი მოგზაურობა გაგრძელდება დაახლოვებით 1 წელიწადს.

შეეხო რა ერევნის შთაბეჭდილებებს და იმ შეხვედრას, რომელიც გაუმართა მოგზაურებს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, სტინესმა განაცხადა: „მე მივდივარ ერევნიდან საუკეთესო შთაბეჭდილებებით“.

დღეს დილით, 11 საათზე სტინესი თანამგზავრებთან და გერმანიის თბილისელ კონსულთან ერთად გაემგზავრა თბილისში სევანით და ყარაკლისით. (ადს).

სავაჭრო ურთიერთობა სპარსეთთან

თათბირი ა.-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატში

3 აგვისტოს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა კომისარიატის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ა.-კ. ვაჭ. კომისარიატის რწმუნებული სპარსეთში ამხ. **ლარიბოვი**.

მომხსენებელმა დაახასიათა ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა უკანასკნელ ხანებში სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ამხ. ლარიბოვის სიტყვით, ჩვენს მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს ე. წ. მეორე ხარისხოვანი საექსპორტო საქონლის გატანა სპარსეთის ბაზარზე, ხოლო იქიდან კი უნდა შემოვზიდოთ სამრეწველო ხასიათის ნედლეული. ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენლობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სპარსული მშრალი ხილის დამზადების საქმეს. წარმომადგენლობის ინიციატივით დაწყებულ იქნა ხილის გახმობა ე. წ. კალიფორნიის წესით და დღეს ამ წესით მუშაობას აწარმოებენ თითქმის ყველა მსხვილი სპარსული ხილის მრეწველები.

სპარსეთის ბაზარზე მთავარ საკონკურენციო საქონლად ითვლება—მანუფაქტურა, შაქარი, ბენზინი და ე. წ. ტექნიკური ზეთები. მანუფაქტურის ბაზარზე ჩვენი როლი თანდათან იზრდება. 1922-23 წელთან შედარებით მიმდინარე წელს ჩვენ შეგვიზიდავს სპარსეთის ბაზარზე 35 პროცენტით მეტი რაოდენობის მანუფაქტურა. შაქრის ბაზარზე პირველი ადგილი უკვე დიდი ხანია უკვე საბჭ. კავშირიდან გატანილ შაქარს უჭირავს სპარსეთის თითქმის ყველა შორეული კუთხეებიც კი ამჟამად ყიდულობენ საბჭოთა შაქარს. სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი შაქარი ზოგიერთ პუნქტებში არ აღემატება შაქრის საერთო მოთხოვნილების 3-5 პროცენტს.

უკანასკნელ ხანებში ინგლისელებმა სცადეს თავისი ბენზინის შემოტანა სპარსეთში, მაგრამ მათ პირველ ხანებშივე მოუხდათ უკან დახევა ვინაიდან საბჭოთა ბენზინი გაცილებით უკეთესი ხარისხის აღმოჩნდა.

სპარსეთის სავაჭრო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებისადმი.მოსახლეობაც ფხიზლად ადევნებს თვალყურს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ამჟამად სავაჭრო წარმომადგენლობა აწარმოებს წვრილ სავაჭრო ორგანიზაციებთან ცალკე ხელშეკრულებების დადებას.

მომხსენებლის თქმით, მისი წამოსვლისას უკვე დადებული იყო რამოდენიმე ასეთი ხელშეკრულება.

საუბარი ამხ. ბ. მდივანთან

ბაქო, 4 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა სპარსეთში ამხ. **მდივანმა**, ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს, საბჭოთა კავშირის და სპარსეთის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ განაცხადა:

„გარკვევით შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს სპარსეთში უკვე არ არსებობს არა თუ ბოიკოტისტური მოძრაობა, ბოიკოტისტური განწყობილებაც კი. საბჭოთა ხელისუფლების მიერ იქნა მიღებული ზომები, რომლებმაც ძირშივე მოსპო ყოველგვარი საბაბი უკმაყოფილებისათვის. დღეს სპარსეთში არ მოიპოვება ისეთი პუნქტი, სადაც ბოიკოტისტებს ქონდეს რამე გავლენა. ვაჭრებს, განსაკუთრებით ჩრდილოეთ სპარსეთში სურთ ვაჭრობა მხოლოდ ჩვენი საქონლით. მათი სურვილი განხორციელებულია თითქმის მთლიანად შაქრის და მანუფაქტურის მხრივ. საქონლის ხარისხი მთლიანად აკმაყოფილებს ბაზარს. ჩვენი საქონლის შედარებითი სიძვირე, ცოტა აფიქრებს სპარსელ ვაჭრებს, მაგრამ ამ ვაჭრებს საშუალება აქვთ შემოზიდონ საბჭოთა კავშირში თავიანთი საქონელი, ამიტომ სიხარულით ყიდულობენ სამაგიეროთ ჩვენს საქონელს და მაინც ღებულობენ საშუალო კომერციულ მოგებას. სპარსელი ვაჭრების უკმაყოფილება ჩვენი საქონლის ჩალაგებით სამართლიანია და სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ მიღებულია ზომები ჩალაგების გასაუმჯობესებლათ. მოსპობილია აგრეთვე ის მდგომარეობა, როდესაც ჩვენი ორგანიზაციები დაგვიანებით აბარებდენ საქონელს. სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების გარშემო მოლაპარაკება დღეს თუ ხვალ დამთავრდება და ხელშეკრულებაც დაიდება. სპარსეთის ვაჭრები მოუთმენლად ელიან ამ ხელშეკრულების დამტკიცებას და ფიქრობენ, რომ ამის შემდეგ სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა ჩქარის ტემპით განვითარდება. ნიჟეგოროდის ბაზრობისათვის მოსკოვში დაწესებული კონტინგენტი მთლიანად არის განაწილებული. წარმოდგენილია ახალი მოთხოვნილებები, რომლის დაკმაყოფილება ჯერ-ჯერობით არ ხერხდება. ეს იმით აიხსნება, რომ ვაჭრებმა, რომლებიც განთავისუფლდენ ბოიკოტისტების გავლენისაგან, დამოუკიდებლათ გადასწყვიტეს საკითხი ბაზრობაში მონაწილეობის მიღების შესახებ და ცდილობენ იმ საქონლის გასაღებას, რომელიც დაგროვდა მათ ხელში, ბაქოს ბაზრობაში არა სრული მონაწილეობის მიღების მიზეზით. საბჭოთა მთავრობამ სერიოზული შეღავათები მისცა სპარსეთის ვაჭრებს: გაანთავისუფლა ბაჟისაგან, შეამცირა საქონლის შესანახი ხარჯები, მისცა სესხი და სხვა. ნიჟეგოროდის ბაზრობაში დიდძალი საქონელი იქნება ჩამოტანილი სპარსეთიდან და მოგებაც დიდი ექნება სპარსეთის ვაჭრებს, ვინაიდან ფასებიც, ბაქოს ბაზრობაზე არსებულ ფასებთან შედარებით უფრო აწეულია.

ბაქოს ბაზრობაზე ჩამოსვლას აპირებს სპარსეთიდან მთელი დელეგაცია 20 კაცისაგან შემდგარი. დელეგაციაში მონაწილეობას მიიღებენ მსხვილი ვაჭრები, ლიტერატორები და პოლიტიკური მოღვაწეები.

ბაზრობის დათვალიერების შემდეგ, დელეგაციას განზრახული აქვს საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ცენტრის დათვალიერება საბჭოთა მრეწველობის გასაცნობათ. ამას სპარსეთში სერიოზული მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან საქმიან წრეებს სურს სიმართლე იცოდეს საბჭოთა ეკონომიკის შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, რომ დელეგაცია ყველგან სათანადოთ იქნება მიღებული და სპარსეთში დაბრუნებისას გაფანტავს იმ ჭორებს, რომლებსაც ავრცელებენ ჩვენი მოწინააღმდეგეები“ (ადს).

სპარსელ ვაჭრების მისალმება

მოსკოვი, 4 აგვისტო. რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატამ მისასალმებელი დეპეშა მიიღო რეშტის და პეხლევის სპარსელ ვაჭრებისაგან; ესალმებიან რა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის გახსნას, ვაჭრები ღრმა რწმენას გამოსთქვამენ; რომ ბაზრობა უფრო მჭიდრო ეკონომიურ კავშირს შექმნის ორი ქვეყნის მეგობრულ ხალხების შორის. უსურვებენ რა ბაზრობას წარმატებით ჩატარებას. სპარსელი ვაჭრები მოუთმენლად ელიან სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, რომელიც გააძლიერებს საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის სახალხო მეურნეობის ურთიერთ კავშირს. (ადს).

ქვეყნის თავდაცვა და პროფკავშირები

(ა.-კ. პროფორგანიზაციების თათბირი)

4 აგვისტოს საღამოს გაიხსნა ამიერ-კავკასიის პირველი თათბირი პროფკავშირების მუშაობის შესახებ გასამხედროების დარგში.

თათბირს ესწრებიან საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის პროფსაბჭოს წარმომადგენელნი, კავკასიის წითელ დროშოვან არმიის შტაბის უფროსი ამხ. ალაფუზო და თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების წარმომადგენელნი.

პირველ კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

სამხედრო ცოდნის პროპაგანდა უკანასკნელ ხანამდე შედარებით სუსტად წარმოებდა პროფკავშირების წევრებს შორის. „თავდაცვის კვირეულმა“ მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ეს საპროპაგანდო მუშაობა, დასახა მუშაობის ახალი ფორმები, გააძლიერა კავშირი თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებასთან, მოეწყო მრავალი მსროლელთა წრეები და სამხედრო ცოდნის წრეები. მაგრამ წრეების მუშაობაში დღემდე არ არის სისტემა, მათ აკლიათ იარაღი და ხელსაწყოები, მათ და ფიზკულტურის წრეებს შორის არ არსებობს საქმიო კავშირი. თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების მუშაობაც მოიკოჭლებს იმის გამო, რომ სუსტია ორგანიზაციები ადგილობრივ.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის შტაბის უფროსმა ამხ. ალაფუზომ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მუშაობა პროფკავშირების ყველა წევრთა გასამხედროებისათვის უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების საშუალებით, ვინაიდან ეს არის ერთად-ერთი ორგანიზაცია, რომელიც პარტიისა და სახელმწიფოს მიერ მოწოდებული არის აწარმოოს სამხედრო მუშაობა არმიის გარეშე.

ამხ. ალაფუზომ წინადადება შეიტანა—რეზოლიუციაში აღინიშნოს, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების მუშაობა დღემდე სუსტია.

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო კამპანიის შედეგები

(მესამე რაიონი)

უჯრედთა ბიუროების საანგარიშო კამპანია ქალ. თბილისის მესამე რაიონში დაიწყო 27 მაისს და დასრულდა 6 ივნისს. 31 უჯრედიდან ბიუროს ანგარიში გატარდა მხოლოდ 3 უჯრედში, ხოლო დანარჩენ 28 უჯრედში არ გატარდა ანგარიში, რადგან ისინი ახალი დაარსებულია.

როგორია ჩატარებული კამპანიის შედეგები?

საანგარიშო სხდომებზე დამსწრე წევრთა და კანდიდატთა საშუალო პროცენტი უდრის 70,2-ს; მარშან უჯრედთა ბიუროების გადარჩევაზე დამსწრეთა პროცენტი კი უდრიდა 71,0-ს. დასწრების პროცენტის შემცირებაზე იმოქმედა შვებულებებმა.

უჯრედთა მდივნების ანგარიშები დამაკმაყოფილებლად იყო შედგენილი და სრულიად შეიცავდა უჯრედის მუშაობის ყველა მხარეს, და მეორეს, თვითშემოწმები კომისიები თავის თანამოხსენებებში დაწვრილებით აშუქებდენ უჯრედის მუშაობის, როგორც მიღწევებს, ისე ნაკლოვანებებს.

უდიდესი აქტივობას ჰქონდა ადგილი მეორე ზეთსახდელი უჯრედის კრებაზე, სადაც კამათში გამოვიდა დამსწრეთა 66 პროც., ტყავის ქარხანა № 3 უჯრედის კრებაზე—50 პროც. და სხვ.

უნდა აღინიშნოს კამათში გამოსვლის საქმიანი ხასიათი და ჯანსაღი კრიტიკა უჯრედთა ბიუროს მუშაობაში.

საანგარიშო კამპანიის შედეგად საჭიროა აღინიშნოს, რომ მთელ მესამე რაიონში, როგორც კამპანიის ჩატარებაში, ისე უჯრედებისა და ბიუროების მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ მიღწევებს, სახელდობრ:

ორგანიზაცია მთლიანია და მჭიდრო, მასში არა აქვს ადგილი გადახრებს, ინტრიგებს და უთანხმოებას. ცალკე უნდა აღინიშნოს გამომკვლევ საუჯრედო კომისიების ნაყოფიერი მუშაობა უჯრედთა ბიუროების საანგარიშო კამპანიებში. ეს ნაყოფიერი მუშაობა გამოიხატა პარტიის უბრალო წევრთა ჩაბმით გამოკვლევაში და [illegible] ყურადღების მიქცევით უჯრედთა ბიუროების ნაკლოვანებებზე.

უნდა აღინიშნოს უჯრედების დიდი მონაწილეობა აპარატში მუშური ელემენტების შეყვანის საქმეში ბიუროკრატიზმთან, პროტექციონიზმთან და ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში და სხვ.

ზემოჩამოთვლილ მიღწევებთან ერთად საანგარიშო კამპანიის დროს გამომჟღავნდა მთელი რიგი ნაკლოვანებები. როგორც, მაგალითად: უჯრედების მიერ სუსტი ხელმძღვანელობის გაწევა ნებაყოფლობითი საზოგადოებებზე; პარტორგანიზატორის მუშაობის სისუსტე და მათზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა. უჯრედების სხდომებზე პარტორგანიზატორები არ აბარებდენ ანგარიშს, არ მართავდენ თათბირებს და სხ.

ცალკე უნდა აღინიშნოს უჯრედის დახურული კრებების სიმრავლე და ღია კრებების შედარებითი სიმცირე „პარტიულების არა საკმაო მონაწილეობა საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობაში, შრომის ნაყოფიერების, შრომის დისციპლინის ამაღლებისა და რაციონალიზაციის საკითხებში. პარტმოვალეობათა არადამაკმაყოფილებლად შესრულება და სუსტი კონტროლი უჯრედთა ბიუროს დადგენილების განხორციელებაზე, პარტიულის დაუსწრებლობა პოლიტსკოლაში, უჯრედთა ბიუროს სუსტი ხელმძღვანელობა საუჯრედო კომისიებზე, ზოგიერთ უჯრედთა ბიუროების სუსტი ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედებზე, არადამაკმაყოფილებელი ყურადღების მიქცევა პარტმიმდგრობულთა მომზადებისათვის, უკანასკნელთა მიერ კომკავშირის მუშაობის ახალ მეთოდებისა და ფორმების უცოდინარობა და, ბოლოს მუშების სუსტი ჩაბმა პარტიაში.

ძ.—ია.

სამხედრო კომუნისტების კრება

29 ივლისს ქ. გორში მოწვეულ იყო 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის გორის საბანაკო შეკრების კომპარტიის და კომკავშირის წევრთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 300-მდე პარტიის და კომკავშირის წევრი და კანდიდატი.

დღის წესრიგში იდგა მოხსენება კომინტერნის აღმასკომის მე-8 პლენუმის შესახებ.

მოხსენება გააკეთა ამხ. რამიშვილმა. მომხსენებელი შეეხო პლენუმის მუშაობის ყველა ძირითად საკითხებს და იმ დადგენილებებს, რომელიც გამოიტანა პლენუმმა ომის რეალურ საფრთხესთან დაკავშირებით.

მომხსენებელი აგრეთვე შეეხო ოპოზიციის დაუშვებელ გამოსვლას პლენუმზე, იმ დროს, როდესაც საჭიროა რიგების შემჭიდროვება და ურყევი ერთსულოვნება იმპერიალისტურ საფრთხის წინააღმდეგ.

მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია:

ქართულ მსროლელ დივიზიის და ქ. გორის გარნიზონის გაერთიანებულმა საგარნიზონო პარტკრებამ მოისმინა რა მოხსენება კომინტერნის აღმასკომის მე-8 პლენუმის შესახებ, საერთაშორისო მდგომარეობის შეფასება, მოცემული პლენუმის მიერ მიაჩნია სწორად.

საერთო კრება აღიარებს, რომ ის დადგენილებები, რომლებიც მოგვცა პლენუმმა, სავსებით სისწორით საზღვრავენ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის როლს და ამოცანებს მომავალ ომში, რომელსაც სოციალ - დემოკრატების დახმარებით გაფაციცებით ამზადებენ მსოფლიო იმპერიალისტები ინგლისის შუბლმაგარ კონსერვატორების დახმარებით.

საერთო კრება გამოსთქვამს თავის ერთსულოვან აღშფოთებას იმის გამო, რომ ოპოზიციონურმა ბლოკმა, თავის მორიგ ანტიპარტიულ გამოსვლის ასპარეზად, მიმდინარე გართულებულ მდგომარეობაში, გახადა მე-8 პლენუმის ტრიბუნა. კრებას დაუშვებლად მიაჩნია, რომ ოპოზიციამ ამით უხეშად დაარღვია 16 ოქტომბრის დაპირება პარტიისადმი, რომ მან უყოყმანოდ მოითხოვა ლენინიზმის და კომუნიზმის რენეგატების (მასლოვ - რუტფიშერ და სხვა) კომინტერნში დაბრუნება.

საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების, პირველ პროლეტარულ რესპუბლიკის გარემოცვის, მასზე იმპერიალისტების მოსალოდნელ თავდასხმის პირობებში მსგავსი ანტიპარტიული და მავნე ფრაქციული მუშაობით, როგორც ჩვენში, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ოპოზიცია უნებლიე სამსახურს უწევს ჩვენს მტრებს და დეზორგანიზაცია შეაქვს საბჭოთა რესპუბლიკის დაცვის საქმეში.

მიგვაჩნია რა ეს დაუშვებლად, გორის გარნიზონის კომუნისტები ერთსულოვნად მოითხოვენ ცეკას მომავალ პლენუმისაგან გადამწყვეტ ზომების მიღებას ლენინის პარტიის მთლიანობის და ჩვენი თავდაცვის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ.

ძირს დეზორგანიზატორები!
გაუმარჯოს კომინტერნს!

ჩვენი პარტიულ ორგანიზაციების ზრდა

(1-ლი ქართული დივიზია)

პარტიაში ლტოლვა თვიდან თვეზე მატულობს, რაც უნდა მიეწეროს უპარტიოთა შორის პარტორგანიზაციის მიერ წარმოებულ აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას. ინტერესი პარტიისადმი აშკარავდება იმით, რომ თვით წითელარმიელების ინიციატივით ლენკუთხეებში არსდება სპეციალური ჯგუფები, რომელნიც მიზნად ისახავენ კომპარტიის წესდების და პროგრამის შესწავლას. მეტი ყურადღება ექცევა პარტიაში შემსვლელების სოციალურ მდგომარეობას და მის აქტივობას საზოგადოებრივი მუშაობის ასპარეზზე.

სულ ექვსი თვის განმავლობაში მიღებულია პარტიაში 209 კაცი; მათგან მუშები 21,5 პრ., გლეხები 66,5 პროც. და დანარჩენი 12 პროც. რიცხობრივ ზრდასთან ერთად ჩვენ პარტიულ ორგანიზაციას ხარისხობრივი ზრდაც ეტყობა.

დიდი ყურადღება ექცეოდა ახალწვეულ წითელარმიელების ჩაბმას პარტიაში. მიღება პარტიაში სწარმოებს უმთავრესად ა. ლ. კ. კავშირის ორგანიზაციიდან.

როგორც პარტიული ისე კომკავშირის ორგანიზაცია ყოველ მხრივ ხელს უწყობენ წითელარმიის აღმშენებლობის და ბრძოლის უნარიანობის ამაღლების საქმეს.

ი. რუდოვსკი.

გადარიცხვა ჭიანურდება

არა ერთი და ორი კორესპონდენცია მოთავსებულა ჩვენს გაზეთში იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სამაზრკომები აჭიანურებენ კანდიდატების წევრებად გადარიცხვას, ან კომკავშირელის პარტიის კანდიდატად მიღებას. საკანდიდატო ჯგუფებს და მასთან ყველა კანდიდატებს უთავდებათ საკანდიდატო სტაჟი, აგერ ერთი წელიც ზედ ერთვის და მათ წევრებად გადარიცხვაზე არავინ ზრუნავს.

ამიტომაა, რომ ხშირად კანდიდატების მუშაობა თანდათან სუსტდება, ამიტომაა, რომ ხშირად აქტიური კომკავშირელები სტოვებენ ორგანიზაციას.

რა საჭიროა საქმის გაჭიანურება; ვინც ღირსია უნდა გადაირიცხოს პარტიაში, ვინც არა და დარჩეს პარტიის გარეშე. ასე სჯობია საქმისათვის.

ა. მირცხულავა.

„ახალი“ ოპოზიციის გზა*)

I. „უკიდურესი მემარცხენენი“

(15-ის განცხადება)

ჩვენ იძულებული გავხდით დაგვესვა ეს სათაური იმიტომ, რომ ჩვენ გაგვიძნელდა ის, თუ რა გვეწოდებია იმ ამხანაგთა ჯგუფისათვის, რომლებმაც წარმოადგინეს 83 ფურცელზე დაწერილი პლატფორმა 15 გუშინ ჩამოთვლილი ხელმოწერით და, რომლებიც კიდევ უფრო მემარცხენენი არიან, ვიდრე ტროცკისტების ყველაზე უფრო „მემარცხენე პროლეტარული ლენინური ფრთა“. აი, რატომ დავარქვით ჩვენ მათ „უკიდურესი მემარცხენენი“. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ამონაწერები ერთ ანონიმურ დოკუმენტიდან, რომელიც წარმოადგენს ცეკაში შემოსულ განცხადების „წინასწარ დამუშავებას“. დოკუმენტის ავტორები ძლიერ უკმაყოფილო არიან იმ პასუხით, რომელიც მათ მიიღეს „პრავდა“-ს ფურცლებზე ამხ. სლეპკოვის წერილით „ოპოზიციონური ნეომენშევიზმი“. ისინი განსაკუთრებით აღშფოთებული არიან იმით, თუ როგორ მივეცით ჩვენ თავს ნება გაგვეკრიტიკებია ის დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნებული არ არის პრესაში.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ გავსცეთ პასუხი მათ, ვინც უსაყვედურებს პარტიას იმას, რომ ის არ ბეჭდავს ყველა ამ დოკუმენტებს ყოველდღიურ პრესაში. ვინ მოსთვლის, რამდენი ანტიპარტიული დოკუმენტი იცემა! არსად და არასდროს არ მიგვიღია ჩვენ გადაწყვეტილება, რომ ვალდებული ვართ ასეთი დოკუმენტები გამოვაქვეყნოთ პრესაში. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვალდებული არ ვიყოთ გავაკრიტიკოთ ასეთი დოკუმენტები, რომლებიც არალეგალურად ვრცელდება ჩვენს პარტიაში და პარტიის გარეშე, ისე, როგორც ვაკრიტიკებთ მთელ რიგ, ჩვენი პარტიის წინააღმდეგ მიმართულ, ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მათ გამოუქვეყნებლად. განსაკუთრებით ნათლად სწორედ იგივე აზრები, რომლებიც შემდეგ გამოთქმული იყვენ ცენტრალურ კომიტეტში შეტანილ განცხადებაში, ჩამოყალიბებული იყვენ ცალკე „თეზისებში“, რომლების განხილვა ჯერ კიდევ თებერვალში ხდებოდა ადგილ-ადგილ ფრაქციონულ არალეგალურ თათბირებზე.

ამ თეზისებში ნათქვამი იყო:

„1. „ბრძოლა პარტიის შიგნით ღებულობს კლასიურ ელფერს“. ბრძოლის მომენტში სტალინის მხარეზე იქნება მოხელეთა მთელი არმია, ოპოზიციის მხარეზე კი—პარტიის მუშური ნაწილი“.

2. „ბრძოლა არ შეიძლება განისაზღვროს შინაპარტიული ფარგლებით. სტალინის ჯგუფის და მის მომხრე წვრილ-ბურჟუაზიის დამარცხება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია უზრუნველჰყოფს თავისთვის მუშათა კლასის აქტიურ თანაგრძნობას და დახმარებას“.

3. „არ უნდა დავხუჭოთ თვალი მომავალი ბრძოლის სიძნელეზე, უნდა ნათლად შევიგნოთ, რომ შესაძლებელია დამარცხება და მზად უნდა ვიყოთ მისთვის, **რათა ერთბაშად შევქმნათ ცენტრი, რომელიც შემდეგში განაგრძობს ბრძოლას პროლეტარულ რევოლიუციის საქმისათვის**“.

4. ტროცკისა და ზინოვიევის ბლოკს ეს არ ესმის. ის გზაკვალს უბნევს ოპოზიციას სტალინის გამემარცხენების იმედებით, აფუჩეჩებს ოპოზიციასა და პარტიას (სტალინელების ხელმძღვანელი ჯგუფი) შორის არსებულ უთანხმოების ნამდვილ ზომას, არ სურს მოგვცეს გარკვეული პოლიტიკური და ტაქტიკური ხაზი. ეს შლის ოპოზიციას“.

5. „სტალინის და მისი პოლიტიკის მხილებასთან ერთად საჭიროა ოპოზიციონურ ბელადების მერყეობის მხილებაც—მხოლოდ მაშინ შევსძლებთ მტკიცე კადრების გამოჭედას, რომლებიც ბოლომდე მიიყვანენ საქმეს“.

ჩვენ არ ვკისრულობთ იმის მტკიცებას, რომ ამ დოკუმენტის ავტორები არიან ამავე დროს იმ დოკუმენტის ავტორებიც, რომელიც შეტანილია პარტიის ცენტრალურ კომიტეტში; მაგრამ **მსგავსება არა მარტო ზოგიერთ ფორმულიროვკის, არამედ ამ ჯგუფის ნამდვილ დამოკიდებულებისაც ტროცკი-ზინოვიევის ახალ ოპოზიციასთან** დასტურდება იმ ამხანაგების მთელ რიგ განცხადებებით, რომელთა ჩაბმას მუშაობაში სცდილობდა საპრონოვის ჯგუფი. ასე მაგალითად, სტალინის რკ. გზ. სახელოსნოების მუშა - კომუნისტი ბოიცოვი, შემდეგნაირად ახასიათებს ამ ჯგუფის **არალეგალურ მუშაობას:**

„ორი თვის წინად (1927 წლის აპრილში) ამხ. ბაბაშინმა (რომელიც ჯერ კიდევ 1926 წელში გამორიცხულია პარტიიდან მოსკოვის საკონტროლო კომისიის მიერ) მიმიწვია მე ერთ თათბირზე „მეტროპოლში“... მეტროპოლში ჩვენ შევხვდით, ამხ. საპრონოვს და ოთხ ამხანაგს... ამ თათბირზე ამხ. საპრონოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც შეჩერდა შემდეგზე: „ცენტრალური კომიტეტი დაეშვა ბოლშევიზმიდან მარჯვნივ ოპორტიუნიზმისაკენ. ცეკა უშვებს უხეშ შეცდომებს ჩინეთის საკითხში, სამეურნ. პოლიტიკის საკითხში, საკითხში სამუშაო ხელფასის შესახებ, ფასების დაკლების და შინაპარტიულ მდგომარეობის საკითხებში“. ამხ. საპრონოვმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ ჩვენ წავალთ სრულ შეთანხმებაზე ამხ. ტროცკისთან იმ პირობით, თუ ის უარჰყოფს 16 ოქტომბრის განცხადებას. ამხ. საპრონოვმა სთქვა, რომ ეს მოთხოვნილება მან წამოაყენა **ოპოზიციონურ ბლოკის ჯგუფების წარმომადგენლების კრებაზე**. მისი სიტყვის შემდეგ მე განვაცხადე, რომ ბრძოლა, რომლისაკენაც მოგვიწოდებს ამხ. საპრონოვი, განხეთქილებას შეიტანს მუშათა კლასში, რასაც გამოიყენებენ ჩვენი მტრები. ამხ. საპრონოვმა სთქვა, რომ **შეთანხმებისათვის არ არსებობს არავითარი შესაძლებლობა და რომ ამ შინაპარტიულ ბრძოლის დროს უპარტიო მუშათა შორის უნდა შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი ოპოზიციის სასარგებლოდ**“.

ამავე სახელოსნოების მეორე მუშა ამხ. სმოლკინი აგრეთვე მოგვითხრობს კრების შესახებ, რომელზედაც საპრონოვის ჯგუფის ერთ-ერთმა მომხრემ განაცხადა, რომ

„უნდა მოისპოს უთანხმოება ოპოზიციის ორ ჯგუფს შორის. ერთი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. საპრონოვი არ ეთანხმებოდა ლიდერების 16 ოქტომბრის განცხადებას თავის შეცდომების აღიარების შესახებ, მეორე ჯგუფი კი ლენინელების“, რომელიც ეთანხმებოდა ბელადების ტაქტიკას“.

იგივე ფაქტი, რომ **ოპოზიციონურ ბლოკში განხეთქილებაა და ცალ-ცალკე არსებობენ ფრაქციული ჯგუფები**, დასტურდება მესამე დოკუმენტითაც, რომელზედაც ხელმოწერები გროვდებოდა ხარკოვის ორგანიზაციაში (ბორისოვი, რჟავსკი, აბრანსკი, ჩერნიაკი). ამ დოკუმენტში ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას მთლიანობა ორ არალეგალურ ფრაქციონურ ჯგუფს შორის, რომლებიც არსებობდენ ხარკოვში.

„ამხანაგებო—ნათქვამია ამ მოწოდებაში,— უკანასკნელმა მოვლენებმა განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენეს, რომ საჭიროა **მთლიანობა ოპოზიციის რიგებში** (და არა პარტიის რიგებში!! ე. ი.). **ჩვენ შორის არსებული უთანხმოება, რომელმაც გამოიწვია ორ დამოუკიდებელ ორგანიზაციის ჩამოყალიბება,** ჩვენი ღრმა რწმენით მოხსნილია თვით ცხოვრების მიერ. ამგვარად **ახლა ორ დამოუკიდებელ ორგანიზაციის არსებობა** არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად. ჩვენ წინადადებას ვიძლევით **დაუყოვნებლივ დავიწყოთ ხარკოვის ორი ორგანიზაციის გაერთიანება;** ამასთან ერთად გთხოვთ გადასცეთ ჩვენი განცხადებები მოსკოველ ამხანაგებს, ვინაიდან ჩვენ მიგვაჩნია, რომ იქაც გაერთიანება საჭიროა, დღეს უფრო ვიდრე ოდესმე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი წინადადება იპოვის მომხრეებს ორივე ორგანიზაციის რიგებში. დარწმუნებული ვართ, რომ გაერთიანებით ჩვენ თავიდან ავიშორებთ ძალების უსარგებლო დაკარგვას, რაც არავისთვის არაა საჭირო და უზრუნველვყოფთ უფრო ნაყოფიერ მუშაობას ბრძოლაში ჩვენ შეხედულებათა განხორციელებისათვის“.

ყველა ამ და ზემოთმოყვანილ დოკუმენტებიდან უდავოა შემდეგი:

1) „უკიდურეს მემარცხენეებს“ და ტროცკისტებს აქვთ ხარკოვში, მოსკოვში (და ალბათ რამოდენიმე სხვა ქალაქებშიაც) ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი ორგანიზაციები (დეე ეს ორგანიზაციები იყონ მხოლოდ „ლიტერატურულ-პროპაგანდისტური ცენტრები“).

2) სწარმოებს ოპოზიციონურ ჯგუფების წარმომადგენელთა თათბირები შეთანხმების მიზნით. სცდილობენ პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ხაზის გამომუშავებას. მაგრამ უთანხმოება იმდენად დიდია, რომ ჯერჯერობით შეთანხმება არ მოხერხდა.

3) „უკიდურესი მემარცხენენი“ აქეზებენ ტროცკისტებს უფრო გაბედულ ნაბიჯების გადასადგმელად, მოითხოვენ მათგან 1926 წლის 16 ოქტომბრის განცხადების უარყოფას. ჩვენ არ ვიცით, მიაღწიეს თუ არა მათ ამაში რაიმე წარმატებას, მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ ეს დაპირება ამჟამად დარღვეულია ყველა პუნქტებში.

4) ოპოზიცია სცდილობს უზრუნველჰყოს თანაგრძნობა არა მარტო პარტიის შიგნით, არამედ უპარტიოთა შორისაც.

5) ოპოზიცია ითვალისწინებს დამარცხებას (პარტიის მე-10 ყრილობაზე ლენინი დასცინოდა „მუშათა ოპოზიციის“ „ასეთ შორსმჭვრეტელობას“, რომელიც აგრეთვე „ითვალისწინებდა“ თავის დამარცხებას) და ასეთ შემთხვევისათვის ამზადებს თავისთვის კადრებს. („თუნდაც **სამი პროცენტი**“—როგორც ამბობდენ ერთ-ერთ ოპოზიციონურ კრებაზე).

6) ოპოზიცია თითონ უცქერის თავის ბრძოლას პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ, როგორც კლასიურ ბრძოლას. (მაგრამ ეს არ უშლის მას ხელს წაუყენოს პარტიის უმრავლესობას პრეტენზიები იმაში, რომ **უმრავლესობა** შინაპარტიულ ბრძოლას უცქერის, როგორც კლასიურს).

* *

ვინაიდან „პრავდა“-ში უკვე მოთავსებული იყო საპრონოვ-სმირნოვის ჯგუფის პლატფორმის საფუძვლიანი გარჩევა (ა. სლეპკოვი. ოპოზიციონური ნეომენშევიზმი), ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ ძირითად საკითხებზე, რომლებსაც ეხება „ოპოზიციონურ ნეომენშევიზმის“ პლატფორმა. ასეთია უკიდურეს მემარცხენეთა ბედი, ისინი მიდიან ერთ კარებში, ხვდებიან კი მეორეში. ასე მაგალითად, ჩვენ გვახსოვს, რომ დიდი ხანი არაა მას შემდეგ, როცა ყველაზე უფრო მემარცხენე უკიდურეს მემარცხენეთა შორის—მუშათა ოპოზიცია ჩამოქვეითდა ბაქოს წერილამდე, რომელშიაც გამოთქმული იყო უმემარჯვენესი ლიკვიდატორული აზრები.

„უკიდურეს მემარცხენეთა“ განცხადება იწყება იმით, რომ ჩვენი პარტიის მდგომარეობას ისინი ახასიათებენ, როგორც „ისეთ ღრმა კრიზისის მდგომარეობას, რომელიც მას ჯერ არ განუცდია რევოლიუციის დასაწყისიდან“. მაგრამ მართლა ასეთია საქმის მდგომარეობა? თუ ჩვენ გავიხსენებთ, როგორი მდგომარეობა იყო ბრესტის ზავის დროს, როდესაც **მთელი ორგანიზაციები (და არა არალეგალური საბრალო ჯგუფები) უარს ამბობდენ დამორჩილებოდენ ცეკას**, თუ ჩვენ გავიხსენებთ, როგორ კრიზისს განიცდიდა პარტია 1920—21 წ.; როდესაც ფრაქციების და ჯგუფების მთელი თაიგული სთიშავდა პარტიას, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინად ოპოზიციონერებს თვით მოსკოვში ჰქონდათ უმეტესობა ზოგიერთ რაიონულ კონფერენციებზე და რომ ამ „15-ის პლატფორმის ერთ-ერთი ავტორი ამხ. საპრონოვი არჩეულიც კი იყო რაიკომის მდივნად და რამოდენიმე ხანის შემდეგ 1924 წელში იძულებული გახდა „დაეთმო ხელისუფლება“, ვინაიდან არ შეეძლო გაეტარებია თავისი ხაზი მოსკოვის ორგანიზაციაში,—თუ გავიხსენებთ ყველა ამას, ჩვენ უნდა ვსცნოთ, რომ ყოველ შემთხვევაში **პანიკურად გაზვიადებულია** განცხადება იმის შესახებ, რომ „ისეთი მდგომარეობა, რომელსაც პარტია ამჟამად განიცდის, მას ჯერ არ განუცდია რევოლიუციის დასაწყისიდან“.

რა თქმა უნდა, ამ განცხადებაშიაც მეორდება ის საჩივარი, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ „ქვრივის წერილში“ და 83-ის განცხადებაში, რომელიც ჩვენ გვსმენია ოპოზიციონურ ჯგუფების მხრივ ყველა ყრილობებზე და კონფერენციებზე **ლენინის დროს**,—საჩივარი იმაზე, რომ „ოპოზიცია მექანიკურად იდევნება“, რომ ოპოზიციის წინააღმდეგ პარტია ღებულობს „რეპრესიულ ზომებს“. თავის დროზე ლენინგრადის ოპოზიცია უსაყვედურებდა პარტიას იმას, რომ ოპოზიციონერებს სტოვებენ უმუშევრად და ლაპარაკობდა ათასობით უმუშევარ ოპოზიციონერების შესახებ. როდესაც ჩვენ შევამოწმეთ ოპოზიციის ეს განცხადება, ის აღმოჩნდა **ყალბი**. მართალია მხოლოდ ის, რომ ჩვენ გვყავან უმუშევარი კომუნისტები, ვინაიდან ჩვენ ვართ **მასიური პარტია**. ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია ჩავაყენოთ კომუნისტი პრივილეგიურ მდგომარეობაში უპარტიო მშრომელთან. უპარტიო მუშასთან შედარებით. და თუ ჩვენში მუშათა კლასი განიცდის ნაწილობრივ უმუშევრობას, ჩვენ არ შეგვიძლია ჩავაყენოთ კომუნისტები ისეთ პრივილეგიურ მდგომარეობაში, რომ მათ შორის არ იქნენ უმუშევრები. ამიტომ მედიდურობის სული უდის „უკიდურეს მემარცხენეთა“ იმ საყვედურებს პარტიის წინააღმდეგ, რომ ზოგიერთი კომუნისტები იძულებული არიან **შრომის ბირჟის საშუალებით ეძიონ სამუშაო**. განა სწორი იქნებოდა, რომ პარტიის წევრებს გვერდი აეხვიათ ბირჟისათვის, რომ ბირჟა მხოლოდ უპარტიოებისათვის არსებობდეს? ეს არის რაღაც შლიახტური, **აზნაურული** წარმოდგენა პარტიის წევრზე, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს შრომის ბირჟაზე, რომ პარტია ყოველთვის უნდა უზრუნველჰყოფდეს მისთვის ხელფასს (და მცირეს კი არა, არამედ მაღალს) მაგრამ ჩვენ ხომ მილიონზე მეტი წევრი გვყავს პარტიაში; ამიტომ ქალაქებში, განსაკუთრებით კი ისეთ ქალაქებში, როგორიცაა მოსკოვი, ლენინგრადი, ოდესა, ხარკოვი, კიევი, შეიძლება იყონ ათეული და ასეული უმუშევარი კომუნისტები. ჩვენ ცილისწამებად და სიყალბედ ვთვლით იმის მტკიცებას, თითქოს უმუშევრობას რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს ამა თუ იმ ამხანაგის ოპოზიციონერობასთან. პირიქით, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ბევრი ამხანაგები (სახალხო კომისრებამდე), რომელთა ოპოზიციონერობა ყველასათვის ცნობილია. ყველაზე ცუდი ოპოზიციის უცუდეს საშუალებათა შორის—არის საყვედურები ამ მხრივ.

„პლატფორმის“ ავტორები რატომღაც დარწმუნებული არიან, რომ მათ მიეცემა შესაძლებლობა დაიცვან ცეკაში თავისი შეხედულებები. ჩვენ არაფერს ვიტყვით წინდაწინ იმის შესახებ, მიეცემა თუ არა მათ ეს შესაძლებლობა, მაგრამ რომ ჩვენ დაგვეკანონებია ისეთი პოლიტიკა, რომ 15—20 ამხანაგის ყოველ ჯგუფს, რომელიც გამოგზავნიდა ცეკაში „პლატფორმას“, თუნდაც სავსებით ანტიპარტიულს, ჰქონოდა უფლება დასწრებოდა ცეკას პლენუმზე და დაეცვა ეს თავისი ანტიპარტიული პლატფორმა,—ჩვენ გადავაქცევდით პარტიას, მართლაც რომ ნოეს კიდობნად.

უკიდურეს მემარცხენეთა პლატფორმა წარმოადგენს შეხედულებათა უფრო სისტემატიურ დალაგებას;უფრო მკვეთრ და ხაზგასმულ ფორმებში ჩვენ ვპოულობთ ამ შეხედულებებს ზემოთ ნახსენებ „პროექტში“ და „თეზისებში“, რომლების დამუშავება კონსპირატიულ კრებებზე ხდებოდა უმალ, ვიდრე განიხილებოდა ეს პლატფორმა. წინააღმდეგ აშკარა და გარკვეულ ფაქტებისა იგი ხატავს ჩვენი სინამდვილის შავბნელ სურათს: „უკანასკნელ წლებში ხდება კაპიტალისტურ ელემენტების უფრო სწრაფი ზრდა, ვიდრე სოციალისტურ ელემენტების“. ეს ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა კავშირის საერთო მეურნეობაში უფრო სწრაფად ვითარდება მეურნეობის კაპიტალისტური სექტორი, ვიდრე სოციალისტური სექტორი. ის გარემოება, რომ კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა გიგანტურად იზრდება და ავიწროვებს კერძო ვაჭრის როლს; რომ ნაციონალიზაციაქმნილმა მრეწველობამ მოიპოვა უდიდესი წარმატება,—ამას პლატფორმა რაც ძალი და ღონე აქვს აფუჩეჩებს. შავბნელი სურათი სჭირდებათ იმისათვის, რომ ყველა სიძნელენი სამუშაო ხელფასის წარმოშობიან უმუშევრობასთან დაკავშირებით, და სხვა სიძნელენიც, მთლიანად დააკისრონ ცეკას პოლიტიკას და „მის მუდმივ დათმობებს წვრილ ბურჟუაზიულ ზეგავლენისათვის“.

უწინარეს ყოვლისა, **როგორია „უკიდურეს მემარცხენეთა“ მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივები?** „ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობა,—სწერენ უკიდურესი მემარცხენენი,—და აქედან გამომდინარე დაბალი დონე შრომის ნაყოფიერებისა, რა თქმა უნდა წარმოადგენს [illegible] დაბრკოლებას სოციალისტურ მშენებლობის გზაზე. ამ ჩამორჩენილობის გამო ჩვენთვის შეუძლებელია გადასვლა წარმოების ნამდვილ სოციალისტურ ორგანიზაციაზე (როდესაც მუშა სამუშაო ძალიდან იქცევა წარმოების მეპატრონედ და წარმოების საქონლური ხასიათი ისპობა) ტექნიკურად—მოწინავე ქვეყნების დაუხმარებლად და მსოფლიო სოციალ. რევოლიუციის გარეშე“. მაშასადამე, **სოციალიზმი ჩვენში შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ ჩამორჩენილობისა და აქედან გამომდინარე შრომის ნაყოფიერების დაბალი დონის გამო.**

მაგრამ ხომ სწორედ ამასვე ამბობდენ **ყოველთვის მენშევიკებიც**. ამასთანავე მენშევიკები იმას არც კი ამტკიცებდენ, რომ შეუძლებელია გადასვლა წარმოების ნამდვილ სოციალისტურ ორგანიზაციაზე. **თუ მართალია ის, რასაც ამ ადგილზე ამტკიცებენ „უკიდურესი მემარცხენენი“, მაშინ 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუცია ყოფილა ბურჟუაზიული რევოლიუცია და არა სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლა.** მაშინ ჩვენ უნდა გადავსინჯოთ ჩვენი პარტიის პროგრამა, რომელიც იწყება მით, რომ „ოქტომბრის რევოლიუციამ... განახორციელა დიქტატურა პროლეტარიატისა, რომელიც ულარიბეს გლეხობის და ნახევრად პროლეტარიატის დახმარებით შეუდგა კომუნისტურ საზოგადოების საფუძვლების შექმნას“. შეიძლება შესაძლებელი იყოს შეიქნას კომუნისტურ საზოგადოების საფუძვლები **სოციალიზმის მშენებლობის გარეშე**, შეიძლება მოსახერხებელი იყოს კომუნისტურ საზოგადოების საფუძვლების შენება წარმოების ნამდვილ სოციალისტურ ორგანიზაციაზე **გადაუსვლელად?** ჩვენ ვამტკიცებთ, რომ აქ, ამ საკითხში „უკიდურესი მემარცხენენი“ იმდენად შორდებიან ლენინიზმს, რომ პირდაპირ ვარდებიან მენშევიზმში.

სწორედ ამნაირად **აქედანვე დაიწყო „რაბოჩაია პრავდა“-ს ჯგუფმაც**. ჩვენ განსაკუთრებით საჭიროდ მიგვაჩნია ამის გახსენება იმიტომ, რომ „რაბოჩაია პრავდა“-ს ჯგუფში იყვნენ რევოლიუციონერები, რომლებმაც კისერი მოიტეხეს სწორედ სოციალისტურ მშენებლობის პერსპექტივების ყალბ შეფასებაზე. შემდეგ კი ზოგი რამ აქ უთუოდ ნასესხებია ტროცკიზმიდან, ვინაიდან სწორედ ტროცკი ამტკიცებდა, ლენინის წინააღმდეგ, რომ მოწინავე ქვეყნებში გამარჯვებულ სოციალისტურ პროლეტარიატის ორგანიზაციულ დახმარების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნებასო. მართალია უკიდურესი მემარცხენენი“ დასძენენ, რომ „ჩვენი ტექნიკური ჩამორჩენილობის პირობებშიაც ნეპის ფარგლებში ჩვენ შეგვიძლია, ნაციონალიზაქმნილ მრეწველობაზე დაყრდნობით, განვავითაროთ ჩვენი მეურნეობა სოციალიზმის მიმართულებით“. მაგრამ, როგორ დავუკავშიროთ ერთმანეთს ეს ორი დებულება? ერთის მხრივ, **შეუძლებელია სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლაც კი** ჩვენი ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო და მეორეს მხრივ, ჩვენ შეგვიძლია განვავითაროთ ჩვენი მეურნეობა სოციალიზმის მიმართულებით. არსებობს თუ არა სოციალიზმის მშენებლობის ობიექტიური შესაძლებლობა მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებამდე? თუ კი ჩვენთვის „შეუძლებელია გადასვლა წარმოების ნამდვილად სოციალისტურ ორგანიზაციაზე“, როგორ-ღა შეიძლება სოციალიზმის მშენებლობა? რომ ეს ხალხი ამ საკითხში მირყეობს მენშევიკურ-ლიკვიდატორულ აზრებსა და ბოლშევიზმის ნაშთებს შორის,—ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. აი, რატომ გამოსდით მათ ერთის მხრივ ის, რომ შეუძლებელია სოციალიზმის მშენებლობაზე გადასვლაც კი, მეორეს მხრივ კი ისინი ბრალსა სდებენ ცეკას იმაში, რომ ცეკა **შეუძლებლად ხდის** ამ გადასვლას იმის გამო, რომ ცეკა „მიდის მუდამ დათმობებზე წვრილ ბურჟუაზიის მიმართ“, ე. ი. როგორც შემდეგ დავინახავთ, გლეხობის მიმართ. ადვილი წარმოსადგენია, რას გააკეთებდა ეს ხალხი, რომ მათთვის ჩაგვებარებია პარტიის ხელმძღვანელობა მათ ხომ **აბსოლიუტურად არავითარი პერსპექტივა არ გააჩნიათ**. როგორღა წარმართავდენ ისინი პარტიის პოლიტიკას? შეიძლება თუ არა პოლიტიკის შენება რამოდენიმე წლის გათვალისწინებით? თურმე არ შეიძლება. წინასწარმეტყველებანი და პროგნოზები მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივების დარგში, მსოფლიო პოლიტიკის დარგში, შეიძლება კეთდებოდეს მხოლოდ **თვეებისათვის და არა წლეებისათვის**. ადვილი წარმოსადგენია, როგორი ქანაობის ატანა დასჭირდებოდა პარტიას და სახელმწიფოებრივ გემს, რომ თუნდაც სულ მცირე ხნით მინდობოდა ამ ხალხს მათი ხელმძღვანელობა.

პარტიის უმთავრეს შეცდომას „უკიდურესი მემარცხენენი“ ხედავენ ფასების დაკლების პოლიტიკაში. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი დაბრკოლებანი სდგას ჩვენს წინაშე ამ საკითხში, ფასების დაკლების საქმეში. აქ ჩვენ მოგვიხდება უდიდესი მუშაობის შესრულება: ფაბრიკებისა და ქარხნების ახალ ნიადაგზე მოწყობა (ეს ერთი წლის საქმე არ არის); ახალი, ტექნიკურად უფრო გაუმჯობესებული ფაბრიკებისა და ქარხნების აგება; იაფი ნედლეულის მიწოდება და დამზადება; ტექნიკური კულტურის ზრდის უზრუნველყოფა: წარმოების რაციონალიზაცია; მმართველი აპარატის გაუმჯობესება, შემცირება, გაიაფება, საქონლის გამტარებელი ქსელის გაიაფება და გამარტივება,—ყველა ამ უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს „უკიდურესი მემარცხენენი“ არა ჩვეულებრივად მარტივად, ობივატელურად სწყვეტენ. საპრონოვის მომხრენი მხოლოდ და მხოლოდ უარყოფით ფაქტებს იღებენ და ამით ხატავენ ჩვენი ეკონომიური სინამდვილის სურათს. მათმა „თეორეტიკოსმა“ ვ. სმირნოვმა ხელი ჰკრა ყველა თავის მოწაფეებსაც კი, რომელნიც ეხლა მისგან გარბიან იმის გამო, რომ ცხოვრების მიერ განწირული არის მაღალი ფასების თეორია, რომელიც მას სურს დაიცვას, რაც არ უნდა დაუჯდეს. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ოპოზიციის ასეთი პოლიტიკა—ფასების აწევა გამოიწვევდა კავშირის გაწყვეტას გლეხობის ფართო მასებთან; ფასების აწევა უპირველეს ყოვლისა, შეავიწროებს მუშათა კლასს

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 175.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნათესების მდგომარეობა

ქუთაისი, 3 აგვისტო. ნათესების მდგომარეობა პირველ აგვისტოსათვის განისაზღვრებოდა შემდეგი ნიშნებით: სიმინდი — 3,5, ვენახები — 2,3, ხილეულობა — 3,3, ბოსტნეულობა — 3,5; თხილი — 2,1 და ბამბა—2,8 (ადს).

სამელიორაციო სამუშაოები

ქუთაისი, 3 აგვისტო. მუშაობა სწარმოებს ხელოვნური მოწყობილობათა ასაგებად. მუშავდება პროექტი პირველი საბჭოთა არხის და სარწყავი არხის „მამეულის" სასწრაფოდ დასამთავრებლად. სამუშაოებისათვის გადადებულია — 525.000 მანეთი. მუშაობა დასრულდება 2 წლის შემდეგ.

სწრაფი ტემპით სწარმოებს დიმი - როკის არხის გაყვანა. მთელი მუშაობა დასრულდება ოქტომბრის ათი წლის თავზე. არხის საზეიმო გახსნაც მაშინ მოხდება (ადს).

აჭარისტანი

გეოლოგიური ექსპედიცია

ბათომი, 3 აგვისტო. ბათომში მოელიან მოსკოვიდან ცენტრალური გეოლოგიური კომიტეტის ექსპედიციის ჩამოსვლას, სამი კაცის შემადგენლობით. აჭარისტანის სამრეწველო სამმართველოს სამთო განყოფილებასთან ერთად ექსპედიცია მოახდენს აჭარისტანის ყველა რაიონების და ბუდობების გამოკვლევას. პირველ რიგში განზრახულია სპილენძისა და თუთიის ბუდობების გამოკვლევა მერიის რაიონში. (ადს)

ბათომის ტრამვაი

ბათომი, 3 აგვისტო. ქალაქის აღმასკომმა შეიმუშავა და დასამტკიცებლად წარუდგინა სახკომსაბჭოს ტრამვაის ქსელის სქემა ბათომში. ამ სქემის მიხედვით პირველად გაყვანილი იქნება შინაგანი ხაზი, რომელიც ქალაქს დაუკავშირებს მის გარეუბნებს; შემდეგ გაყვანილი იქნება ნავთის ქალაქთან, აზნევთის ქარხნებთან და ზღვის პირას მდებარე აგარაკებთან დამაკავშირებელი ხაზი. ტრამვაის აგება დაიწყება აჭარ-წყლის ჰიდრო-ელსადგურის დასრულების შემდეგ, ე. ი. 1928 წლის მიწურულიდან. ტრამვაის ასაგებათ წინასწარი ხარჯთაღრიცხვა განსაზღვრულია 2 მილიონი მანეთით.

გლეხთა მეურნეობის გამოკვლევა

ბათომი, 3 აგვისტო. აჭარისტანის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ დაასრულა გლეხთა მეურნეობის 10 პროც. შერჩევითი გამოკვლევა. გამოკვლევა მოხდა 290 სოფელში და 1263 გლეხთა მეურნეობაში. გამოკვლევამ გამოარკვია ზოგიერთ მეურნეობაში სასოფლო სამეურნეო მოწყობილობის და მუშა საქონლის ნაკლებობა.

აეროლოგიური სადგური

ბათომი, 3 აგვისტო. ბათომის ნავთსადგურთან გაიხსნა აეროლოგიური სადგური, რომელიც თვალყურს ადევნებს და შეისწავლის ჰაერის მოძრაობას. გამოკვლევა სწარმოებს განსაკუთრებულ მფრინავ ბირთვების საშუალებით. აჭარისტანის თავდაცვა - ავიაქიმიური მრეწველობის ხელისშემწყობმა საზოგადოებამ სოფ. ანგისში (კახაბერი) ამოირჩია ჰაეროპლანების დასაშვები ადგილი. (ადს)

წერილები

„სამეგრელოს თამბაქო."

პირველ მოსავალს წარმოადგენს წალენჯიხის სას.-სამ. 1 კოლექტივი „სამეგრელოს თამბაქო"-ს სახელწოდებით. კოლექტივი თვით გლეხთა ინიციატივით დაარსდა შარშან 28 დეკემბერს. მასში შედის უმთავრესად ღარიბი და ნაწილობრივ საშუალო გლეხობა. გაერთიანებული თექვსმეტი წვრილი მეურნე.

ჯერ - ჯერობით ამხანაგობას შეძენილი აქვს ორი რწყვილი ცხენი ორი უღელი ხარი ურმით, სამი ცალი გუთანი, ფარცხი, 30 თოხი, 12 ცალი სარწყავი და სხვა წვრილმანები. წელს ეწევიან მხოლოდ მეთამბაქოებას. დასამუშავებლად აქვთ აღებული და დამუშავებულია უკვე 20 დესეტინა მიწა. თუთუნის საშრობათ კოლექტივს უკვე გაუკეთებია 9 ფარდული. საუკეთესო ჯიშის თამბაქოს კულტურის გავრცელების მიზნით სოხუმში კოლექტივმა შეიძინა 500 მანეთის სანერგე. ვინაიდან კოლექტივის წევრებმა თამბაქოს გაუმჯობესებული დამუშავება არ იციოდნენ, მათ ჩამოიყვანეს ამ საქმის მცოდნე პირი. კოლექტივის მთელი ოჯახი მუშაობს და მათთან მუშაობის დროს სწავლობენ თუთუნის მოვლა-პოყვანას. კოლექტივს ჰყავს გამგეობა სამი პირის შემადგენლობით, საბჭო ხუთი კაცისაგან, სარევიზიო კომისია. აქვთ გამომუშავებული დისციპლინარული წესდება, რომელსაც წევრები ხმაამოუღებლად ემორჩილებიან. შეიძინ წევრად სოფლის კავშირში. დახმარებას ფულით, გრძელ ვადიან და მოკლე ვადიანს სესხის სახით იღებენ სამეურნეო ბანკებიდან. რევიზია მოხდარა ორ-სამჯერ. სარევიზიო კომისიის დასკვნები იწონებს კოლექტივის მუშაობას.

გლეხობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს კოლექტივის მუშაობას. მათზე დაკვირვებით თვით სწავლობს თამბაქოს მოყვანას და ამავე დროს ინტერესი იღვიძებს კოლექტიურ მეურნეობისადმი.

ილარიონ უგანი.

უგზოობა გვაწუხებს

(მუხურის თემი, შორაპნის მაზრა)

თუმცა მრავალჯერ იქნა გამოტანილი დადგენილება ჩვენს თემში გზების, ხიდების და ბოგირების შეკეთების შესახებ, მაგრამ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ჯერ ფიქრადაც არავის მოსვლია. რაც დრო გადის, გზები უფრო ფუჭდება. გზაზე რომ შეუძლებელი ხდება გავლა, გლეხები ურმებით გადადიან ყანებზე და ვენახებზე, რაც იწვევს ჩხუბს და ხშირად ერთმანეთს თავს უმტვრევენ, არც ხიდების და ბოგირების მხრივ ვართ ბედნიერი.

ადგილობრივი.

წერილებიდან

გამგეობა უნდა გადახალისდეს (სოფ. კარდანახი, სიღნაღის მაზრა) ჩვენ სოფელში არსებობს როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო კლუბი, მაგრამ მისი მუშაობა სრულებით მიძინებულია. გამგეობის წევრებათ არიან ისეთები, რომელთაც სრულებით არც მოცლა აქვთ და არც მუშაობის სურვილი. ამ ზაფხულის განმავლობაში არ გამართულა არც ერთი წარმოდგენა. ეს დაუშვებელია, საჭიროა გამგეობის გადახალისება.

მეხი.

რადიო-სადგური. (საგარეჯო, გარე-კახეთი), საგარეჯოს პოლიტგანში 4 ივლისიდან მოეწყო მიმღები რადიო-სადგური. გლეხობას სიხარულს საზღვარი არა აქვს. ყოველ საღამოს იკრიბება ადგილობრივი გლეხობა და საგარეჯოს პოლიტგანში უსმენენ რადიო-სადგურს. პოლიტგანს საუკეთესოდ მოწყობილი აქვს სამკითხველოც, სადაც გროვდება გლეხობა და ერთობა როგორც გაზეთების კითხვით, აგრეთვე რადიო-სადგურის მოსმენით.

გ. თამაზაშვილი.

არ შერჩებათ. (თელეთის თემი, თბილისის მაზრა). 1925 წლიდან არსებობდა კოოპერატივი, რომელიც სოფლის გლეხობას დახმარებას უწევდა, მაგრამ დახე უბედურებას: მთელი ქონება გაქრა და კოოპერატივი დაიკეტა. აღმოჩნდა გაფლანგვა. თემაღმასკომის თავმჯდომარე მისცეს პასუხისგებაში, რომელსაც წილი ჰქონდა მითვისებაში. მის შემდეგ დანარჩენი ქონება გადაბარეს კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს. შემდეგ ის დანარჩენიც გაქრა. ნუ თუ ხელისუფლება შეარჩენს გლეხების მტერს და მფლანგველებს ასეთ თავხედურ მოქმედებებს.

ნამგალი.

მოგვეცით სხვა გამგე. (ქვემო-სვანეთი, ლეჩხუმის მაზრა) ჩოლურის თემში არსებობს სამკითხველო, რომლის გამგე არ შეეფერება თავის დანიშნულებას. სამკითხველო მან ვერ მოაწყო, საამისო სწავლა-განათლება არა აქვს. ყველა ჟურნალ-გაზეთები ერთ ყურშია ჩადებული. გამგის სურვილია—უნდა მოვა სამკითხველოში, უნდა არა. საჭიროა გამგის გამოცვლა.

ადგილობრივი.

სოფლის ქრონიკა

◆ **სკოლა.** სოფ. ყარაიაზში შეუდგენ სკოლის შენობის აგებას.

◆ **საავადმყოფოს შეკეთება.** დასრულდა თიანეთის საავადმყოფოს შეკეთება - გაფართოვება.

◆ **სოფ. ბჟარაში** (აფხაზეთი) შეუდგენ საავადმყოფოს აგებას, რომელიც მზად იქნება შემოდგომაზე.

◆ **ვენერიული სენი.** სოფ. კიბეში (აჭარისწყალის თემი) ბოლო დროს თავი იჩინა ვენერიულმა სენმა.

◆ **ხილის სახმობი ქარხანა.** ახალციხეში წელს ააგებენ ხილის სახმობ ქარხანას, რომელიც წლიურად გადაამუშავებს 120,000 ფ. ხილს.

◆ **ელსადგური.** სოფ. აწყურში (ახალციხის მაზრა) ამუშავებული იქნა ელსადგური.

მუშათა ცხოვრება

წაღვერის დასასვენებელი სახლები

წაღვერში დასასვენებელი სახლები თანდათანობით იზრდებიან და ფართოვდებიან, როგორც დამსვენებლების სიმრავლით, აგრეთვე აღმშენებლობის მხრივ.

განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წელში თვალსაჩინო პროგრესია. დამსვენებელთა რიცხვი წელს აღწევს 470 კაცამდე. შეძენილია ახალი ინვენტარი. ტახტების ნაცვლად შეძენილია ინგლისის სისტემის ბადით მოქსოვილი საწოლები, ვენის სისტემის სკამები, აშენებულია ორი დიდი სახლი 50 საწოლით და ორი ოთახი თითო 6 საწოლით. აშენებულია ორი ორთქლის აბანო, სადაც დღეს ას კაცამდე ბანაობს. მოწყობილია შხაპის აბაზანები. გაყვანილია დამატებით ახალი წყალსადენი, რითაც უზრუნველყოფილია სახლები წყლით. გაყვანილია ახალი გზა სადგურიდან დასასვენებელ სახლამდე. დადგმულია მაღალი ტიპის მიმღები რადიო და სხვა მრავალი წვრილმანები, რომლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ყველა ესენი მოწმობენ იმას, რომ აქ ტრესტებს მზრუნველის თვალი და ხელი.

რაც შეეხება დამსვენებლების მოვლას და კვებას. მიუხედავათ მათი მრავალრიცხოვანობისა, წესრიგი მაინც დაცულია და კვება აქ არ ჩამოუვარდება სანატორიუმის კვებას.

კულტურულის მხრივაც კარგად არის დაყენებული საქმე. [illegible] უჩვენებენ კინოს, იმართება წარმოდგენები, სხვადასხვა პროფესიონალური კავშირები გზავნიან თითო თავიანთ სასულე ორკესტრებს. ექიმები დიდ მზრუნველობას იჩენენ დამსვენებლებისადმი.

დასასვენებელი სახლის სრულ მოწყობას ჯერ კიდევ ბევრი აკლია. მომავალი წლისათვის განზრახულია კლუბის აშენება სასადილოთი. კანალიზაციის მოწყობა, და რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ბილიკების გაყვანა ხრეშით ოთახებიდან სასადილომდე და კლუბამდე, რადგან წვიმების დროს ხალხი მეტად წუხდება ტალახების გამო.

25 ივლისს დასასვენებელ სახლებს ესტუმრნენ ამხ. ფილიპე მახარაძე და ს. თოდრია. მიუხედავად დაღლილობისა, ამხ. ფილიპემ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე ქართულად და რუსულად, რომელსაც დამსვენებლებს გარდა და ადგილობრივ მოქალაქეთა გარდა, ახლო-მახლო სოფლებიდან აუარებელი გლეხკაცობა დაესწრო.

მუშკორი ნიკო მკერვალი.

—:—

მეტი ყურადღება კულტმუშაობას

(ოზურგეთი)

ქ. ოზურგეთში არსებობს აბრეშუმის საღებარი ქარხანა, სადაც მუშაობს ხუთასამდის ქალი და ვაჟი, იქვე არის მოწყობილი პარკის თავიდუღება, სადაც დაახლოვებით ასი მუშაა და მესამეც ახალი ფაბრიკის საამშენებლო მუშაობათა წარმოება, სადაც მუშაობს რამოდენიმე ათეული მუშა. საერთოდ ყველა ამ დარგებში ირიცხება ექვსასზე მეტი მუშა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ კულტურული მუშაობა აქ ვერ არის დაყენებული თავის სიმაღლეზე. ამ ვეებერთელა ქარხანაში ვრცელდება სულ ორმოცი ცალი „კომუნისტი" და „მუშა".

ეს ქარხანა მუშაობს უკვე რვა თვეა და მე ვფიქრობ ნაადრევი არ იქნება, რომ ეს საქმე მოეგვარდეს.

პოლინ.

ექსკურსია სანიტარულ მუზეუმში

29 ივლისს, საღამოს 5 საათზე გაზეთ „კომუნისტი"-ს ექსპედიციის მუშებმა მოაწყვეს ექსკურსია ჯანმრთელობის სანიტარულ მუზეუმში. იქ მუშებმა დავათვალიერეთ ყველა საინტერესო სურათები. იქ დაგვხვდა ლექტორი ამხ. თედო კაკალიშვილი, რომელმაც დაწვრილებით აგვიხსნა მთელი ამ მუზეუმის შინაარსი. პირველად როგორ გაჩნდა მაიმუნი და მაიმუნებიდან ადამიანები. შემდეგ აგვიხსნა დაწვრილებით როგორი ზომები უნდა მივიღოთ ავადმყოფობის წინააღმდეგ ჯანმრთელობის დასაცავად. ექსკურსიამ გასტანა სამი საათი.

მუშები მადლობას ვუძღვნით ლექტორ თედო კაკალიშვილს.

სიმართლის მაძიებელი.

—:—

ყუთები არ იხსნება

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობის გაერთიანებულმა ადგილკომმა; განვლილ წელში გამგეობის შენობაში გამოკიდა ყუთები გაზეთების კორესპონდენციებისათვის. ერთი თანამშრომელთაგანი დაინტერესდა გაეგო: თუ როდის ხდება ამ ყუთების გაღება. ადგილკომის მდივანმა განაცხადა, რომ ის მათ ხსნის თვეში ერთჯერ.

ყუთების გახსნის დროს კი დამტკიცდა, რომ ყუთები არ გახსნილა ერთი წელია.

ვინ იცის, რომ რიგიანად შეახუროს ადგილკომის მდივანი მუშკორთა მუშაობის შეფერხებისათვის, თავის მოვალეობისადმი ასეთი უდიერი და გულგრილი მოპყრობისათვის და რომ შემდეგში ყუთები იხსნებოდეს თავის დროზე.

ბზალი.

კიდევ ტყიბულის საავადმყოფოზე

ტყიბულის მაღაროების საავადმყოფო დახმარებას უწევს მაღაროების მუშა-მოსამსახურეებს, მაგრამ თვით საავადმყოფოს შენობა არ უწყობს ხელს ავადმყოფების გამოკეთებას. შენობა მოწყობილია შემდეგნაირად: არის ერთი საერთო დარბაზი, სადაც თავსდება 10—12-მდე ტახტი, მეორე ოთახში იდგმება 5—7-მდე ტახტი. ამ ოთახის გვერდით კბილის ექიმის ოთახია. კბილის ექიმის კაბინეტის გვერდით არის ამბულატორია და გვერდზე აფთიაქი. აფთიაქის წინ პატარა დერეფანია სადაც დგებიან რიგში ავადმყოფი მუშები. არ ყოფნით ეს სადგომი და ერთი აურ-ზაურია და უხდებათ გარედ ყოფნა გლახა ამინდში. ამას გარდა, ამ საავადმყოფოს აქვს ერთი პატარა ოთახი მხოლოდ ინსტრუმენტებისათვის.

ექიმი აკეთებს ოპერაციას ამბულატორიაში და იქვე კარიდორში ხმაურობაა, რაც ყოვლად დაუშვებელია. აქვე ისინჯება ავადმყოფები. აქედანვე მიდიან კბილის ექიმთან და ჩერდებიან ამ საერთო დარბაზთან, სადაც კარები მუდამ ღიაა. შედის მტვერი და უწამლავს ჰაერს ავადმყოფს. ამას გარდა, საერთო დარბაზში ყოვლად შეუძლებელია სისუფთავის დაცვა.

ხშირი შემთხვევაა, რომ ავადმყოფი კვდება და მის მოსათავსებლად ცალკე ოთახი არ არის. ავადმყოფები უყურებენ საერთო დარბაზში, რომ კვდება კაცი, მიცვალებულს აჭერებენ 3—4 საათს. ავადმყოფებს ძალიან უჭირთ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა.

საჭიროა ეს შენობა დაეთმოს მაღაროებს ბინათ და ერთი ახალი სახლი გადაეცეს საავადმყოფოს, რაც საშუალებას მისცემს ექიმებს მეტი ენერგიით უქიმონ მაღაროების მუშა-მოსამსახურეებს.

წამლების ნაკლებობაც არის საავადმყოფოში. საჭიროა ამასაც მიექცეს ყურადღება.

„კეხეთი-პირელი".

—:—

უნდა მოეთხოვოს პასუხი

(რკინისგზის სამმართველოს საყურადღებოდ)

3 ივლისს სადგ. ავჭალაში მოვიდა სახალხო მატარებელი № 17. სადგურზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი.

— სალაროს მოლარე რატომ ბილეთებს არ ყიდის, უკვე გომიდან გამოვიდა მატარებელი—ისმოდა ხმა აქეთ-იქიდან.

ის იყო მატარებელი ისრებში შედიოდა, როდესაც სალარო გაიღეს. დაგვიანებით სალაროს გაღებით აუარებელი მგზავრები დარჩნენ უბილეთო.

აუკრძალეთ გაყიდვა. (მილიციის საყურადღებოთ). ალექსანდროვის ბაღი სავსეა დოქით წყლით მოვაჭრე ბავშვებით. წყლის გაყიდვის დროს არ არის დაცული სისუფთავე, მაგრამ წყალს საზოგადოება მაინც ეტანება. ამ მოვლენას შესაძლებელია მოჰყვეს რაიმე ავადმყოფობა. საჭიროა აიკრძალოს ასეთი წყლით ვაჭრობა.

მუშკორი შ. ვაჩეიშვილი.

—:—

საყურადღებო წვრილმანი

მივიწყებული უბანი. (აღმასკომის საყურადღებოდ). გარე უბნებს აღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევს, მაგრამ რატომღაც მერვე უბანი რკინის გზის გადაღმა მივიწყებულია. აქ არც ერთი კულტურული დაწესებულება არ არის: კოოპერატივი, კლუბი სანატრელია ამ უბანში, ეხლა მარტო ერთ ქუჩაზე „ახალი უბანის" აგებენ ქვაფენილს და დანარჩენ ქუჩებს კი არავითარი ყურადღებას არ აქცევენ.

ბევრჯერ დაიწერა ამ უბანზე, მაგრამ რატომღაც არავინ აქცევს ყურადღებას.

ელიკო მიქაბაძე.

—:—

მუშათა ქრონიკა

— **მუშათა დაწინაურება.** თბილისის უბკავში რკ. პრეზიდიუმის მიერ, საყუდის მექანიკის თანაშემწე ამხ. უმბრიევი წამოყენებულია მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის სამასალო საწყობის გამგის თანამდებობაზე.

— **300 მანეთი.** ხეზე მომუშავეთა კავშირის ც. გ. გადაუგზავნა მოსკოვში ამავე კავშირის ცენტრალურ კომიტეტს თვითმფრინავ „დერევოობდელოჩნიკ"-ს ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად 300 მან.

— **200 მანეთი.** სენაკის სამაზრო პროფბიურომ გადმოუგზავნა საქ. პროფსაბჭოს თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირები"-ს ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად 200 მანეთი.

— **ექსკურსია ბორჯომ - ბაკურიანში.** ა. წ. 13 — 15 აგვისტოსათვის საქ. პროფსაბჭოს კულტგანყ. აწყობს მუშათა მასიური ექსკურსიას ბორჯომ-ბაკურიანში.

— **სანატორიუმ — „არაზინდო"-ში.** სანატორიუმ „არაზინდო"-ს დირექტორად დაინიშნა ამხ. მ. ფუნჯაძე.

— **მუშფაკებში მიღების წესები.** საქ. პროფსაბჭოს კულტგანყ. უკვე დაუგზავნა ყველა კავშირებს ც. გ. მუშათა ფაკულტეტებზე მსურველთა მისაღები წესები.

ფასების დაკლების კამპანიის შედეგები

საუბარი ამხ. ბეკზადიანთან

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. ბეკზადიანმა ფასების დაკლების კამპანიის შედეგების შესახებ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

— თანახმად ა.-კ. ცაკის მესამე სესიის დადგენილებისა, ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატი შეუდგა ფასების დაკლების კამპანიის შედეგების გამოკვლევას, როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიულ სავაჭრო ორგანიზაციებში. გამოკვლევის პროგრამაში შედიოდა სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების რაოდენობის გამორკვევა სახელმწიფო და ე. წ. თავისუფალ ბაზრებზე.

გამოკვლევებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ რესპუბლიკანური პროფსაბჭოები და ცენტრ. სტატ. სამმართველოები. საქართველოში გამოკვლეული იყო 32 პუნქტი, აზერბეიჯანში — 39 პუნქტი, სომხეთში — 17 და ნახ. ოლქში — 4 პუნქტი. ფასების აღრიცხვა სწარმოებდა სპეციალურად შემუშავებულ ნომენკლატურის საშუალებით, რომელშიაც შეტანილი იყო 82 ფართო მოხმარების საქონლის, 42 სამრეწველო და 37 საკვები პროდუქტების სახელწოდება. საფეიქრო მრეწველობის დარგიდან ნომენკლატურაში შევიტანეთ 15 სახელწოდება.

— წინასწარ ადგილებიდან მიღებული მასალების განხილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლება სომხეთში უდრის (საშუალოთ) 9,4 პროც.; საქართველოში 8,7 პროც. და აზერბეიჯანში 7,8 პროცენტს. მთელ ამიერ - კავკასიაში საშუალოთ ფასებს დაუკლია 8,8 პროცენტით.

ცალკე რესპუბლიკებში ფასების დაკლებაში ასეთი განსხვავება აიხსნება იმ გარემოებით, რომ საქონლის მოძრაობაში მთავარი ადგილი ეკავა საფეიქრო მრეწველობის პროდუქციას, რომელზედაც მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის ფასები სხვადასხვა იყო სომხეთში, აზერბეიჯანში და საქართველოში. ამიტომ ფასების დაკლებამ სომხეთში გამოიწვია მეტი ეფექტი, ვიდრე აზერბეიჯანში, რადგანაც სომხეთში მანუფაქტურა უფრო ძვირი ღირდა ფასების დაკლების კამპანიის დაწყებამდე, ვიდრე, მაგალითად, აზერბეიჯანში.

ასეთივე მოვლენა ემჩნეოდა ლითონის მრეწველობის პროდუქციას, სილიკატებს, ქაღალდს და სხვ.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე ფასებს დაუკლია საქართველოში — 5,7 პროცენტით; აზერბეიჯანში — 2 პროც. და სომხეთში 0,1 პროც. ეს სხვადასხვაობაც შეიძლება აიხსნას მიმდინარე წლის 1-ლ იანვრამდე არსებული ფასებით.

საერთოდ, როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო - სამეურნეო საქონელზე ფასების დაკლების მხრივ მეტი ეფექტია მიღებული სომხეთში (8 პროც.), შემდეგ საქართველოში (7.9 პროც.) და ბოლოს აზერბეიჯანში (6,4 პროც.). საშუალოთ კი მთელ ამიერ - კავკასიაში ყველა საქონელზე ფასებს დაუკლია ა. წ. 1-ლი ივლისისათვის 7,2 პროცენტით.

თბილისის მაუდის ფაბრიკა

(საუბარი პროფ. კანარსკისთან)

თბილისში ჩამოვიდა ს. მ. უ. ს. მიერ მოწვეული თბილისის მაუდის ფაბრიკის სამუშაოთა კონსულტანტი პროფ. **კანარსკი**, რომელმაც ფაბრიკის მშენებლობის მიმდინარეობისა და მისი ექსპლოატაციის პერსპექტივების შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობის უახლოეს ამოცანას შეადგენს უკვე დაწყებული საფეიქრო ფაბრიკების დამთავრება და მათი მოწყობა ისე, რომ შესაძლო გახდეს საუკეთესო პროდუქციის გამოშვება ბაზარზე. დღემდე ახალი ფაბრიკების მშენებლობას შესამჩნევათ აბრკოლებდა საზღვარგარეთიდან გამოწერილი მანქანებისა და მოწყობილობების დაგვიანებით მიღება, ხშირად საჭირო შენობა მზად იყო, ხოლო მანქანები კი არსად სჩანდა.

ამ მხრივ თბილისის მაუდის ფაბრიკა უფრო ხელსაყრელ პირობებში ჩნდება. ჩვენ წესიერად ვღებულობთ გამოწერილ მანქანებს და თან ვაწარმოებთ ქარხნის აგებას. ამ ჟამად უკვე მიღებულია 260 ფუთი სხვადასხვა მანქანები.

მე განზრახვა მაქვს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო კამვოლურ ნაქსოვთა განყოფილებას, რადგან ჩემის დაკვირვებით ქართული მატყლიდან საუცხოვო კამვოლური ქსოვილები გამოვა. აღნიშნული განყოფილებისათვის საჭირო მანქანები შეკვეთილი იქნება ამერიკაში, თუმცა უწინ განზრახვა იყო შეკვეთა ინგლისში მიგვეცა. ზოგიერთი მანქანები უკვე შეკვეთილია.

ა.-კ. რკ. გზ. მომრიგებელ საკონფლიქტო ორგანოებში

(ა.-კ. მ.-გ. ინსპექციის გამოკვლევა)

ა.-კ. მ.-გ. ინსპექციამ დაამთავრა ა.-კ. რკინის გზის საკონფლიქტო-მომრიგებელ ორგანოების საკონტროლო გამოკვლევა. გამოირკვა, რომ კონფლიქტების რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ამჟამად არსებული მომრიგებელი ორგანოები ვერ ასწრებენ მათ განხილვას. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის წევრები საკმაოდ გაცნობილი არ არიან შრომის კანონმდებლობას და არ ღებულობენ საჭირო საკანონმდებლო და საინსტრუქციო ლიტერატურას.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები ხშირად სწყვეტენ ისეთ საკითხებს, რომელნიც მათ ფუნქციას არ შეადგენს,—მაგ. სანქციას აძლევენ სხვადასხვა ხასიათის ჯილდოს, როგორც არის ზედმეტი სამუშაოები, ადებენ ჯარიმებს და სხვა. კონფლიქტების აღძვრის მიზეზი უმთავრესად არის ხელფასის გაუსტუმრებლობა და ამასთან დაკავშირებული მომენტები: სხვადასხვა კომპენსაციების გაცემა, დატვირთვა, დანიშვნა, ტარიფიკაციის დაწესება, ჯილდოს მიცემა სანარდო სამუშაოებისათვის და სხვა.

ხაზის ადმინისტრაციას ემჩნევა ტენდენცია შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში ისეთი საკითხების დასმისა, რომლების გადაწყვეტის უფლება უშუალოდ მას არა აქვს.

ამჟამად მთელი რიგი კონფლიქტებისა ადმინისტრაციის მიერ ხელოვნურად არის შექმნილი იმ მიზნით, რომ თავიდან აიშორონ პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის და საკრედიტო დისციპლინის დარღვევისათვის.

მეორე მხრით მუშათა წარმომადგენლებს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში ემჩნევათ ტენდენცია,— გამოიტანონ განაჩენი მშრომელთა სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიდაც კი, როცა ამ უკანასკნელთა პრეტენზიები უკანონოა.

მომრიგებელი კამერების გამოკვლევით გამოირკვა, რომ ისინი ზომაზე მეტად დატვირთული არიან განუხილველი კონფლიქტებით, და ამჟამად არსებულ აპარატის საშუალებით უძლური არიან დასძლიონ ეს სამუშაოები. გამოკვლევა აღნიშნავს, აგრეთვე უმოქმედობას ა.- კ. შრომის კომისარიატისას, რომელსაც არავითარი ღონისძიება არ მიუღია მომრიგებელ კამერის განსატვირთავად. დასასრულ გამოკვლევამ აღმოაჩინა საქმის გაჭიანურება საკონფლიქტო საქმეებში და სამომრიგებლო ინსტანციებში საქმის გატარების ბიუროკრატიული წესით.

ყველა ამ დეფექტების გამოსასწორებლად მ. გ. ინსპექციის მიერ გამომუშავებულია სათანადო ღონისძიებები.

კომუნალურ წარმოებათა აღდგენა

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის მომავალი სამეურნეო წლის ბიუჯეტით კომუნალურ წარმოებათა აღსადგენად ნავარაუდევია 2.650.000 მანეთის დახარჯვა.

პირველი ადგილი იმ თანხების მიხედვით, რომელიც უნდა დახარჯოს აღსადგენ და გასაფართოებელ სამუშაოებზე, უჭირავს ტრამვაის მეურნეობას. მომავალი სამეურნეო წლიდან კომუნალურ განყოფილებას განზრახვა აქვს გააფართოვოს ტრამვაის ქსელი, შეიძინოს ახალი ვაგონები, რელსები ძველი ლიანდაგის გამოსაცვლელად და ახალის გასაყვანად და სხვა. მეორე ადგილი იმ თანხების მიხედვით, რომელიც აღსადგენად უნდა დაიხარჯოს, უჭირავს უძრავ ქონებათა სამმართველოს უწყებაში მყოფ მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლებს, რომელნიც არ შეკეთებულან იმპერიალისტური ომის დაწყების წლიდან, და რომელნიც ამჟამად კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებენ. სახლების შესაკეთებლად ნავარაუდევია დაიხარჯოს ნახევარი მილიონი მანეთი. განზრახულია აგრეთვე საბჭოთა სასტუმროების შეკეთება და გაფართოება.

უკვე მესამე წელიწადია სწარმოებს თბილისის აბანოების შეკეთება და გაფართოება, მაგრამ ისინი მაინც ვერ აკმაყოფილებენ საჭიროებას. იმ მიზნით, რომ უკეთ იქნეს აბანოების ექსპლოატაცია, აბანოების გასაფართოებლად მომავალი წლისათვის გადადებულია 100 ათასი მანეთი.

კავშირი რუსეთ-საქართველოს მეცნიერთა შორის

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა აღმოსავლეთის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი **იაკოვლევი**.

პროფ. იაკოვლევმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა, რომ მისმიზანს შეადგენს კავშირის დამყარება საქართველოს სამეცნიერო ძალებთან. კავშირში გამოიხატება ურთიერთ გამოცდილების გაზიარებაში, სამეცნიერო ნაშრომთა გაცვლა-გამოცვლაში და ურთიერთისადმი სამეცნიერო ხასიათის ინფორმაციის მიწოდებაში.

გუშინ [illegible] პროფ. იაკოვლევმა ინახულა პროფ. გ. ახვლედიანი და ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი.

ამ დღეებში მოწვეულ იქნება ქართველ სამეცნიერო ძალთა თათბირი, რომელზედაც მოხსენებით გამოვა პროფ. იაკოვლევი. თბილისიდან იაკოვლევი მიემგზავრება ჩრდილოეთ ოსეთში.

ექსპედიცია იალბუზზე

გუშინ საღამოს ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი პროფ. **კალიტინი**, ცნობილ ალპინისტ **ფროლოვთან** და ასისტენტ **გილოვთან** ერთად.

პროფ. კალიტინის ექსპედიცია ახლო ხანში გაემგზავრება იალბუზზე, სადაც მას განზრახვა აქვს დაჰყოს 3 კვირა. იალბუზზე განზრახულ სამეცნიერო ხასიათის სამუშაოთა შესახებ პროფ. კალიტინმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— ჩვენ არა გვაქვს განზრახვა მივაღწიოთ იალბუზის მწვერვალს. ჩვენი მიზანია შევისწავლოთ მუდმივი ყინულოვანი ზონის ე. წ. მზის რადიაცია, ჰაერის გამჭვირვალება და ის, თუ როგორი სისწრაფით დნებიან ყინულოვანი მთები მზის სხივების ზეგავლენით. ეს უკანასკნელი საკითხი ჩვენ გვაინტერესებს იმიტომ, რომ განზრახულია ან მდ. ბაქსანაზე და ან მდ. მალკაზე აგებულ იქნეს დიდი ჰიდრო-ელსადგური კისლოვოდსკის, ესენტუკის და მათი რაიონების საელექტროფიკაციოთ. ამიტომ საჭირო გახდება ყინულების დნობის რეჟიმის შესწავლა. საამისო სამუშაოების ჩასატარებლათ ჩვენ წამოღებული გვაქვს ყველა საჭირო ხელსაწყოები.

გარდა ამისა ხვალ მივემგზავრები საქართველოს კურორტებზე მზის რადიაციის, ჰაერის სისუფთავის და მთელ რიგ სხვა მეტეოროლოგიურ ფაქტორების შესასწავლად. ჩემთან ერთად იმუშავებს პროფესორი **მიზერნიცკი**.

ჩვენს მიზანს შეადგენს შევისწავლოთ საქართველოს კურორტები და გამოვარკვიოთ, თუ რა სახით შეიძლება იქ მზით მკურნალობის მოწყობა. გარდა ბორჯომისა და აბასთუმანისა ჩვენს მიერ გამოკვლეული იქნება ახტალა, ბახმარო, წყალტუბო და შოვი.

სახკომსაბჭოში

სარეზერვო ფონდის განაწილება

1926—27 სამ. წლის მე-3 კვარტ. სარეზერვო ფონდის ანგარიშში გაღებული 20.000 მანეთი განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: საქართველოს სახკომსაბჭოს 14.500 მანეთი, აფხაზეთის სახკომსაბჭოს 1.500 მანეთი, აჭარისტანის სახკომსაბჭოს 3.000 მანეთი და სამხრეთ - ოსეთის ცაკს 1.000 მანეთი.

1927 — 28 წ. სას.-სამეურნეო გადასახადი

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო იჯარით გაცემულ მიწის შემოსავალზე გადასახდელი სას.-სამეურნეო გადასახადი გადახდეს მოიჯარადრეს. ამასთანავე ასეთი მიწების შემოსავლის გამოანგარიშების დროს სათანადო საშემოსავლო ნორმა უნდა იქნეს შემცირებული 20 პროც-ით.

კოოპერატიულ კავშირში გაერთიანებულ შინა-მრეწველთა შემოსავლის გამოანგარიშების დროს უნდა მიეცეთ მათ შეღავათი 30 პროც-ის რაოდენობით.

ჩაისა და მანდარინების პლანტაციები, უკეთუ მათი წლოვანება ხუთ წელს არ აღემატება, განთავისუფლებულ უნდა იქნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დაბეგვრისაგან.

დაფანტულ ხეხილისა და მაღლარის დესეტინებზე გადარიცხვა მათი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის დაბეგვრის მიზნით შემდეგი ნორმების მიხედვით უნდა იქნეს წარმოებული: ერთი ძირი კურკოვანი ხეხილისათვის 5 კვადრ. საჟ., ერთი ძირი თესლოვანი ხეხილ. 10 კვ. საჟ. და ერთი ძირი მაღლარისათვის 2 კვ. საჟ.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადით დაიბეგრება შემდეგი ქალაქები: ლუქსემბურგი, დუშეთი, შაუმიანი, ცხინვალი, გორი, ხაშური, ახალქალაქი; ზესტაფონი, სამტრედია, ონი, ხონი, ზუგდიდი, ოზურგეთი; სენაკი, გუდაუთი და ოჩამჩირე.

ლეჩხუმის რაჭისა და შორაპნის მაზრები, აჭარისტანი და სამხრეთ-ოსეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაიბეგრებიან ნათესების მიხედვით.

ზაჰესის მმართველობა

ზაჰესის მმართველობის იურიდიულად საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე ამ სადგურის სამეურნეო ექსპლოატაციის ფუნქციების შესრულება, სსრ. კავშირის ს. მ. უ. საბჭოსთან შეთანხმებით, დაეკისრა პირადათ აღნიშნულ სადგურის მმართველს, რომელსაც მიეკუთვნა ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც ს. ს. რ. კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებაშია აღნიშნული.

ზაჰესის მმართველად სსრკ ს. მ. უ. საბჭოსთან შეთანხმებით დაინიშნა ამხ. **ივანოვ - კავკასკი**, ხოლო მის მოადგილედ ამხ. **ახრიევი**.

ზაჰესის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზედ დამტკიცებულ იქნა ინჟ.—ელექტრიკი **კაპელერი** ხოლო მის მოადგილეთ ინჟ.—ტეხნიკოსი **კოსოვსკი**.

საცდელ - საჩვენებელი სკოლა

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო გაიხსნას 1927—28 წლიდან ქალ. თბილისში საცდელ - საჩვენებელი სკოლა სოფლის ახალგაზრდობისათვის.

საქართველოს ცაკში

გლეხის სასახლეში

სრ. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით გასულ თვეში (ივლისში) თბილისში საქართველოს ცაკთან არსებულ გლეხის სასახლეში მაზრ.-დან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან ჩამოვიდა და ღამე გაათია 1000 გლეხმა. ამათში ქართველი იყო: 566, რუსი 240, სომეხი 97, თათარი 58 და სხვა ეროვნების 39.

გლეხები, რომლებიც გლეხის სასახლეში იყვნენ დროებით დაბინავებული, ჩამოსული იყვნენ თბილისში 694 კაცი პირად საქმეზე, 153 საქმით და 153 გამოგზავნილი იყვნენ თბილისში წარმომადგენლებათ და დელეგატებათ სხვადასხვა დაწესებულებებში. ჩამოსულ გლეხებში გლეხის სასახლემ უფასოთ ასადილა 114 გლეხი, მხოლოდ 295 გლეხს სადილი მისცა ფასს-დაკლებით; გლეხის სასახლემ ამ დროს განმავლობაში უფასოთ მისცა იურიდიული რჩევა - დარიგება 86 გლეხს, ექიმმა უფასოთ 27 კაცს, აბანავა უფასოთ 831 გლეხი, სამგზავრო დახმარება აღმოუჩინა 8 კაცს და სრულიად უფასოდ გაათევინა ღამე 133 გლეხს. გლეხის სასახლის ბაკში გაიარა გლეხების 3.632 სულმა საქონელმა და 1460 ურემმა. **გლეხის სასახლემ** გასულ თვეში სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებისათვის 14-ჯერ მოაწყო მოხსენებები, ლექციები და საუბრები; 9-ჯერ გამართა წარმოდგენები და 4-ჯერ მოაწყო ექსკურსიები.

გლეხის სახლები მაზრებში

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების ცნობით ამჟამად გლეხის სახლებია მოწყობილი: ქუთაისში, ახალციხეში, ზუგდიდში, ახალქალაქში, სენაკში, თელავში და ოზურგეთში; ახლო მომავალში გლეხის სახლები საქართველოს რესპუბლიკის დანარჩენ მაზრებშიაც იქნება მოწყობილი.

ახალი აგრონომები

1927 წ. (მეხუთე სესია) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი დაამთავრეს შემდეგმა პირებმა:

სოფლის მეურნეობის დარგი: გარსიაშვილი ერემია დავითის ძე, ვენდიხაძე შალვა პავლეს ძე, ლობჟანიძე ვალერიან ისმაილის ძე, მარგველაშვილი სიმონ გაბრიელის ძე, პაპიაშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე, ტიტვინიძე სოფიო სვიმონის ას., ქვარცხავა ივანე პავლეს ძე, ქუთათელაძე სამსონ იოსების ძე, ჩერნიში ევგენია სვიმონის ას. და ჩოჩია სვიმონ ივანეს ძე.

ტყის მეურნეობის დარგი: მამამთავრიშვილი ზაქარია ნიკიფორეს ძე და ქარუმიძე სერგო ლევანის ძე.

მებაღე - მევენახეობის დარგი: თვარაძე ელენე ივანეს ას., კუხიანიძე იულონ ანტონის ძე, სიმონიშვილი შალვა ალექსანდრეს ძე, ტარასაშვილი გიორგი მიხეილის ძე, ფხაკაძე მარიამ ვასილის ას., ჩუბინიძე მიხეილ ილარიონის ძე, ჩუბინიძე შალვა თეიმურაზის ძე, ცერცვაძე ალექსი ელიას ძე და ხოფერია მარიამ დიმიტრის ას.

ყველაზე უფრო ნაკლებ შეავიწროებს ბურჟუაზიას. ცხადია, რომ იგი შეამცირებს მუშის სამუშაო ხელფასს, სოფლის ღარიბი გლეხობის ბიუჯეტს. ნამდვილად კი ჩვენ **ცოტათი შევამცირეთ ფასები, საჭიროა ფასების კიდევ შემცირება.** მაგრამ **„უკიდურესი მემარცხენენი" ხომ იქიდან გამოდიან, რომ ფასების დაკლების პოლიტიკა—საზიანოა მუშათა კლასისათვის,** რომ ეს პოლიტიკა სასარგებლოა „მომხმარებლისათვის საზოგადოთ (ე. ი. მათ შორის ბურჟუაზიისათვისაცო)",—თითქოს ბურჟუაზია საბჭოთა ბაზრის საქონლის მომხმარებელთა უმთავრეს მასას შეადგენს! ოპოზიცია აღშფოთებულია იმით, რომ „ცეკამ გადასწყვიტა იმოქმედოს ბაზრის კანონების წინააღმდეგ". მართლაც რა საშინელი დანაშაულობაა, რომ საბჭოთა სახელმწიფო, როცა პროლეტარიატს აქვს ხელში ძალა-უფლება, აქვს ხელში ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობა, ე. ი. ბაზრისათვის დამზადებული საქონლის უდიდესი მასა, აქვს ხელში კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა, ე. ი. სავაჭრო აპარატის უდიდესი ნაწილი, განაგებს ტრანსპორტს, საგადასახადო აპარატს და სხ.—რომ ეს საბჭოთა სახელმწიფო სცდილობს „იმოქმედოს ბაზრის კანონების წინააღმდეგ", ე. ი. სცდილობს თვითონ დაამყაროს ამ ბაზრის განსაზღვრული კანონები, თვითონ მოაწესრიგოს ეს ბაზარი! „უკიდურესი მემარცხენე" ოპოზიცია აქ უიმედოთ **იხრის ქედს წვრილ ბურჟუაზიული სტიქიის წინაშე, მას ჰგონია, რომ ამ წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიას შეუძლია ბაზრის მოწესრიგება, ხოლო საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი თავისი ძლიერებით, მთელი თავისი მატერიალური და პოლიტიკური ძალებით არ შეუძლია ბაზრის მოწესრიგება.** ასეთ უსუსურებამდე მივიდნენ ეს უბადრუკი რევოლიუციონერები!

ჩვენ სავსებით ზედმეტად ვსთვლით პასუხი გავსცეთ მთელ იმ სიყალბეზე, რომელიც თავმოყრილია 15-ის ამ დოკუმენტში. ეს განსაკუთრებით შეეხება მუშათა კლასის მდგომარეობის სურათს და „შრომის საკითხებს", რომელსაც ხატავენ „უკიდურესი მემარცხენენი". ეს სურათი სავსებით არის გადმოწერილი... მენშევიკების „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი"-დან. ორ'ში ერთი: ან „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი" იძლევა სწორ სურათს მუშათა კლასის მდგომარეობისა ჩვენ ქვეყანაში,—**მაშინ** „უკიდურესი მემარცხენენი" მართალნი არიან. **მაშინ** გასაკვირველი არ არის, რომ ისინი აკეთებენ ისეთ დასკვნებს, რომელნიც უახლოვდება „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი"-ს ფურცლებზე გაკეთებულ დასკვნებს. და თუ უკიდურეს მემარცხენეებს არ სურთ, რომ ისინი შეადარონ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი"-ს პოლიტიკოსებს, მაშინ ვალდებულნი არიან სინდისიერად და პატიოსნათ უარჰყონ ის სიყალბე, რომელიც მათ დასწერეს 15-ის პლატფორმაში.

არა ნაკლებ საზიანო, ვიდრე ფასების აწევის პოლიტიკა, რომელსაც გვირჩევენ „უკიდურესი მემარცხენენი", ვიდრე მათი ლიკვიდატორული შეხედულებანი სოციალისტურ აღმშენებლობაზე, არის „უკიდურეს მემარცხენეთა" შეხედულებანი პარტიის პოლიტიკის შესახებ სოფლად. აქ, როგორც, სხვათა შორის, პლატფორმის სხვა ადგილებში, უკიდურეს მემარჯვენე დასკვნებს ხანდახან თან ერთვის მეტად მემარცხენე წინადადებანი. საჭიროა კეთილსინდისიერების მეტად მინიმალური დოზა გქონდეს კაცს, რომ ამტკიცო, რომ სწორედ **ამ მიმართულებით** მიდის ცეკას პოლიტიკა სოფლად. რომ პარტიის სრულიად სწორი პოლიტიკის დროსაც შეიძლება ექნეს ადგილი ამ პოლიტიკის დამახინჯებას, ამაში ჩვენ არა ერთხელ დავრწმუნდით. ლენინი ხომ საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებას განსაზღვრავდა, როგორც **მუშურ სახელმწიფოს... ბიუროკრატიული გადამახინჯებით.** ნუ თუ „ბიუროკრატიული გადამახინჯება" არის ისეთი თავისებურება, რომელიც პერმანენტულად ახასიათებს მუშათა კლასს და მუშურ სახელმწიფოს? რასაკვირველია, არა. სწორედ ის არის დამახინჯება, რომ როდესაც აღებულია სწორი, სავსებით ბოლშევიკური ხაზი მიმართული ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხების დახმარებისაკენ, მსხვილ სასოფლო-სამეურნეო მანქანების და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გავრცელებისაკენ, უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში, ამხანაგობებში, კომუნებში, როცა ასეთ დროს ჩვენ გვაქვს ისეთი რაიონები ციმბირში, უკრაინაში და სხვა ადგილებში, სადაც მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები უმთავრესად ხელში უვარდებათ შეძლებულ, მდიდარ გლეხებს, კულაკებს.

ამგვარ დამახინჯებასთან ბრძოლის სწორად წარმოების შესწავლა კი არ არის ისე ადვილი. ლენინი მეათე ყრილობაზე სვამდა კითხვას: „რატომ ამხ. შლიაპნიკოვმა, როცა იგი იყო სახალხო კომისარი, რატომ ამხ. კოლონტაიმ, როცა იგიც იყო სახალხო კომისარი, არ გვასწავლეს ბრძოლა ბიუროკრატიზმთანო?" „უკიდურესი მემარცხენენი" მიწის ნაციონალიზაციაზე ისე მსჯელობენ, თითქოს ჩვენ არ გვქონდეს პროლეტარიატის დიქტატურა. ასევე მსჯელობენ ისინი კოოპერაციის შესახებაც. კოოპერაცია, რომელშიაც ლენინი ხედავდა „ყველა აუცილებელ პირობებს სოციალიზმის შენებისათვის". ეხლა გამოცხადებულია კულაკურ კოოპერაციად.

მაგრამ „უკიდურეს მემარცხენეთა" ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ არის იმის აღმოჩენა, რომ ჩვენ უკვე გვქონდა კულაკურ-გლეხური დემოკრატია".

თურმე ჩვენ ლიკვიდაცია მოუხდინეთ შინაპარტიულ დემოკრატიას, და მასთან ერთად მუშურ დემოკრატიას. და იცით თუ არა თქვენ რისთვის? იმისათვის, რომ გავაფართოვოთ კულაკურ-გლეხური დემოკრატია. **„შინაპარტიული და მასთან ერთად მუშური დემოკრატიის ლიკვიდაცია 1923 წელში მხოლოდ საბაბი გახდა გლეხურ-კულაკური დემოკრატიის გაფართოებისათვის. ცეკას პოლიტიკა არა მარტო ბორკავს პროლეტარიატის აქტიობას, არამედ აფართოებს არაპროლეტარული კლასების აქტიობას"...**

განა შეუძლია პარტიას მოითმინოს ამგვარი ცილისწამება, უსირცხვილო, ანტიპარტიული ბრალდებანი? აქ ხომ იმას ამტკიცებენ, რომ პარტიამ **შინაპარტიულ დემოკრატიას უკვე მოუხდინა ლიკვიდაცია იმისათვის, რომ გააფართოვოს კულაკურ-გლეხური დემოკრატია.** მაგრამ თუ ეს ასეა, **მაშინ ჩვენ არ გვაქვს პროლეტარიატის დიქტატურა, არამედ არის კულაკურ-გლეხური დემოკრატია.** და თუ ჩვენ კულაკურ-გლეხური დემოკრატია გვაქვს, მაშინ პროლეტარიატის რომელი რაზმი იკისრებს ისეთ სახელმწიფოს დაცვას, რომელიც წარმოადგენს კულაკურ-გლეხურ დემოკრატიას, და ამასთანავე ამ კულაკურ-გლეხურ დემოკრატიის სათავეში სდგას კომუნისტური პარტია? განა ცხადი არ არის, რომ ეს კომუნისტური პარტია მუშური დემოკრატიის მოწინააღმდეგე პარტიას წარმოადგენს. განა ყველასათვის ცხადი არ არის, რომ საკავშირო კომპარტია (ბ) „უკიდურეს მემარცხენეთა" ამ შეფასებით პროლეტარული პარტია კი არ არის, არამედ კულაკურ-გლეხური დემოკრატიის პარტია? აი, სადამდე მივიდნენ „უკიდურესი მემარცხენენი". აქედან, რასაკვირველია, გამომდინარეობენ ყველა ის ბრალდებანი, რომ ცეკა ჩქმალავს თავის კულაკურ პოლიტიკას და ამისათვის ისინი იგონებენ ასეთ სახელებს: „შეძლებული გლეხები", „ძლიერი მწარმოებელი საშუალო გლეხი" და სხვ.

რა არის საჭირო, უკიდურეს მემარცხენეთა აზრით, რომ შეიცვალოს ეს პოლიტიკა? „აუცილებელია რეალურად შეუდგეთ მსხვილ სახელმწიფო მეურნეობათა მოწყობას წარმოების გაუმჯობესებული ტეხნიკით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამმუშავებელი ქარხნებით—ყველის სახდელი, შაქრის ქარხნები, სელის დამმუშავებელი ქარხნები და სხ." პირდაპირ შეუდარებელია! თურმე საჭიროა მხოლოდ **შეუდგეთ** მსხვილი საბჭოთა მეურნეობის მოწყობას, თითქოს ჩვენ ამ საქმეს დიდი ხანია არ შეუდექით, თითქოს ამ საქმეში არ გვქონდა მთელი რიგი უდიდეს შეცდომათა, თითქოს ამ საქმეში არ ავამხედრეთ ჩვენს წინააღმდეგ გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისეთი სამეურნეო მუშაკების, საბჭოთა მეურნეობების ისეთი ორგანიზატორების პოლიტიკით როგორც ალბად იქნებოდნენ ყველა 15 „უკიდურესი მემარცხენე", რომლებმაც პლატფორმაზე მოაწერეს ხელი! აი, იმათ უნდა დავავალოთ მსხვილი საბჭოთა მეურნეობის მოწყობა წარმოების გაუმჯობესებული ტეხნიკით და სხვ. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მშვენიერ შედეგებს მივიღებდით სულ მოკლე ხანში! შესანიშნავი რამ,—დამახასიათებელი ყველა ამგვარ „პროექტების" ავტორებისათვის,—არის ის, რომ ისინი ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ **თანხებზე.** საჭიროა სამუშაო ხელფასის ზრდის დაჩქარება. საჭიროა დიდი თანხების დახარჯვა, ბევრად მეტი თანხების დახარჯვა კაპიტალური ხარჯებისათვის, მსხვილი მრეწველობისათვის, ტრანსპორტისათვის და სხ. ამავე დროს რეალურად უნდა შეუდგეთ მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მოწყობას წარმოების გაუმჯობესებული ტეხნიკით. **თანხები** კი საიდან მოვიტანოთ? იმ მითიური მილიარდებიდან ხომ არა, რომლებსაც ოდესღაც გვაწვდიდა ამხ. ზინოვიევი საპრონოვთან და სმირნოვთან ერთად? აი, ასეთ ხასიათს ატარებენ უკიდურეს მემარცხენეთა ყველა დანარჩენი წინადადებანიც. ეს „უკიდურესი მემარცხენენი" ყველანი ძალიან გულუხვები არიან, მათთვის არაფერს შეადგენს დაპირება, ისინი გულუხვი ხელით ხატავენ მოწყობილობათა, სახელმწიფო მეურნეობათა შექმნისა და გაფართოების, ღარიბთათვის ფართო დახმარების აღმოჩენისა და სხ. გრანდიოზულ გეგმებს, ხოლო თანხების წყაროს ყოველივე ამისათვის ვერც-ერთი მათგანი ვერ მიგვითითებს, იმიტომ, რომ ესენი არიან პოლიტიკური ბანკროტები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

განსაკუთრებულ განყოფილებას ამ პლატფორმაში ეწოდება „საბჭოთა სახელმწიფო". მაგრამ ის, რაც დახასიათებულია ამ განყოფილებაში სრულიად არ წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს. ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს უკიდურეს მემარცხენეთა ფილოსოფია იმის შესახებ, თუ რა არის სახელმწიფო. ის გარემოება, რომ ისინი თავის შეხედულებებში ემყარებიან ლენინს, სრულიად არ უზრუნველჰყოფს იმას, რომ მათ ოდნავ მაინც ღირსეულად მოიხმარონ ლენინის ციტატები. სურათი, რომელსაც ისინი ხატავენ, სავსებით არის გადმოწერილი „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი"-დან. წამოყენებული არის საბჭოების აღდგენის იდეა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს იდეა სავსებით არის აღებული მიასნიკოვისაგან. სწორედ მიასნიკოვმა თავის მანიფესტში წამოაყენა საბჭოების აღდგენის ასეთი იდეა. იგი წინადადებასაც კი იძლეოდა, რომ მისთვის მიგვეცა, „იჯარის" მსგავსად, რამოდენიმე საბჭო, რათა ისინი გადაექმნა ისე, როგორც იგი, მიასნიკოვი სცნობდა სწორედ. მიასნიკოვი რამოდენიმე წლის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ეს იქნება ნამდვილი საბჭოები და არა ისინი, რომლებიც ეწყობოდა ლენინის ხელმძღვანელობით.

სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, იმის მაგივრად, რომ ბრძოლა აწარმოოს პოლიტიკურ და ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციასთან, „თავის მოქმედებას სულ უფრო და უფრო მიმართავს მუშათა კანონიერ უკმაყოფილების წინააღმდეგ, რომელიც გამოწვეულია ბიუროკრატიული და წვრილ ბურჟუაზიული დამახინჯებისაგან, იგი მიმართავს თავის მოქმედებას შინაპარტიულ ოპოზიციის წინააღმდეგაც კი". რასაკვირველია, ეს სავსებით ცილისწამებაა, რომელსაც დღემდე ჩვენ ვხვდებოდით მხოლოდ თეთრგვარდიელთა გაზეთების ფურცლებზე. ეს ცილისწამება ვრცელდება მათ მიერ. დღემდე ჯერ კიდევ შეიძლება შეხვდეთ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ში და სხვა თეთრგვარდიელთა ორგანოებში იმის მტკიცებას, რომ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ებრძვის ოპოზიციას, რომ სახელმწ. პოლიტ. სამმართველო ებრძვის მუშათა კანონიერ უკმაყოფილებას. ასეთი ცილისწამებაა უკიდურეს მემარცხენეთა მტკიცება წითელი არმიის შესახებ. ოპოზიციის აზრით, „არსებობს საფრთხე, რომ წითელი არმია გადაიქცევა ხელსაყრელ იარაღად ბონაპარტისტული ავანტიურებისათვის".

აი, აზრთა წყება: დანი, ბაუერი, კაუცკი, უსტრიალოვი ამტკიცებენ, რომ ჩვენში აუცილებელია ტერმიდორი, რომ უკვე დგება, უკვე დადგა კიდეც ტერმიდორი. ამხ. ტროცკი „თავებად" აღწერს ტერმიდორიანელთა ბრძოლას. სხვა პოლიტიკოსები ოპოზიციიდან ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ისინი წარმოადგენენ რევოლიუციონერებს, პარტიის უმრავლესობა კი ოპორტიუნისტულ, კონტრ-რევოლიუციის გზაზე შემდგარ ჟირონდას. სხვანი —„უკიდურესი მემარცხენენი" წინასწარმეტყველებენ, რომ „არსებობს საფრთხე, რომ წითელი არმია შეიძლება გადაიქცეს ხელსაყრელ იარაღად ბონაპარტისტული ავანტიურებისათვის". თავის თავად ცხადია, რომ თუ საქმე მივიდა იქამდე რომ, როგორც ამტკიცებენ უკიდურესი მემარცხენენი, „პროლეტარიატის დიქტატურის ლიკვიდაცია ხდება", ან, როგორც ამტკიცებენ ტროცკისტები, რომ „პროლეტარული დიქტატურა სუსტდება თავის კლასობრივ საფუძველში",—**მაშინ სხვა არაფერი არ არის პერსპექტივაში, გარდა ბონაპარტისტული ავანტიურისა.** და აი, „თურმე" „უკიდურეს მემარცხენეთა" აზრით, საქმე იქამდე მივიდა, რომ არსებობს საფრთხე, რომ წითელი არმია შეიძლება გადაიქცეს ასეთი ავანტიურების იარაღად. ყოვლად შეუძლებელია, რომ ასეთი შეხედულებანი შეუთავსოთ პარტიის წევრობას.

იმიტომ, რომ თუ საბჭოთა სახელმწიფო აღარ არის პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, თუ საბჭოები აღსადგენია, თუ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო უკვე ებრძვის არა ეკონომიურ და პოლიტიკურ კონტრ-რევოლიუციას, არამედ მუშათა კანონიერ უკმაყოფილებას, თუ წითელი არმია უკვე იქცევა ბონაპარტისტული გადატრიალების იარაღად,—მაშინ როგორ შეიძლება დარჩე იმ პარტიის წევრად, რომელიც ყოველივე ამას აკანონებს, რომელიც ასეთ პოლიტიკას აწარმოებს. ამ შეხედულებათა **კონტრ-რევოლიუციონური არსი** იმდენად ცხადია, რომ არ არის საჭირო უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ამ კონტრ-რევოლიუციონურ თეორიასთან მიკერებული „წინადადებანი", ვინაიდან რამდენადაც არ უნდა მიაკეროთ ამ კონტრ-რევოლიუციონურ თეორიას კარგი წინადადებანი, იგი ამით არ გახდება ნაკლებ კონტრ-რევოლიუციონური.

ამ პლატფორმას ხელი მოაწერა საპრონოვმა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საპრონოვი ბრძოლას აწარმოებდა ლენინის წინააღმდეგ და მისი სიცოცხლის დროს აწარმოებდა სასტიკ ანტილენინურ ბრძოლას; ეხლა კი იგი სწერს: „შინაპარტიულ აღმშენებლობის დარგში ცეკას პოლიტიკა ლენინის სიკვდილის შემდეგ მდგომარეობს პარტიის განუწყვეტლივ ბიუროკრატიზაციაში. ამასთან ერთად სწარმოებს მისი ხელმძღვანელი ნაწილის გადაგვარების სწრაფი პროცესი". **ლენინის სიცოცხლის დროს საპრონოვი და მისი მეგობრები სწორედ ამაში ხდებდენ ბრალს ლენინს. ლენინის სიკვდილის შემდეგ ისინი აცხადებენ, რომ თითქოს ასე არ იყო წინედ, რომ ეს მხოლოდ ეხლა არის.**

აი, აქაც აზრთა წყება. ყველა ამხანაგები, რომელნიც ცეკას წინააღმდეგ გამოდიან, იმ ჯგუფის ამხანაგებიც, რომლებმაც „ქვრივის წერილს" მოაწერეს ხელი, გვარწმუნებენ, რომ ის მდგომარეობა, რომელიც გვაქვს პარტიაში, ჩვენ გვაქვს **ლენინის შემდეგ** და ივიწყებენ, რომ იგივე საყვედურები პარტიის მიმართ ჩვენ გვესმოდა **ლენინის სიცოცხლეშიაც.** განა აქ საჭირო კვლავ გავსცეთ პასუხი, მეტი რომ არა ვსთქვათ უგუნურ ლაპარაკს პარტიის ხელმძღვანელი ნაწილის გადაგვარების შესახებ, პარტიის განუწყვეტელი ბიუროკრატიზაციის შესახებ? ჩვენ აქ არ შევჩერდებით პარტიის იმ ისტორიაზე ლენინის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც ხატავს ოპოზიცია. ოპოზიციამ **ვერც ერთი ნათელი ხაზი ვერ მონახა ამ ისტორიაში.** ლენინის სიკვდილის შემდეგ პარტიაში შევიდა რამდენიმე ასი ათასი მუშა. მათი უდიდესი უმრავლესობა დარჩა პარტიაში; მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ საკმაო ყურადღებას არ ვაქცევდით მათ პოლიტიკურ აღზრდას, მიუხედავათ იმისა, რომ პარტიამ ამ ხნის განმავლობაში მძიმე მომენტები გაიარა, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დადგა ომის საფრთხის წინაშე, მიუხედავათ იმისა, რომ ოპოზიცია არყევს, ძირს უთხრის პარტიას, მის წინააღმდეგ ამხედრებს პარტიის სუსტ წევრებს, მიუხედავათ ყოველივე ამისა, „პარტიიდან გავიდა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. პარტიამ უდიდესი აღმზრდელობითი მუშაობა, უდიდესი საორგანიზაციო მუშაობა ჩაატარა. მას ეხლა შეუძლია გაცილებით უფრო დიდი ამოცანების შესრულება, ვიდრე წინედ: იგი უძღვება გაცილებით უფრო რთულ და გაცილებით უფრო განვითარებულ მეურნეობას, ვიდრე წინეთ. „უკიდურესი მემარცხენე" ოპოზიცია კი ეძებს საშინელ ფერადებს და ხატავს საშიშ სურათს, და ვინც გაეცნობა ამ სურათს, იგი აუცილებლად დარწმუნდება, რომ ის არსებობს მხოლოდ საპრონოვების თავში, მათ გაშლილ გაბოროტებულ ტვინში, და არა სინამდვილეში. თავის თავად ცხადია, რომ მათთვის პარტია უკვე აღარ არსებობს, არ არსებობს ცეკა, არამედ არის „სტალინის ფრაქცია".

ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას იმაზე, რომ ეს ჯგუფი, რომელმაც დაჰკარგა ნიადაგი, კვლავ ხელში იღებს დემაგოგების ყოვლად უვარგის იარაღს— აზვიადებს საკითხს „ზედა" და „ქვედა" ფენების შესახებ. მათ აღმოაჩინეს, რომ პარტიაში იქმნება ჯგუფები, რომელნიც სხვადასხვა გვარი არიან თავისი ნივთიერი მდგომარეობით. მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ ჯგუფების ბელადები ყოველთვის, დაწყებული ოქტომბრის რევოლიუციიდან, **თავისი ნივთიერი მდგომარეობით** ეკუთვნოდენ იმ ჯგუფებს, რომელიც უფრო ზედაფენებს შეიძლება მივაკუთვნოთ, ვიდრე ქვედა ფენებს. ჩვენ არასოდეს არ გაგვიგონია, რომ მათ უარი განეცხადებიათ იმ უპირატესობებზე, რომლებსაც აძლევდა ეს მდგომარეობა. არავინ არ დაუჯერებს სერიოზულად მათ, რომ იმათ აქვთ რაიმე საშუალება იმისათვის, რომ მოსპონ მდგომარეობის ეს განსხვავება კომუნისტების, როგორც მასიურ პარტიის წევრების და არა როგორც რომელიმე წრის, რომელსაც შეუძლია სრული გათანასწორება დაამყაროს თავის წევრებს შორის.

უკიდურესი მემარცხენენი იქამდე მივიდენ, რომ ამბობენ „ცეკამ პარტიის შევიწროების თავისი პოლიტიკით უკვე გადააბიჯა იმ საზღვარს, რომლის იქითაც იწყება პარტიის ლიკვიდაცია"... მაშასადამე, პარტიის ლიკვიდაცია უკვე დაიწყო. და თუ ცეკა ახდენს პარტიის ლიკვიდაციას, საპრონოვის მომხრეებმა უნდა ააშენონ **ახალი პარტია.**

ხედავთ, როგორი მდგომარეობაა! ოქტომბრის რევოლიუციამ ვერ შესძლო შეექმნა პირობები სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლისათვის, ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობა ხელს უშლის იმას, რომ იგი იქცეს სოციალისტურ ქვეყნად საბჭოებმა იმდენად დაჰკარგეს სოციალისტური არსი, რომ აუცილებელია მათი აღდგენა არა, მარტო აღარ არის შინაპარტიული დემოკრატია და მუშური დემოკრატია, არამედ უკვე აყვავდა კულაკურ-გლეხური დემოკრატია. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ებრძვის არა კონტრ-რევოლიუციას, არამედ მუშათა კანონიერ უკმაყოფილებას. წითელი არმია მზად არის გახდეს ბონაპარტისტული გადატრიალების იარაღი. პარტიის ცეკამ უკვე გადააბიჯა იმ საზღვარს, სადაც იწყება პარტიის ლიკვიდაცია. „„რომ პარტიის ეს ლიკვიდაცია ბოლომდე ყოფილიყო მიყვანილი, ეს იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის აღსასრული საბჭოთა კავშირში". ასეთია სურათი, დახატული ლიტერატორ სმირნოვის კალმით და მალიარ საპრონოვის ფერადებით. აქ ყველაფერი არის, რაც გნებავთ, მხოლოდ აღარ არის ლენინიზმი.

ამის შემდეგ სრულიად გაუგებარია, რატომ აცხადებს ეს ხალხი იმის პრეტენზიას, რომ მათი ნაწარმოები გაავრცელონ, რომ მათ მოუსმინონ ცეკას პლენუმზე; პარტიის ყოველ კრიტიკას საზღვარი აქვს. ჩვენ არ ვსცნობთ „კრიტიკის ისეთ თავისუფლებას", როგორც სურთ უკიდურეს მემარცხენეებს. პარტიის ფარგლებში ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ ასეთი კრიტიკა, ვინაიდან **ეს არის ანტიპარტიული, ღვარძლიანი კრიტიკა; ასეთი კრიტიკის წარმოება შეუძლია მტრებს, და არა პარტიის წევრს;** და არც კი არის საჭირო გამოვიძიოთ, თუ საიდან მომდინარეობს ასეთი კრიტიკა.

საკმაოა პარტიულებს ვუჩვენოთ ამგვარი „თეზისები", რომ ოპოზიციას ზურგი შეაქციოს ყველა პატიოსანმა, ყველა რევოლიუციონურმა, პროლეტარულმა ელემენტებმა, რომლებიც კი არიან ჩვენს პარტიაში, ჩვენს ქვეყანაში.

რასაკვირველია, „ოპოზიციონური ბლოკის ჯგუფების წარმომადგენელთა" კონსპირატიულ კრებებზე საპრონოვებს შეუძლიათ წამოაყენონ მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ ტროცკისტებმა უარი სთქვა 16 ოქტომბრის განცხადებაზე. მათთვის **არ არის საჭირო წამოაყენონ ეს მოთხოვნილება,** ვინაიდან **16 ოქტომბრის დაპირებაზე ხელის მომწერლებმა დიდი ხანია იგი უარჰყვეს, დიდი ხანია იგი გასთელეს.** რასაკვირველია, აქიდან აუცილებელი ნაბიჯი, რომლის შესახებაც გვიამბობს ამხ. ზოიცოვი, როცა უკიდურესი მემარცხენენი სცდილობენ „შექმნან საზოგადოებრივი აზრი უპარტიო მუშებს შორის ოპოზიციის სასარგებლოდ" (რატომ ნეპმანებს შორის არა. ესენი უფრო ადვილად მიხვდებიან მათ ზრახვებს).

ჩვენ ნაკლებ გვაინტერესებს, შესძლეს თუ არა ამ სხვადასხვა ჯგუფებმა შეთანხმება ერთმანეთს შორის ცეკას წინააღმდეგ შეტევისათვის. როცა ოპოზიციონური ჯგუფების ეს უპრინციპო ბლოკი არსდებოდა, ჩვენ წინასწარ ვამბობდით, რომ რაც უფრო აჭრელებული, სხვადასხვაგვარი, უპრინციპო იქნება იგი, მით უფრო მალე მოხდება მისი დაშლა. ეს დაშლა იწყება. ოპოზიციონურ ბლოკს ჩამოშორდენ და შორდებიან **საუკეთესო** ამხანაგები. ოპოზიციონური ბლოკის ცალკე ჯგუფები იძულებული არიან ეხლა თავისი **ცალკე პლატფორმებით** გამოვიდნენ, რომელნიც ცალკე საკითხებში ერთმანეთს უპირდაპირდებიან. ეწინააღმდეგებიან. 1921 წ. სმილგამ საპრონოვს უწინასწარმეტყველა: „ცხოვრებამ ბოროტად დასცინა ამ ოპოზიციის ბელადს ამხ. საპრონოვს. მან კარიერა გაიკეთა, შეიძლება ითქვას ყვირილით ბიუროკრატიზმის, ჩინოვნიკობის და სხ. შესახებ, მაგრამ აი. მოხდა ასეთი ამბავი: ეს ერთგული მომხრე პრინციპისა—ძალაუფლება ადგილებზე, გახდა მმართველი საბჭოთა ჩინოვნიკი, მცირე სახალხო კომისართა საბჭოში, სადაც იგი ერთი დღის განმავლობაში ნთქავდა იმაზე მეტ ქაღალდს, რამდენსაც ნთქავენ ზოგიერთი ბიუროკრატები მრავალი წლის განმავლობაში. შორს არ არის ის საათი, როცა საპრონოვშჩინა შთანთქავს საპრონოვს. „Sic transit gloria mundi" (ასე თავდება ქვეყნის დიდება).

დიახ, ფრაქციულმა საპრონოვშჩინამ შესჭამა ამხ. საპრონოვი-რევოლიუციონერი. უკიდურესი მემარცხენე ოპოზიციის წვრილბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ შესჭამა პროლეტარი საპრონოვი და დააყენა იგი სახიფათო საზღვარზე კავშირის გაწყვეტისა მსოფლიოში ერთად ერთ პროლეტარულ პარტიასთან, რომელიც აშენებს სოციალისტურ მეურნეობას.

(დასასრული იქნება)

ე. იაროსლავსკი.



თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ალმშენებელთა კავშირის ალმშენკომ № 6-ს ტრამვაის მუშათა შენობების აგებაზე მომუშავე მუშების სახელით შემოაქვს 72 მან. 95 კაპ. და იწვევს ალმშენებელთა კავშირის 1, 2 და 3 საუბნო კომიტეტს და 1 და 5 ალმშენკომს.

ალმშენკომი № 6-ს თავმჯდომარე **სხირტლაძე.**

—:—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოთ 5 მანეთი.

ლ. ნასარიძე.

—:—

ამხ. ლილა ბიბინეიშვილის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხ.: ალექს. ბახტაძეს, ანტ. პაპოვს, კირ. ხოშტარიას, გრ. კვირიკაძეს, იას ჯვანიას, ნიკ. პროკოფიევს, ნინო კოტლიაროვას, ანტ. კალკინოვას, ელ. კობახიძეს, ზინ. ხუნდაძეს, დიმ. ლაბაძეს, მიხ. კაკაურიძეს, სპ. მოწონელიძეს, ივ. ბერიცკს, მარო გნოლიძეს, მარ. დემენტიევას, მერი ნაკაშიძეს და თამარა ტაბატაძეს,

მარიამ გულუაშვილი.

—:—

მარო ბოჭორიძის გამოწვევით შემომაქვს 3 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლათ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქეიშვილი სეფე, აპოლონ მანწკავა, კაშია ამბერკი, გეგეჭკორი მელიტონ, ხარაიძე სამუილ, აქვსენტი გაფრინდაშვილი, ნადირაძე ლეონ, ბაგრატი მანჯგალაძე, ნიკო ჯორბენაძე, კოწია ვაშაძე, გრიშა შატბერაშვილი, გიორგი ნუცუბიძე, ჯაბუკ მიშველიძე, გიორგი თოდუა, იოსებ ცობელოვი, ენუქიძე ვალიკო, სანაძე ვანო, ამბროსი ჯაჯანიძე.

ქიათურის მუშა **იაკო კავთელაძე.**

—:—

ავჭალის ბავშვთა ახალშენის მუშა-მოსამსახურეებს შემოგვაქვს ნახევარი დღის ხელფასი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაშენებელ ფონდში 30 მან. და 63 კაპ.

ი. ძმისაშვილი.

—:—

საქ. მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს შემოაქვთ თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ორმოცი (40) მანეთი და იწვევენ საქართველოს შემდეგ დაწესებულებების თანამშრომლებს: ცაკის, სახკომსაბჭოს, საგეგმოკომისიის, შინ. საქ. სახკომატის, ს. მ. უ. ს.-ის, ჯანსახკომატის და შრომის სახკომატის.

თანამშრომელთა ადგილკომი.

—:—

ამხ. ოლია სტურუას გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 3 მანეთი.

ანეტა სიხარულიძე.

—:—

შემოგვაქვს 17 მან. დამატებით იმ თანხისა, რომელიც აღნიშნულ იყო „კომუნისტი"-ს ა.-წ. 24 ივლისის № 167 „თბილისის პროლეტარიატის" ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად.

ქ. გორის შეკრების სათადარიგო მეთაურთა მონდობილობით.

სამხედრო კომისარი **ჭაავა.**

—:—

ამხ. ურუშაძის გამოწვევით შემომაქვს 5 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დავით ლორთქიფანიძეს, იაშა ახობაძეს, რაჟდენ ცირეკიძეს, მამალაძეს (ტყიბ. რაიკომი). ბალდინაშვილს (ტყიბ. „ეპო")), პროკოფი ვაჩაძეს (ონი), ბონდო წულუკიძეს (ბათომი) და ირაკლი ლომიას (სოხუმი).

სპ. ფოფხაძე.

—:—

თანახმად ამხ. ს. ცუცქირიძის გამოწვევისა შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ ამხ. მიხეილ წერეთელს, გერვასი ბრეგვაძეს, ალიოშა გოგოლაშვილს და გალაქტიონ ჯაფარიძეს.

ვლად. სულაქველიძე.

—:—

ამხ. აქვსენტი ზვამბახიას და იასონ შვანგირაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად.

ლანჩხის საბჭოთა აფთიაქის გამგე **აქვსენტი დათიაშვილი.**

— —

ამხ. სიმონ ცუცქირიძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოთ ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ბათომიდან სიმონ და კონსტანტინე ბოჭორიშვილები, ქუთაისიდან მასწ. იაკობ კოსტავა, ზესტაფონიდან ამხ. თამარა ბლუაშვილისა, თამარა ზვიადაძე, შორ. მაზრის ქალთა ვაჟ. ინსტ. ლიდა კოვზირიძე, მასწ. ნინო ლამბაშიძისა და ირაკლი ფერაძე, მაზრის სკოლებიდან: გამგეები: აკაკი გველესიანი, კოტე ვოგიაშვილი, სისაკ პეტრუსოვი, სამუელ კუპატაძე, ტუშა იაკობაშვილი, კოტე ჭანტურიძე ლავრენტი ხარშილაძე, სერგო ულენტი, კონსტანტინე აქვსენტის ძე ორჯონიკიძე, ფილიმონ ბარბაქაძე, დავით ყორყოლიანი, შაქრო მაჩხანელი, ლავრენტი გოგიაშვილი, მიხეილ ქოჩიაშვილი, სერგო აბაშიძე და ილარიონ გოცაძე, მასწავლებლები: ეკატერინე კახიძე, ნიკოლოზ მემარნიშვილი, ბუბა ულენტი, კუკოლ კუპატაძე, აკაკი ტრაპაიძე, აკაკი ამაშუკელი, სერგო ჯაფარიძე, იასონ მხატვრიშვილი, ვლადიმერ არჩვაძე, გრიგოლ ნიორაძე, დულა ხალაძე, დ. რობაქიძე, ვლადიმერ ნემსიწვერიძე, ელ. კუტივაძე და იაკობ ოტიაძე.

შორ. მაზრის სკოლების ინსტ. **ალექსანდრე ნიქაბაძე.**

ა.-კ. და საქ. სახელ. პოლიტსამმართველოს თანამშრომლები აგებენ თვითმფრინავს

ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომელთა საერთო კრებამ დაადგინა ამ-კავკ. სახ. პოლიტ. სამმართველოს ორგანოების და ჯარების სახელით აგოს სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც უნდა შევიდეს ამხ. ძერჟინსკის სახელობის ესკადრილიაში. ამ მიზნით გადასწყვიტეს გადარიცხონ ჯამაგირის 1 პროც. 6 თვის განმავლობაში.

—:—

ქუთაისის პოლიტბიუროს თანამშრომლებმა 1 პროც. ანარიცხს გარდა მოაწყვეს ნებაყოფლობითი შეწირვა, შეაგროვეს 73 მანეთი და იწვევენ ახალციხის, ოზურგეთის, გორის, სიღნაღის, დუშეთის; ფოთის და ახალქალაქის პოლიტბიუროების თანამშრომელთ.

—:—

ახალციხის პოლიტბიუროს თანამშრომლებმა 1 პროც ანარიცხს გარდა ნებაყოფლობითი შეწირულებით შეკრიბეს 51 მან. 15 კაპ. და იწვევენ ოზურგეთის, გორის, სიღნაღის, დუშეთის, ფოთის და ახალქალაქის პოლიტბიუროების თანამშრომელთ.

—

დღეს შემოვიდა 190—58.

სულ წინეთ შემოსულთან ერთად 6.122—02 კაპ. და ერთი მაჯის ოქროს საათი.

მატრიარქატი ზაქათალაში

აზერბეიჯანის შემსწავლელი საზოგადოების მდივანმა ამხ. ალიკპეროვმა, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა ზაქათალის მაზრაში მოგზაურობიდან, „იასაების" ტომის შესახებ შემდეგი აცნობა ამ.-კავ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს:

„იასაი" წმინდა ადგილობრივი სახელწოდებაა ავარიელთა მოდგმიდან დარჩენილ ტომების. უკანასკნელნი ლაპარაკობენ ავარიელთა ენაზე. ამ ტომებს მეტად ლამაზი და მდიდარი ადგილები უჭირავთ ზაქათალის ახლოს მდებარე მთიან ხეობებში. აქვთ თავისებური ოჯახური წყობილება. ქალი იქ არის ოჯახის მეთაური და ეწევა არა მარტო ჩვეულებრივ შრომას, არამედ ამზადებს გასაყიდ საქონელსაც, რომელსაც თვითონ ახლებს ბაზარზე. მამაკაცები ოჯახურ ცხოვრებაში ძალიან მცირე როლს თამაშობენ.

ახლობელი მოსახლეობა, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა მხოლოდ აღნიშნულ ტომის ქალებთან აქვს (მამაკაცები და ვაჟები სახლში ზიან), უკანასკნელთ ეძახის „იასაებს" (ქალები, ქალების ხალხი).

იასაები განცალკევებით ცხოვრობენ ხეობებში. მათი რიცხვი 150 კომლამდე აღწევს. იასაების ადათის მიხედვით ქალი, რომელიც ვერ შესძლებს ოჯახის რჩენას, ან ცუდათ უძღვება ოჯახს „უპატიოსნოთ" ითვლება. გარდა ამისა, ყველა სამუშაოებზე აღნიშნულ ტომის ქალებს თანაშემწეებათ ქალიშვილები ყავთ.

აზერბეიჯანის შემსწავლელი საზოგადოებას განზრახვა აქვს დეტალურათ შეისწავლოს ამ საინტერესო მოდგმის ყოფა-ცხოვრება, ეტნოგრაფია და შეძლებისამებრ გამოარკვიოს მათი ისტორიული წარსული და სხ.. ამ მიზნით საზოგადოება, ზაქათალის მაზრაში გზავნის სპეციალურ თანამშრომელს, რადგან დღემდე მიღებული ცნობები არ არის სავსებით სრული.

ქიმიო-ფარმაცევტიული
ტეხნიკუმი

მომავალ სასწავლო წლიდან თბილისში იხსნება ქიმიო-ფარმაცევტიული ტეხნიკუმი ქართულ ენაზე. ეს ტეხნიკუმი იქნება საშუალო 3 წლიანი სასწავლებელი. ტეხნიკუმში მიიღებიან 9 წლედის კურსდამთავრებული 17-19 წლის ჰასაკის. გამოცდები უნდა ჩააბარონ შემდეგ საგნებში: ქართულში, რუსულში, მათემატიკაში (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია), ფიზიკაში, ქიმიაში და საზოგადოებათ მეცნიერებაში გეოგრაფიით (ცხრაწლედის კურსის ფარგლებში). მისაღები გამოცდები დაიწყება 1 სექტემბერს. განცხადებების მიღება უკვე დაიწყო (ბელგიის ქ. № 4 ტეხნიკუმის კანცელარიაში) და გაგრძელდება 25 აგვისტომდე. განცხადებასთან დართული უნდა ჰქონდეს წლოვანების, განათლების და სოციალური მდგომარეობის მოწმობები.

ნიაღვრის შედეგები

გზატკეცილების სამმართველოში მიღებულია დეპეშები რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში გზატკეცილების წალეკვის შესახებ. გუშინ მიღებულ იქნა დამატებითი ცნობები ოსეთის სამხედრო გზატკეცილის დაზიანების შესახებ.

აღნიშნული გზა სავსებით განადგურებულია მე-30 ვერსიდან მე-42 ვერსამდე ქუთაისიდან. გზის შესაკეთებლად მიღებულია სასწრაფო ზომები და უახლოეს დღეების განმავლობაში გზას წესრიგში მოიყვანენ. მიუხედავად დაზიანებისა, გზაზე მოძრაობა მაინც გრძელდება.

სოხუმის ოლქში საგრძნობლათ დაზიანებულია კოდორ-სოხუმის გზატკეცილი. ადიდებულ მდინარეს დაუზიანებია ზოგიერთი ხიდების ბურჯები.

გარდა ამისა, ძირულის რაიონიდან მიღებულია ცნობა, რომ უკანასკნელმა ნიაღვარმა სავსებით განადგურა მოსავალი, განსაკუთრებით ფერდობ ადგილებში.

გუჯარეთის წყაროები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ქიმიურმა ლაბორატორიამ დაასრულა გუჯარეთის ნატრიუმიანი წყალის გამოკვლევა.

გორის მაზრის გუჯარეთის თემში მაჭარწყალის მიდამოებში, 12 ვერსის მოშორებით წაღვერიდან ბორჯომის რკინის გზის ხაზზე მიწიდან ამოდის 23 მინერალური წყარო. ეს წყაროები ადგილობრივ გლეხებში განთქმულია თავისი სამკურნალო თვისებებით. აღნიშნულ წყაროებს გარდა, სოფელ ორდუბანსა და წინუბანში არის კიდევ სამი რკინა - კიროვანი წყარო, ერთი მლაშე წყარო მდ. გუჯარეთთან და ერთი ცხელი გოგირდოვანი წყარო, „მაჭარწყალად" წოდებული, მდ. შავმის მახლობლად და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადგილები წარმოადგენენ მშვენიერ კურორტს. ფიჭვნარი ტყით მოსილი მთები აღწევენ ბაკურიანის მთემის სიმაღლეს, ხოლო ჰავა აქ მშრალია, და არ იცის დიდი ქარი.

გუჯარეთის ნატრიუმიანი წყარო, რომლიდანაც დაიწყო გამოკვლევა, იმყოფება 3 ვერსის მოშორებით სოფელ გუჯარეთიდან საიალაღო მთებში. ეს წყარო მდიდარია წყალით. წყალი ბუნებით გაზიანია და ცივი, გემო მშვენიერი აქვს, არის წმინდა, ანკარა და მოკლებულია რაიმე ცუდ სუნს. ქიმიური ანალიზის დროს გამოირკვა, რომ ის შეიცავს ქლორს (ერთ ლიტრ წყალზე 2,5 გრამი), ნატრის (თითქმის 2 გრამი) კალციუმს, კალიუმს, და სხვ. თავისი თვისებებით ეს წყალი უახლოვდება უცხოეთის განთქმულ მინერალურ წყლებს—კისინგენის, რაკოშის, ობერეილბრუნისასა და სხვ. ამ წყალის სამკურნალო თვისებები იმდენად დიდია, რომ მისი წყალობით ეს ადგილი შეიძლება გადაიქცეს პირველხარისხოვან კურორტად.

ახლო მომავალში გამოკვლეულ იქნება, აგრეთვე, გუჯარეთის წყაროების მეორე ჯგუფი. იმედია, რომ ისიც დიდი წარმატებით დასრულდება.

ნ.

სისხლის სამართლის მილიციის მუშაობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ამხ. გრ. თოფურიამ მილიციის მუშაობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში სისხლის სამართლის მილიცია გაცხოველებულ ტემპით აწარმოებდა ბრძოლას ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგი ფრიად ნაყოფიერია. წინანდელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა ბოროტმოქმედებათა რიცხვი.

1926—27 წ. პირველ ნახევრის განმავლობაში წარმოებაში მიღებულ იქნა 2830 სისხლის სამართლის საქმე. გამოკვლევი დამთავრდა 2.041 საქმე.

დიდი ყურადღება ექცეოდა თანამდებობრივ დანაშაულობასთან ბრძოლას. თანამდებობრივი დანაშაული სულ იყო 192; ამ ჯგუფის საქმეებიდან გამორკვეულია 99 პროცენტი.

პიროვნების საწინააღმდეგო დანაშაულს ადგილი ჰქონდა 110 ჯერ; ამ ჯგუფის საქმეებიდან გამოირკვა 98 პროც.

წარმოებაში, მიღებულ იქნა აგრეთვე ქონებრივ დანაშაულის 2487 საქმე. გამორკვეულია 79 პროც.

დანარჩენ დანაშაულობათა შესახებ მიღებულ იქნა 30 საქმე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეპყრობილ და აყვანილ იქნა აღრიცხვაზე 896 ბოროტმოქმედი.

ბოროტმოქმედთაგან ერთჯერ რეგისტრაციაში გატარებულია 601 კაცი, ორჯერ—116, სამჯერ—56; ხოლო სამზე მეტჯერ—123 კაცი.

ეროვნების მიხედვით ბოროტმოქმედთაგან 211 ქართველია; 194 რუსი; 296 სომეხი; 70 თათარი; 22 ებრაელი და 103 სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი.,

სქესის მიხედვით—870 მამაკაცია და 26 დედაკაცი.

საერთოდ ამ ექვსი თვის განმავლობაში სისხლის სამართლის მილიციის მიერ გამორკვეულია ბოროტმოქმედებათა 75 პროცენტი, ე. ი. 1533 საქმე.

საანგარიშო ხნის განმავლობაში მიღებულ იქნა დაქტილოსკოპიური აპარატი, გერმანული კონსტრუქციის ფოტოაპარატის ხელსაწყოები და სხ.

ტარდება ცხოვრებაში დაქტილოსკოპიური მეთოდით ბოროტმოქმედის გამოცნობა; რაიც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ბოროტმოქმედთა შეპყრობა-გამოცნობის საქმეში დიდ როლს თამაშობს აგრეთვე მაძებარი ძაღლები.

ენერგიული ზომებია მიღებული თანამშრომელთა კულტურული დონის ასამაღლებლად, მაგრამ საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გაფართოვება.

ამგვარად ს. ს. მილიციის მუშაობა ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. მომავალში უზენაესი ორგანოების დახმარებით ჩვენ შევსძლებთ შემჩნეულ ნაკლულევანებათა გამოსწორებას.

წყალში დახრჩობისაგან
გადარჩენა

ივლისის განმავლობაში მდ. მტკვარზე წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენ საზოგადოების პოსტების რაიონში ადგილი ჰქონდა მდინარეში გადავარდნის 23 შემთხვევას; აქედან გადარჩენილი იქნა 22.

23 შემთხვევიდან 2 იყო თვითმკვლელობის განზრახვის ნიადაგზე, 16 ბანაობის დროს, 3 სხვადასხვა შემთხვევა და ორი ეტლის და ცხოვლების ჩავარდნის შემთხვევა.

დაიხრჩო ერთი უპატრონო ბავშვი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია; ის ბანაობდა იმ დროს, როდესაც გადამრჩენთ დაწყებული არ ჰქონდათ მუშაობა.

ვინაიდან ივნისში ადგილი ჰქონდა წყალში გადავარდნის 62 შემთხვევას და 8 პოსტს არ შეეძლო სამსახურის გაწევა ისეთი დიდი რაიონისათვის, როგორიც არის რაიონი გერმანელთა კოლონიიდან ორთაჭალამდე (12.5 ვერსი), წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენმა თბილისის საზოგადოებამ პოსტების რიცხვი გაადიდა 2-ით; ამ პუნქტებზე მუშაობს თითო გადამრჩენი.

ამჟამად მუშაობს 10 პუნქტი შემდეგ რაიონებში: დიდუბეში — გერმანელთა კოლონიასთან, ვერის პარკთან, ვერის ხიდის ქვევით, ვორონცოვის ხიდის ქვევით, კარლ მარქსის სახელობის კუნძულზე, მუხრანის ხიდის ქვევით, რიყეზე, მეტეხის ხიდის ქვევით, გოგილოს აბანოს პირდაპირ და ორთაჭალაში.

რკინისგზებზე

გასავლის ხარჯთაღრიცხვა

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა გზის 1927-28 წ. გასავლის ხარჯთაღრიცხვა 65.545 ათასი მანეთის რაოდენობით; ხარჯთაღრიცხვა წარედგინა დასამტკიცებლად ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს.

ხარჯთაღრიცხვის წარდგენასთან ერთად, გამგეობამ ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა 1927-28 წლის საწარმოო გეგმის გადიდების შესახებ. ნაცვლად გათვალისწინებულ 650.000 ცალი შპალის გამოცვლისა, უნდა გამოიცვალოს 800.000 ცალი შპალი, ნაცვლად 70 კილომეტრისა რელსები უნდა გამოიცვალოს 90 კილომეტრზე და ნაცვლად 400 კომპლექტ ვამყვან ძელებისა უნდა მოეწყოს 600 კომპლექტი.

ამისდა მიხედვით აღძრულია შუამდგომლობა გასავლის ხარჯთაღრიცხვის დამატებით 1187.832 მანეთით გადიდების შესახებ.

სალაროს გეგმა

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ დაამტკიცა სალაროს ივლისის გეგმა და ასეთივე გეგმა დაამტკიცა აგვისტოსთვის—5.508.000 მან რაოდენობით.

ამ თანხიდან 1.179.000 მან. უნდა დაიხარჯოს ახალ საშენოებზე.

გამტარებითი უნარიანობის გასადიდებლად

გზების გამტარებითი უნარიანობის გასადიდებლად, გზის გამგეობამ წინადადება მისცა სალიანდაგო განყოფილებას შეუდგეს მეორე ხაზების დაგების სამუშაოებს ზაზალი-ევლახის უბანზე და ფუთა-იებატის და პირგოსაიტ-ნავაგის გადასარბენზე.

მუშაობა უნდა დამთავრდეს სამი თვის განმავლობაში.

მადლობა

შემანქანეებს: ივ. ბეჟენტაძეს, მიხ. ტიტვინიძეს, დ. წერეთელს; შემანქანის თანაშემწეებს: გ. სოზანაშვილს და თედორე ლეჟავას და მექვაბე ივ. ვოგიტაშვილს, სამსახურისადმი ყურადღებისა და რამდენჯერმე გზებზე მარცხის თავიდან აცილებისათვის გზის გამგეობამ გამოუცხადა მადლობა.

ადმინისტრატიული დასჯა

მგზავრებისადმი უხეშად მოპყრობისა, ინსტრუქციების დარღვევისა, სადგურის შემოსავლის სალაროში თავის დროზე არ შეტანისა, [illegible] თანხების მითვისებისა, ანგარიშებისა და საერთოდ სამსახურისადმი გულგრილობისა, მგზავრების უმიზეზოდ დაჯარიმებისათვის და სხვა, გზის გამგეობამ ადმინისტრატიული წესით დასაჯა გზის 46 აგენტი.

ქრონიკა

ქართველი ინტელიგენციის კრება

დღეს, პარასკევს, 5 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე ხელოვანთა სასახლეში, (მაჩაბლის ქუჩა) შესდგება ქართველი ინტელიგენციის კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. ლევან ღოღობერიძე.

ადგილები კურორტებზე

მთავარ საკურორტო სამმართველოს ცნობით, აგვისტოსთვის რესპუბლიკანურ მნიშვნელობის კურორტებზე არსებულ სანატორიუმებში ადგილები ყველგან დაკავებულია. ჯერჯერობით თავისუფალია რამდენიმე ადგილი მხოლოდ ცემის სანატორიუმში.

სწარმოებს სექტემბრისათვის სანატორიუმებში წამსვლელთა ჩაწერა.

კოოპერაციის საქმეთა მმართველობა

საქ. სახკომსაბჭოსა და საქართველოს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა კოოპერაციის საქმეთა მმართველობა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **ცაგარელი** (თავმჯდომარე), **აივაზოვი, იარალოვი, ბუაჩიძე; კალატოზოვი; ძამანაშვილი; საკიანი** და **ქოიავა.**

თბილისის აღმასკომში

◆ **ავეჯეულობის ქარხანა.** თბილისის აღმასკომმა დაამტკიცა ავეჯეულობის ახალი ქარხნის აგების გეგმა. ქარხნის აგების დაწყება განზრახულია მიმდინარე წელს.

◆ **კეთილმოწყობა.** თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა კეთილმოწყობის განყოფილების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა.

◆ **ადგილობრივი მრეწველობის** საჭიროებისათვის მიმდინარე წელში საბრუნავ თანხაში გადადებული იქნა 558.700 მანეთი.

◆ **ელსადგური ხაშმში.** კომუნალურ განყოფილებას დაევალა შეუდგეს წინასწარ მუშაობას ხაშმში ელსადგურის ასაგებათ.

◆ **ლუდის ქარხნებიდან** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში შემოუვიდა 232,000 მან. ნაცვლად ნავარაუდევ 153.000 მანეთისა.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **პროფსკოლა.** შრ. სახ. კომისარიატთან არსებული ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია თბილისში ხსნის პროფსკოლას ქალებისათვის.

◆ **ახალი კოლექტივები.** უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით ახლო ხანში თბილისში გაიხსნება 4 ახალი კოლექტივი - სახელოსნო.

◆ **მშრომელ ახალგაზრდა ქალების** წარმოებებში ჩასაბმელად შრ. სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა ცალკე გეგმა.

◆ **შრომის კანონების დარღვევისათვის** გასულ თვეში დაჯარიმებულ იქნა 100-მდე კერძო და სახ. ორგანიზაციების ადმინისტრაცია.

◆ **დამატებითი შვებულება.** შუშის სარკის და საერთოდ ფაიფურის წარმოებებში მომუშავეთ მიეცემათ ორი კვირით დამატებითი შვებულება ჯანმრთელობისათვის მავნე პირობების გამო.

◆ **გამოკვლევა.** ახლო ხანში შეუდგებიან ამ წარმოებების გამოკვლევას, სადაც ჯანმრთელობისათვის მავნე პირობების გამო არ დაიშვებიან სამუშაოდ ქალები.

◆ **დასრულდა** აფხაზეთში და აჭარისტანში სახ.-სამ. დარგში მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევა მიღებულია ღონისძიებები შემჩნეულ ნაკლულევანებათა აღმოსაფხვრელად.

სახალხო ჯანმრთელობა

◆ **ჯანსახკომის წაღვერის პანსიონატში** 10 აგვისტოს გაიგზავნება მორიგი ჯგუფი.

◆ **წიგნის მაღაზია.** ჯანსახკომმა, სასახლის ქუჩაზე გახსნა წიგნის მაღაზია, სადაც იყიდება მხოლოდ წიგნები საექიმო დარგის და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

◆ **ქობულეთის საბავშო ახალშენის** ბავშთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის გასაძლიერებლად დამატებით დაინიშნა ერთი ექიმი.

◆ **ქალაქში ჰიგიენურ პირობების** დაცვის გასაძლიერებლად ჯანსახკომი აძლიერებს სანიტ.-ექიმების რაზმს.

სხვადასხვა

◆ **ხილის გატანა.** საქ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი ახალქალაქის მაზრაში შეუდგა საექსპორტო ხილის დამზადებას.

სასამართლო

ქურდების გასამართლება

გუშინ დილით სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

ექვს ბრალდებულთაგან 5 დამნაშავედ იქნა ცნობილი.

ბრალდებული **ხეჩო შახნაზაროვი** სასამართლომ გაამართლა.

დავით ხორხომელიძეს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციით.

გიორგი გიორგაძეს, ვალიკო გუბელაძეს, კარაპეტ და **გეურქა შახნაზაროვს** კი სამი წლით თავისუფლების აღკვეთა თვითეულს.

„შეურაცყოფილი" სახლის პატრონი

მოქ. **მატოიანცი** ბევრს ეხვეწებოდა თავის მდგმურს მოქ. **ოხდუნოვს** დაეცალა მისთვის ერთი ოთახი, მაგრამ უკანასკნელი უარზე იყო. ამის შესახებ მატოიანცმა საჩივარიც კი აღძრა სასამართლოში. მაგრამ იგი გულში ფიქრობდა როგორმე სასამართლოს გამოძიებამდე ეყარა ჯავრი ჯიუტ მდგმურეზე.

ერთ დღეს ოხდუნოვს ეწვია ერთი ამხანაგი. რომელმაც სხვათა შორის ლაპარაკი ჩამოუგდო მას ოთახის შესახებ. მან იკითხა, თუ როგორ მდგომარეობაშია საქმე სახლის პატრონის მიერ აღძრულ საჩივრის შესახებ.

ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა მატოიანცმა.

— აჰაა! ეს კარგია, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს,—გაიფიქრა გულში მატოიანცმა და მეორე დღესვე საჩივარი შეიტანა სახალხო სასამართლოში. განცხადებაში იგი ბრალს სდებდა ოხდუნოვს შეურაცყოფაში, მისი სახელით გინებით მოხსენიებაში და სხვა.

სასამართლომ აწარმოვა ამ საქმის შესახებ გამოძიება, მაგრამ ბრალდება არ დამტკიცდა და მატოიანცის ხრიკები გამომჟღავნდა.

კ.

შემთხვევები

ქურდების დაპატიმრება

გასულ ივლისში ა.-კ. რკინის გზების კომერციული განყოფილების თანამშრომელმა (ტვირთის მძებნელი) ამხ. **ფრუიძემ** აღმოაჩინა საბარგო კონდუქტორების „თბილი კამპანია", რომელიც სისტემატიურად, ეწეოდა ვაგონებიდან ტვირთების გატაცებას.

ეს ეცნობა [illegible] - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტსამმართველოს და მიღებულ ზომებით 28 ივლისს ღამით დაპატიმრებულ იქნენ: თბილისის გუნდის უფრ. კონდუქტორი **ალ. ლომიძე,** ამავე გუნდის უფროსი კონდუქტორი **პარმენ მიმინოშვილი,** უნცროსი კონდუქტორი **მათე მანგაძე** და ამავე თანამდებობაზე მომუშავე **ვლადიმერ ორჯონიკიძე.**

დაკარგულ საქონლისათვის რკინის გზა ვალდებული იყო პატრონისათვის გადეხადა ზარალი და ამ პირების მოღვაწეობამ" გზას მიაყენა 24.000 მანეთის ზარალი.

ამ „ოთხთა კავშირს", როგორც გამოირკვა მეთაურობდა მებარგე კონდუქტორი **ვასილ ხარატიშვილი,** რომელსაც საქონელი მიჰქონდა სახლში; საქონლის რეალიზაციას ეწეოდა მისი ცოლი **ანა.** ბინის გაჩხრეკის დროს ვასილ ხარატიშვილი გადახტა მეორე სართულიდან და გაიქცა.

მისი ცოლი ანა დაპატიმრებულია.

საქმის ნაწილობრივმა კვლევა - ძიებამ დაამტკიცა, რომ ყველა ეს პირები მუშაობდნენ შეთანხმებით. ამტვრევდნენ ვაგონების კარებს, და მიჰქონდათ საქონელი, უმთავრესად ფართალი, ამ საქონელს ნაწილობრივ იტოვებდნენ თვითონ, რაც დამტკიცდა მათი ბინების გაჩხრეკამ, და ნაწილობრივ ყიდდენ ბაზრებზე სხვადასხვა ქალაქებში.

შემდგომი კვლევა - ძიება სწარმოებს, რომლის დამთავრების შემდეგ ისინი მიიღებენ სათანადო სასჯელს.

—

◆ **ხანძარი.** ლენინის და ელბაქიძის ქუჩების კუთხეში მუშკოოპის მაღაზიას № 1 გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა. ზარალი უდრის 350 მან.

◆ **წყლის საქაჩავიდან** (კაზიმირის ქ. № 15) 3 აგვისტოს მოიპარეს 100 მან. ღირებული დინამოს ღვედი.

◆ **სომხეთის სამხედრო მეთაურთა სკოლის** კლუბიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები და ერთი ხალიჩა.

◆ **ფულის გატაცება.** სიმონ ბერიაშვილმა რიყის ქ. № 11 მდებარე საამხანაგო შუშის საწყობიდან გაიტაცა 180 მანეთი და მიიმალა.

◆ **ქურდობა.** 3 აგვ. ფრეილინის ქ. № 7 გაქურდეს შუშანიკა მნაცაკანოვის ბინა. წაიღეს 750 მან.

◆ ამავე დღეს მიმოსვლის ქ. № 11 გაქურდეს ლუარსაბ ხვიჩიას ბინა

◆ **დაჭრა.** 3 აგვ. პლეხანოვის გამზირზე ვანო სხირტლაძემ (14 წლის) დანით დასჭრა პარმენ სულაძე 6 წლის ბავში. დამნაშავე დაპატიმრებულია.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 29 ივლისის ნომერში მოთავსებული იყო ცნობა ქურდების შეპყრობის შესახებ, სადაც ქურდთა შორის აღნიშნული იყო შეცდომით მოქ. **კუბიაშვილი,** რომელსაც ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია

ხელოვნება

ოპერა მუშათა რაიონებისათვის

ზამთრის საოპერო სეზონის მოახლოვების გამო კვლავ წამოიჭრა დამოუკიდებელ საოპერო დასის შედგენის საკითხი. ეს დასი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა რაიონებს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მუშათა ფართე მასები თანდათან უფრო მეტად ეტანებიან კულტურას, კერძოთ კულტურულ მუსიკალურ გასართობებს დასვენების დროს. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მუშებით ავსებული აუდიტორიები ყველა მუშათა კლუბებში სიმფონიურ კონცერტების დროს.

სახელმწიფო ოპერა მოკლებულია საშუალებას მეტი ყურადღება მიაქციოს მუშათა რაიონებს. და თუ იგი მაინც სდგამს საოპერო წარმოდგენებს, ამასაც ეპიზოდიურად და ძალიან იშვიათად.

მუშათა კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შესდგა თბილისის მუსიკალურ ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან ახლო მდგომ პირების ჯგუფი. ამ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც განზრახულია რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის სიმღერის პროფესორის შულგინის მიწვევა, მიზნად აქვს დასახული საოპერო დასის შედგენა მომავალ საზამთრო და საგაზაფხულო სეზონისათვის. თბილისში მრავლად არიან ახალგაზრდა ვოკალური და ინსტრუმენტალური ძალები, რომელთაც, თავისი სპეციალობის მიხედვით, დასრულებული აქვთ სახელმწიფო კონსერვატორია. აი ამ ახალგაზრდა პროფესიონალების შემადგენლობიდან განზრახულია საოპერო დასის შედგენა მუშათა რაიონებისათვის.

კოლექტივის მუშაობა ნავარაუდევია 6 თვისთვის, 16 წარმოდგენით თვეში (ნაძალადევის თეატრსა, მუშათა ცენტრალურ კლუბსა, ტრამვაის მუშა - მოსამსახურეთა კლუბსა და ავლაბრის კლუბში). კოლექტივის რეპერტუარი და შემადგენლობა დასამტკიცებლად წარედგინება (პრინციპიალური თანხმობის შემდეგ) ხელოვნების განყოფილებას, პროფსაბჭოს და ქალაქის აღმასკომს. ამ საქმით დაინტერესებულმა პირებმა გადასდგეს ნაბიჯი ზემოჩამოთვლილ სახელმწიფო დაწესებულებათა თანხმობის მისაღებად. თუ ეს საკითხი გადაწყდა დადებითად, მაშინ დაუყოვნებლივ დაიწყება ამ საქმის განხორციელება. შედგენილი იქნება საოპერო დასი, ორკესტრი და ადმინისტრატიული მმართველობა. საცდელ - საჩვენებელი წარმოდგენის შემდეგ კოლექტივს მიეკუთვნება „მოძრავი მუშათა ოპერის" სახელწოდება.

პ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **საღამო ინვალიდების სახლში.** შაბათს, 6 აგვისტოს ინვალიდების პირველ სახლში დავრდომილ სამა თუმანიშვილის თაოსნობით გამართება სალიტერატურო მუსიკალური საღამო.

◆ **საბჭოთა მუშაკების კლუბში** დღეს გაიმართება ქართული მუსიკის დიდი საღამო.

◆ **მუშათა ახალ კლუბში.** დღეს, გაიმართება მოსკოვის თეატრ—ნიღაბის წარმოდგენა.

◆ **„სიცოცხლის წყაროსთან".** გამოვიდა და იყიდება ბ. ხელაშვილის სამ მოქმედებიანი პიესა „სიცოცხლის წყაროსთან".

დღეს კინოებში

— **დარბაზში** — „ბოროტმოქმედების დალი".
— **მინიონში** — „უბილეთო მგზავრი"
— **არფასტოში** — „ორში ერთი"
— **ოდეონში** — „ქალი პროვინციიდან"
— **პალასში** — „ფანჯარა მესამე სართულში"
— **ეთერში** — „ორში ერთი"
— **აპოლოში** — „ქალაქის ძახილზე"

ფეხბურთი

კავკავი-თბილისი

გუშინ კავკაველი ფეხბურთელები თამაშობდენ „არსრაიონთან". შეჯიბრს სჯიდა ამხ. **დ. მდივანი.**

გუშინდელ შეჯიბრში სტუმრებმა თამაშის გაცილებით უკეთესი კლასი გვიჩვენეს, ვიდრე პირველ მატჩში, თუმცა შეჯიბრში მათი დამარცხებით დამთავრდა.

პირველი ტაიმი თბილისელების უპირატესობის ნიშნის ქვეშ ჩატარდა: კავკაველები რამოდენიმე მოდუნებული ტემპით თამაშობდენ: თამაშის პირველი განყოფილების შედეგია 3:0 „არსრაიონის" სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში სტუმრებმა გააცხოველეს თამაში. მათი ფორვარდები მრავალ ლამაზ კომბინაციებს ანვითარებდენ და ხშირად უახლოვდებოდენ თბილისის კარებს. ერთ ერთი ასეთი შეტევის დროს მათ შესძლეს კიდეც „არსრაიონის" კარების გარღვევა.

სტუმრებს თამაშის შემდგომ პროცესშიაც აღარ გაუშვიათ ხელიდან ინიციატივა. დროგამოშვებით ისინი მეტად მძლავრ შეტევაზე გადადიოდენ და ხშირად აყენებდენ თბილისის კარებს კრიტიკულ მდგომარეობაში, მაგრამ „არსრაიონის" მეკარის **პოპკოვის** მოხდენილი თამაშის წყალობით ყველა მათი იერიშები უშედეგოდ თავდებოდა.

შეჯიბრის საერთო შედეგია 3:1 „არსრაიონის" სასარგებლოდ.

ვ—ნი.

ბიბლიოგრაფია

მ. კახიანი.

„კიდევ ქართული ემიგრაციის შესახებ"

თბილისი 1927 წ.,—გვ.—86, ფასი—30 კაპ.

ქართული სოციალ-დემოკრატია რომ საბოლოოდ გაიხრწნა და გადაიქცა მსოფლიო რეაქციის ერთგულ და აქტიურ ძალად—ეს დღეს ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტია.

ქართული კონტრ-რევოლუციონური ემიგრაციის „პოლიტიკურმა მოღვაწეობამ" ამ უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, ჩვენ მოგვცა მდიდარი მასალა იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა გვქონოდა ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკურ პარტიების ნამდვილ ფიზიონომიაზე. საკმარისია გადახედოთ იმ სადირექტივო წერილებს, რომელიც ჩამოიტანა საქართველოში მენშევიკების ემისარმა ქარცივაძემ, რომ თქვენთვის ცხადი გახდეს თუ რამდენად ღრმად ჩაეფლო კონტრ-რევოლუციის, მოღალატეობის და ჯაშუშობის ჭაობში ქართული სოციალ-დემოკრატია. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ხარკოვის პროცესში საბჭოთა სასამართლოს წინაშე ბრალდებულთა სკამზე ჯაშუშ პენკოვ-პოლოუნის გვერდით ზის მენშევიკების მეორე ემისარი ანჯაფარიძე, რომელსაც ბრალდება პოლონეთის შტაბისადმი ჯაშუშური ცნობების მიწოდება. ამაზე შორს პოლიტიკური პარტიის ზნეობრივი გახრწნა ვეღარ წავა.

თავის წიგნში „კიდევ ქართული ემიგრაციის შესახებ" ამხ. კახიანი ეხება სწორედ ქართული მენშევიზმის ამ მორალური გახრწნისა და სრული გადაგვარების პერიოდს, ანალიზს უკეთებს თანამედროვე მენშევიზმის „პრინციპიალურ" და ტაქტიკურ საფუძვლებს, სარგებლობს რა ამ მიზნით ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის სადირექტივო წერილებით და ემიგრაციის „საქმიანობის" სხვა მასალებით. საერთოდ ამ წიგნაკში თავმოყრილია წერილები, რომლებიც სერიების სახით იბეჭდებოდა თბილისისა და მოსკოვის გაზეთებში და რომელსაც უკვე იცნობს მკითხველი მასა. მაგრამ მიუხედავად ამისა ამ წერილების ცალკე წიგნად გამოშვება უეჭველად მიზანშეწონილია. საჭიროა ყოველ ჩვენგანს ხელთ ჰქონდეს ეს წიგნი, რომელშიაც სისტემატიურად დალაგებულია და კრიტიკის ქარ-ცეცხლშია გატარებული მებრძოლ მენშევიზმის ყველა „თეორიული" მოსაზრებანი და პრაქტიკული ნაბიჯები.

ავტორი იწყებს ქართული სოციალ-დემოკრატიის დახასიათებით, ეყრდნობა რა ამ შემთხვევაში თვით ნ. ჟორდანიას განმარტებებს. ჟორდანიას სადირექტივო წერილის კრიტიკული განხილვა საბუთს აძლევს ავტორს აღიაროს სოციალ-დემოკრატია „ფართე ნაციონალურ ორგანიზაციათ, ყველა იმ ელემენტების შესახებ პუნქტად, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ბოლშევიკებით და მუშების და გლეხების ხელისუფლებით". ეს აშკარად გამომდინარეობს თვით მენშევიკების მტკიცებიდან, რომ კლასობრივი ბრძოლა ამ ჟამად ან სრულიად არ არსებობს, ან ის შესუსტდა და რომ სოციალ-დემოკრატია არის ნაციონალური პარტია. როგორია ამ პარტიის პრაქტიკული საქმიანობა? კონტრრევოლუციონური ჯაშუშობა, საზიზღარი ამაფეთქებელი მუშაობის წარმოება საქართველოს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ იმპერიალისტური მტაცებლების დავალებით—აი მოკლეთ მენშევიკების პრაქტიკული საქმიანობის მთელი პროგრამა. ამხ. კახიანი ხსნის „ბრჭყალებს" და ცხადად ააშკარავებს ჟორდანიას სადირექტივო წერილის დედა-აზრს, რომელიც გამოიხატება საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აქტიურ ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ თვით ჟორდანია ერთის შეხედვით თითქოს წინააღმდეგია აჯანყების. ავტორი აფრთხილებს საქართველოს მშრომელთა მასას: „საჭიროა ყველამ დაიმახსოვროს,—ამბობს იგი,—რომ ჟორდანია არის ლორდების და ბურჟუაზიის მხარეზე და ამ სისხლის-მსმელ ძალებთან ერთად სურს ყელში სწვდეს მუშებსა და გლეხებს"... საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ჟორდანია-რამიშვილები ფიქრობენ დაეყრდნონ წითელ ჯარზე და წითელ მილიციაზე. ავტორს მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები წითელი არმიისა და წითელი მილიციის სოციალური და პარტიული შემადგენლობის შესახებ, რაც აშკარავებს ჟორდანია-რამიშვილის იმედების სრულ უსაფუძვლობას.

ამხ. კახიანი საერთოდ დაწვრილებით იხილავს სადირექტივო წერილების ყოველ მუხლს და ნათლად შლის ყველას წინაშე მენშევიკების მოღალატეობის საზიზღარ სურათს. არა ნაკლებ საინტერესოა თავი „ოპოზიციის" შესახებ მენშევიკური პარტიის შიგნით, რომელსაც ხელმძღვანელობენ წერეთელი და ლორთქიფანიძე. გულუბრყვილო მკითხველი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს წერეთლის „ოპოზიციამ", შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ წერეთელის ოპოზიცია ილაშქრებს რა ჟორდანია-რამიშვილის დიქტატურის წინააღმდეგ, მით იცავს სოციალ-დემოკრატიული პარტიის „სოციალისტური" პრინციპების სიწმინდეს და ცდილობს დააყენოს პარტია სოციალიზმისათვის მებრძოლ პოზიციაზე. ამხ. კახიანის კრიტიკა ცხადყოფს, რომ წერეთელი კვლავ რჩება მართლმორწმუნე მენშევიკად და კაპიტალის მსახურად, ლაყბობისა და ფრაზის გმირად, როგორც მოსწრებულად დაახასიათა იგი ლენინმა. ასეთივე უშინაარსო, მერყევი და უფერულია გრ. ლორთქიფანიძის პოზიცია, რომელსაც აგრეთვე დაწვრილებით ეხება თავის წიგნში ამხ. კახიანი.

წიგნს თანდართული აქვს სრულად ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის წერილები და ამ წერილების კლიშე.

საჭიროა წიგნი ფართოდ გავრცელდეს მკითხველთა შორის, როგორც მენშევიკური მოღალატეობის ფრიად საინტერესო და მჭერმეტყველური საბუთი.

მკითხველი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ადამიანის უძველესი წინაპარი

ამერიკელ **ჩარლზ ენდრიუსის** მეორე ექსპედიციამ მონღოლეთში, სხვათა შორის აღმოაჩინა ნაშთი უძველესი ძუძუ-მწოვარი ცხოველის, რომელიც არის პირველი წინაპარი ყველა ხერხემლიანი ცხოველების, მათ რიცხვში ადამიანისაც. ეს არის მეტად პატარა ქვე-წარმავალი, სიდიდით არა უმეტეს თაგვისა, რომელიც გაჩნდა დედამიწაზე ცარცოვან პერიოდში, ე. ი. 10 მილიონი წლის წინათ, როცა დედამიწა წარმოადგენდა უმთავრესად ქვე-წარმავალთა სამეფოს. ანატომიური აგებულობით ეს უძველესი ცხოველი ენათესავება თანამედროვე ოპოსსუმს (ჩანთიან ვირთხას).

როგორც გამოჩენილი ამერიკელი პალეონტოლოგი პროფ. **ოსბორნი** აღნიშნავს, უკანასკნელ საუკუნეში ნაპოვნი იქნა (სამხრეთ აფრიკაში) მხოლოდ თავის ქალა ამ იშვიათი ცხოველის, რომელიც მეცნიერებაში „ტრიპტილოდონის" სახელწოდებით არის ცნობილი.

თავის ქალა ინახება ინგლისის საბუნებისმეტყველო-ისტორიულ მუზეუმში და წარმოადგენს მის ყველაზე უფრო ძვირფას სამეცნიერო განძს.

მონღოლეთში ნაპოვნმა ჩონჩხმა შეავსო დანაკლისი რგოლი ძუძუ-მწოვართა საერთო ჯაჭვში და დაამტკიცა მრავალ მეცნიერების მიერ გამოთქმული აზრი, რომ ადამიანი უფრო ვიან გაჩნდა დედამიწაზე, ვიდრე ფიქრობდენ.

ვაგონების წმენდა საქაჩავებით

სენ-ლაზარის სადგურში (პარიზში) დადგმულია რამდენიმე უზარმაზარი მტვერის საქაჩავი მანქანა ვაგონების გასაწმენდათ შიგნიდან. ჰაერის საქაჩავზე მიმაგრებულია რამდენიმე რეზინის მილი, რომელიც თავდება ძაბრისებური მოწყობილობით, რომლის ფსკერი საცერის მსგავსია. რეზინის მილების ბოლოს ათავსებენ ვაგონის შიგნით, ამუშავებენ ჰაერის საქაჩავ მანქანას და რამდენიმე წამში ვაგონი იწმინდება არა მარტო მტვერისაგან, არამედ მსხვილი ნაგავისაგანაც.

ჰაერის საქაჩავი მანქანები მოძრაობაში მოჰყავთ ათძალიანი ელექტრონის მოტორებით.

მზის ლაქები და მოსავალი

ფრანგმა მეცნიერმა **მემერომ** გამოაქვეყნა თავისი თეორია მზის ლაქების გავლენის შესახებ მოსავალზე—შედეგი თავისი 26 წლის დაკვირვებების.

მემერი ამტკიცებს, რომ მოსავლიანი წლები ხვდება მზის ლაქების მაქსიმუმის პერიოდს. თუ ცალკე ქვეყნებისათვის ეს კავშირი რამდენიმეთ იფარება სხვადასხვა შემთხვევითი მოვლენების ზეგავლენით, სამაგიეროთ პურის მსოფლიო პროდუქციის მრუდე სავსებით ეთანხმება მზეზე ლაქების წარმოშობის ინტენსივობის მრუდე ხაზს.

მემერის თეორია ადვილათ პოულობს განმარტებას, თუ გავიხსენებთ, რომ მზეზე ლაქების წარმოშობის პერიოდში იცვლება მზის გამოსხივების ხასიათი. ლაქების მაქსიმუმს ეთანაბრება მაქსიმუმი ულტრა-იისფერი სხივების, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მცენარეულობათა უჯრედების განვითარებაში.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს, 5 აგვისტოს, შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: ბესარიონ თოფურიას, ნიკოლოზ კიტაშვილს, ათანეზ ხაჩატურიანს, ბიქტორ გძელიძეს, გიორგი ხოხობაშვილს, ბუხრაშვილს, კარაპეტ კარაპეტიანს, ანდრონიკ კეროზიანს, არამ საატრიანს, საკ არუთინოვს, პეტროს სირაგანოვს, გაბრიელ ჯანიკიანს, არშაკ სიმონიანს, არშაის აგადოახოვს, არშენ არუთინოვს, გრიგოლ ხვადგიანს, ივანე ოპიანცს, ოგან ოგანეზოვს და ხაჩატურ ტერ-მოსესოვს.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: მათე ხუხიაშვილს, ნინო ჟორჟოლავას, სერგო ოგანეზოვს და ხიხო ოვჩიჩიკოვას.

მედმუშაკთა სექცია: გრიგოლ შავგულიძეს, ლილი თარხნიშვილს, ევდოკიმე აიანჩუკს, ალექსანდრე კანტაკუზოვს და ბახშო ოგანოვს. **მე-5 სექცია:** სამუელ ვარდოიანს და აბგარ საიადოვს.

ნარევი

გერმანიის საპატენტო ბიურო

გერმანიაში ამ რამდენიმე ხნის წინათ გადაიხადეს ახალ გამოგონებებზე პატენტების გამცემ ბიუროს დაარსების 50 წლის იუბილე.

თავისი ნახევარი საუკუნის არსებობის განმავლობაში პატენტების გამცემმა ბიურომ არა ერთხელ და ორხელ უთხრა უარი პატენტების მიცემაზე—განსაკუთრებით ისეთ პირებს, რომლებსაც შეჰქონდათ განცხადებები მარადი მოძრაობის მანქანის („პერპეტუუმ მობილე") და ოქროს მოპოების საშუალების აღმოჩენის შესახებ.

მრავალრიცხოვან გაცემულ პატენტების შორის მრავალია მეტად თავისებური. ასე მაგალითად, გაცემულია პატენტი: მუსიკალურ საბავშო ეტლზე, რომელიც იწყებს დაკვრას, როგორც კი ბავში ატირდება; თბილ ფეხსაცმელებზე, რომელიც თბება ელექტრონის ენერგიის საშუალებით (ეს პატენტი გაცემულია ჯერ კიდევ 1899 წ.) და, უკანასკნელ ხანებში—ისეთ ფეხსაცმელებზე, რომლებიც თბება რთულ მოწყობილობის საშუალებით. უკანასკნელი ფეხის აწევის დროს წარმოშობილ ენერგიას აქცევს სითბოთ, რომელიც გადაიცემა ფეხსაცმელში.

გაცემულია პატენტი აგრეთვე ქალის საბანაო ტანსაცმელზე, რომელიც იმდენათ „ეკონომიურია", რომ ეტევა პატარა ხელის ჩანთაში.

საგულისხმოა აგრეთვე აპარატი, რომელსაც ათავსებენ ადამიანის ზურგზე და რომელიც აგროვებს ადამიანის სიარულის დროს წარმოშობილ მთელ ენერგიას. „ამ აპარატის საშუალებით,—ნათქვამია გაცემულ პატენტში,—მკერავ ქალს, ქალაქს გარეთ საკვირაო სეირნობისას შეუძლია დააგროვოს სიარულის დროს წარმოშობილი ენერგია და შემდეგ გამოიყენოს იგი თავისი საკერავი მანქანის ასამუშავებლად" (?).

1877 წლიდან 1927 წ. გერმანიის საპატენტო ბიუროში შეტანილია 1.339.065 განცხადება პატენტის გაცემის შესახებ, გაცემულია მხოლოდ 440.000 პატენტი. მათ შორის, მრავალ მნიშვნელოვან გამოგონებებზე. 1926 წ. დამლევისათვის დაცული იყო 64.236 პატენტის უფლება, აქედან მეოთხედზე მეტი ელექტრო-ტეხნიკაზე მოდიოდა.

გერმანიის საპატენტო ბიურო განთქმულია თავისი არაჩვეულებრივათ მდიდარი ბიბლიოთეკით ტეხნიკის საკითხებზე. ლიტერატურა შეკრებილია ბიუროს ორმოცდა ათი წლის მოღვაწეობის განმავლობაში.

ბიბლიოთეკა შესდგება 80.000 წიგნიდან ტეხნიკაზე. 90.000 ტომ პერიოდულ გამოცემებიდან და 6 ნახ. მილიონ იმ გამოგონებათა აღწერიდან, რომლებზედაც პატენტებია გაცემული მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში. ეს 6 ნახ. მილიონი აღწერა განაწილებულია 9.737 ჯგუფათ.

ოფიც. განყოფილება

განმარტება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

სასამართლო-სადგილმამულო საქმეების ზედამხედველობის წესით განხილვის კომპეტენციის განაწილების შესახებ

რადგანაც მიწის კოდექსში პირდაპირ არ არის განსაზღვრული, რომელ სადგილმამულო სასამართლო ორგანოს ექვემდებარება დამთავრებული სასამართლო-სადგილმამულო საქმეების განხილვა ზედამხედველობის წესით და ეს გარემოება გაუგებრობას იწვევს,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი განმარტავს:

მიწის კოდექსის 162 მუხლის მეორე შენიშვნისა და 164 მუხლის მიხედვით, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭოს მიერ საბოლოოდ გადაწყვეტილ საქმეს ზედამხედველობის წესით განიხილავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო ყველა დანარჩენ საქმეს—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭო.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგივრად ი. სტურუა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი დ. აფციაური.

თბილისი-სასახლე.
1927 წ. ივლისის 18.

დადგენილება № 64

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ყოფილი სასოფლო-სადგილმამულო კომიტეტის მოქმედებაზე შეტანილ საჩივრების განსახილველად მიღების აკრძალვის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეუსაბამოდ და გლეხთა უდარიბესი ნაწილის ეკონომიური ინტერესების საწინააღმდეგოდ მიაჩნიათ ჩამოერთვათ გლეხებს იმ მიწის ნაკვეთები, რაც მათ აგრარული რეფორმის განხორციელების დროს სასოფლო სადგილმამულო კომიტეტების დადგენილებებით გადაეცათ, და ამის გამო ადგენენ:

აეკრძალოთ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების სადგილმამულო კოლეგიებს და აგრეთვე სადგილმამულო სასამართლო კოლეგიებს მიიღონ ხოლმე განსახილველად საჩივრები ყოფილი სასოფლო-სადგილმამულო კომიტეტების მოქმედებაზე მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის გამო. ხოლო ასეთ საჩივრების გამო აღძრული საქმეები, რაც ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, უნდა მოისპონ.

ყოველი საკითხი, რაც კი ყოფილი სასოფლო კომიტეტების მოქმედების გამო აღიძვრის. გადაწყვეტილი უნდა იქნეს მიწათმოწყობის წესით.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი

1927 წ. ივლისის 4.
თბილისი-სასახლე.

პარტიული კალენდარი

— დღეს ხუთ აგვისტოს, დილის ცხრა საათზე 1 აუდიტორიაში დანიშნულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახ. ლ. კ. კ. ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრებს გარდა ყოველ მიზეზს გარეშე სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ქუთათელაძე სერგო, სნიბოლოვსკი კონსტანტინე, ცაგარეიშვილი დავით, ლეიაშვილი გიორგი; კბილაძე კალისტრატე, აბესაძე; ბაბუციძე; ნაროუშვილი; ბერიძე; ურუშაძე შალიკო.

საქართველოს კ. პ. (ბ) თ. კ. საფინ. განყოფილება სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ განყოფილებაში სამი დღის ვადაში 9 საათიდან 2-მდე: ბუაჩიძე ანტ. ამ.-კავკ. კომ. უნივ.; ცენტრ. საბჭ. პარტ. სკოლა), ბერიძე პოლიკ. (რკ. გზ: მუშფაკი), ბოლოტნიკოვა ა. (ა-კავ. კომ. უნ.) ვარდანიანი სტ. („ზაკკნიგა"). ვირაპი („ზაკკნიგა") ვარდანიანი აგასი („ზაკკნიგა"), ვასაძე კ. („ზაკკნიგა") ვეიერი ს. (ამ.-კავ. კომ. უნ.), გალკინი („რაბოჩაია პრავდა") გეზა-გოლდ („ზარია ვოსტოკა"), გვაზავა დ. (საქ. სახელგამი), გოდაბრელიძე ს. („კომუნისტი"), გობრონიძე (საქ. სახელგამი), გვაზავა ნიკ. (საქ. სახელგამი), გოდიხობაძე ალ. (ქართ. მუშფაკი).

საქართველოს კ. პ. (ბ) თ. ორგანიზაციის არსრაიკომის საღრიცხვო განმანაწილებელი განყ. სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ რაიკომის საღრ. - განმანაწ. განყოფილებაში: ზურდინოვი არშაკ, პეტროსიანი მელიქ, ცაგარელი ვარვარე, კალნიცკი ვალერიანი, ჩერპნევა ბარბარე, ბაშინჯაგოვი გრიგ., ბაღდასაროვი ვენიამინ, კერესელიძე სოკრატ.

მუდამ მწუხარებაში მყოფი დედა მართა ჯათუას ასული ანჯაფარიძისა, ძმები პლატონ, ლავრენტი და გრიშა ანჯაფარიძეები; რძლები ეფროსინე, ფენია და ფედოსი ანჯაფარიძისა აუწყებენ ნაცნობ და ნათესავებს,

ვიქტორ დავითის-ძე
ანჯაფარიძისა

რომ გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე 7 აგვისტოს სოფელ კინიაშო, სენაკის მაზრა, გადახდილი იქნება პანაშვიდი.
1—1 3501

დიმიტრი ბარნოვი, ვახტანგ ელიზბარაშვილი, გრიგოლ შოშიაშვილი და იოსებ ხატიაშვილი მწუხარებას გამოსთქვამენ ქ. თელავში მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის

ლადო დეკანოზიშვილის

გარდაცვალების გამო მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალვა ქ. თელავში დღეს, 5 აგვისტოს, ნაშუადღევის ოთხ საათზე. (ე)

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო (არტის ბაღში).
მხატვრული ტრიუკებიანი სურათი
„ორში ერთი"
საუკეთესო ტრიუკისტის კარლ ალდინის მონაწილეობით. სიმებიანი ორკესტრი
განთქმული სურათის „სპიდ"-ის გმირი ხეჩისონი საუკეთესო სურათში
„ბოროტმოქმედების დალი"
(სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში). 1 და 2 სერია ერთად. წარმტაცი სიუჟეტი, არაჩვეულებრივი ტრიუკები
ლილიან გიში (სურათ „ორი ობოლის" გმირი) ორიგინალურ კინო-პიესაში
„ქალაქის ხმაზე"
მსოფლიო რეჟისორის დ. გრიფფიტის დადგმით
0—23 ნ. 1388

საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კლუბი
(ჟორესის ქ. № 3).
დღეს, 5 აგვისტოს, პირველად ამ სეზონში ვოკალური თემატიური კონცერტი
„ქართული ოპერის საღამო"
არიები და დუეტები „აბესალომ და ეთერიდან", „თქმულებიდან შოთა რუსთაველზე", „დაისიდან" და სხვ.
მონაწილეობენ სახელმწიფო ოპერის საუკეთესო ძალები: ანდღულაძე, ცირღილაძე, მრავალი, ლაბაშიძე, ექსანიშვილი და სხვ.
ბალეტი ალბერტისა და ჩიკვაიძის მონაწილეობით.
დასაწყისი საღ. 9 საათ. ნ. 1531

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატო-ოდონტოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის
ტეხნიკოსთა კურსებზე მსმენელების
მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.
მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება კურსების გამგის სახელზე (პლეხანოვის გამზ. № 126) შემდეგი საბუთების თანდართვით:
1) შვიდწლედის დამთავრების მოწმობა,
2) წლოვანობის მოწმობა,
3) ნახევარი წლის სწავლის ფული.
მიღება იწარმოებს უგამოცდოთ.
კურსები ორწლიანია და მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. 13—1 ნ. 3478

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

წაღვერში
ექიმი მეგრაბიანი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

დაკარგა მეტრიკული მოწმობა № 5907 | 1173 პეტრე მენთეშაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3496

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი დავით ბიქტორისძე ბოლქვაძეს სახელზე, ჩ. გ. 3498

დაკარგა პირადობის მოწმობა გაცემული ქარელის თემაღმასკომის მიერ იაკობ არონისძე მოშიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 3502

დაკარგა პირადობის მოწმობა, ინვალიდის საპენსიო მოწმობა, პოლიტიკურათ მუშაობის მოწმობს 1906—7 წლებში გადასახლებისა ვიატკის გუბერნიაში, გორის მაზრის მიერ მოცემული მოწმობა ნამდვილად ვიყავი გადასახლებული პოლიტიკურად ვიატკის გუბერნიაში, სიმონ პავლესძე ჯოჯიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3500

დაკარგა შინა-მრეწველთა და ხელოსანთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 1230, გაცემული არშალუის ოვაკიმის-ძე აკოპოვის სახელზე, ჩ. გ.

მუშათა ახალი კლუბი (ყოფ. ქართ. კლუბი)
დღეს, 5 აგვისტოს
ბალეტის დიდი საღამო
1) ფანართან—სერგეევის დადგმა.
2) ბალეტის დიდი დივერტისმენტი. ნ. 1529.
ფასები ჩვეულებრივია გამგეობა

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ქ. თბილ. მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ბაღდასაროვი
ამით აცხადებს, რომ ის 8 აგვისტოს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 8 მარინსკის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მარიამ და კარაპეტ სიმონოვების მოძრავ ქონებას: საოჯახო ავეჯეულობას შეფასებულს 305 მანეთად, ავეტიკ ნალბანდოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის საზინაო საქმეთა სახალხო სასამართლოსაგან 14 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 2444 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3497

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ილებს ავადმყოფებს
ბორჯომში. 13—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს", პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 25 —18

УТЕРЯНА союзная книжка союза кустарей и ремесленников за № 1230 на имя Аршалуйса Овакимовича Акопова, сч. нед.

დაკარგა მეტრიკა მარიამ გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 3494

დაკარგა საღრიცხვო ბარათი ფორმა № 4 ბორის გრიგოლისძე არჯევანიძის სახელზე, ჩ. გ. 3485

დაკარგა დროებითი მოწმობა კომუნალური ბანკისა 50 მანეთის ღირსებისა ამირეჯიბის და ალიევის სახელზე, ჩ. გ. 3481

დაკარგულია მეტრიკული ამონაწერი № 1929 მარო ალექსანდრეს ასული ცაცებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3499

დაკარგა დამზღვევ სალარო წიგნაკი ვლადიმერ შამუგიას სახელზე, ჩ. გ. 3500

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 6ბ.